# არსენალი

№ 25 (68). 12-25 დეკემბერი. 2008. ფასი 1,5 ლარი. „კვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი.



## რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ თავდაცვის სამინისტროში?..

1425
2008

## პირველი საარტილერიო სწავლება ომის შემდეგ

## აგვისტოს ომი - ახალი შეიარაღების გამოსაცდელი პოლიგონი

## ჩვენი ტანკები ცხინვალში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ თავდაცვის სამინისტროში?.. 6



შეძლებს კი ბარაკ ობამა სპეცსამსახურების „გაცოცხლებას“? 18



ჩვენი ტანკები ცხინვალში... 47

ყუმბარსატყორცნი მსოფლიოში საუკეთესო ავტომატური შაშხანისთვის 53





შვედური თვითმავალი საარტილერიო დანადგარი „არჩერი“ 26



ქართულ არმიას მეორე საარტილერიო ბრიგადაც გამოუჩნდა 11

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

**კალეიდოსკოპი**

4 ახალი ამბები

**კადრები წყვეტენ ყველაფერს**

6 რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ თავდაცვის სამინისტროში?..

**ალიანსი**

7 საქართველო და უკრაინა ალიანსთან ახალი პროგრამით ითანამშრომლებენ

**მოსაზრება**

9 ისევ სამხედრო ფლოტის შესახებ

**რეპორტაჟი პოლიგონიდან**

10 პირველი საარტილერიო საველე სწავლება ომის შემდეგ

11 ქართულ არმიას მეორე საარტილერიო ბრიგადაც გამოუჩნდა

**ისტორიული პარალელები**

14 უცხო სპეცსამსახურების ისტორია კავკასიაში

**მებრძოლის მოგონება**

16 როგორ იხსენებს ცხინვალის ომს რეინჯერების სკოლაგამოვლილი ქართველი სერჟანტი

**სპეცსამსახურები**

18 შეძლებს კი ბარაქ ობამა სპეცსამსახურების „გაცოცხლებას"?

**ფოტოფაქტი**

24 ოკუპანტებმა მოდერნიზებული ღამის „ნიანგები" – Ми-24ПН-ები გამოიყენეს

**ახალი შეიარაღება**

21 რუსეთ-საქართველოს ომი ახალი შეიარაღების გამოსაცდელი პოლიგონი

**სიახლე შეიარაღებაში**

26 შვედური თვითმავალი საარტილერიო დანადგარი „არჩერი"

**მებრძოლი სული**

30 ბუსი-დო – იაპონიის სული

**მამლუქი**

36 თემურ აფაქიძე ჩვენი დროის მამლუქი

**ომების მსოფლიო ისტორია**

40 საალყე ტექნიკა შუა საუკუნეებში

**ომის შედეგები**

43 აფხაზები დასკვნებს აკეთებენ

**რუსული რეფორმები**

46 რუსეთი რეფორმას „ვოსტოკით" იწყებს

**დანაკარგი**

47 ჩვენი ტანკები ცხინვალში

**კროსვორდი**

52 არსენალკვორდი

**არსენალის იარაღის მაღაზია**

53 ყუმბარსატყორცნი მსოფლიოში საუკეთესო ავტომატური შაშხანისთვის

## რედაქტორის სვეტი

ისევე როგორც ბუქარესტის, ბრიუსელის სამიტზეც საქართველო MAP-ის გარეშე დატოვეს. NATO-ში გაწევრების პერსპექტივა უვადო პერიოდით გადაიდო. MAP-ი ლამის ზღაპარს დაემსგავსა...

ამიტომაც ისევ ჩვენი თავის იმედზე უნდა ვიყოთ, — ვიზრუნოთ ქვეყნის გაძლიერებაზე, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით. გულზე ხელის დაკრეფა იმის გამო, რომ მილიონიან რუსეთის არმიას ომს ვერასოდეს მოვუგებთ, სწორი არ არის. მთავარია, ომამდე არ მივიყვანოთ საქმე და გამჭრიახი პოლიტიკითა და ძლიერი ეკონომიკით მივაღწიოთ საქართველოს უსაფრთხოებას.

რაც შეეხება ქართულ არმიას, მისი სრულყოფის პროცესი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს, ოღონდ იმ მწარე გამოცდილებიდან და შეცდომებიდან გამომდინარე, რაც გადავიტანეთ...

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ჟორჟოლიანი*

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი" და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 38-26-74;
38-26-73

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად
09.12.2008

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©

რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
email: arsenali@kvirispalitra.com

ჟურნალი გამოდის ორ კვირაში ერთხელ

# შვეიცარია F-5 TIGER II-ის შეცვლას გეგმავს

შვეიცარიის სამხედრო-საჰაერო ძალები და ქვეყნის სამხედრო უწყება ARMASUISSE უკვე რამდენიმე თვეა გამანადგურებელ F-5 TIGER II-ის შესაცვლელად კანდიდატებს ცდიან. ორმა მრავალმიზნობრივმა გამანადგურებელმა Eurofighter typhoon-მა, რომელთაც გამოცდა ბოლოს გაიარეს, ავიაბაზა Emmen-ი დატოვა. დაახლოებით 30 წლის წინანდელი თვითმფრინავების, F-5 TIGER II-ების პარკის ნაწილობრივად შეცვლის პროგრამა შვეიცარიაში 2006 წლის დამლევს დაიწყო, გამოცდები კი 2008 წლის ივლისში. კანდიდატთა შორის იყვნენ Eurofighter typhoon-ი, შვედური Jas 30 Gripen-ი და ფრანგული Dassault Rafale-ი. ტენდერში მონაწილეობა შესთავაზეს ასევე ამერიკულ კორპორაცია Boeing-ს, მაგრამ კომპანიამ უარი განაცხადა. ამ ხნის განმავლობაში შვეიცარიელი სპეციალისტები თვითმფრინავების საფრენ და მიწისზედა შესაძლებლობებს ამოწმებდნენ. ტესტირებისას კაბინებში ისხდნენ კომპანია-მწარმოებლების წარმომადგენელი შვეიცარიელი მფრინავები და პილოტები. გამოცდებში შედიოდა დავალებები ღამის პირობებში, ასევე ფრენები ზებგერითი სიჩქარით. JAS 39 Gripen-ის ტესტირება 35 გაფრენასა და 35 საფრენს საათს შეიცავდა, Dassault Rafale-სა კი 39 გაფრენასა და 60 საათზე მეტს. Eurofighter-მა შეასრულა 31 გაფრენა, რომელთა საერთო ხანგრძლივობამ 45 საათი შეადგინა. გამოცდების შედეგებს შვეიცარიელი სპეციალისტები 2009 წლის იანვრის ბოლომდე შეაჯამებენ. ამის შემდეგ მწარმოებლები პოტენციური დამკვეთისაგან დამატებით წინადადებებს მიიღებენ. საბოლოო არჩევანს 2009 წლის ივლისში გააკეთებენ, შეკვეთის ღირებულებას კი 2010 წელს გადაიხდიან. ახალი ტექნიკით ხუთიდან სამი ესკადრილია აღიჭურვება. მათ შეიარაღებაში, ჯერჯერობით, დღეს F-5 TIGER II-ები რჩება.



# აშშ სამხედრო ბაზას ინტერნეტში განათავსებს

აშშ-ის არმიის სახმელეთო ჯარების წარმომადგენლებს განზრახული აქვთ პოპულარული თამაშის Second Life-ის ვირტუალურ ბაზაში განათავსონ სამხედრო ბაზა. ამერიკელი სამხედროები ამგვარად აპირებენ პოტენციური ახალწვეულების ყურადღების მიპყრობას, იმედს გამოთქვამენ, რომ ბევრი მათგანი ვირტუალურის შემდეგ რეალურ არმიაში მოინდომებს სამსახურს. ერთ-ერთი გენერლის თქმით, ვირტუალური სამხედრო ნაწილი ორი კუნძულისგან შედგება. ერთ-ერთზე განლაგდება საინფორმაციო ცენტრი წვევამდელებისათვის, სადაც ისინი მიიღებენ ინფორმაციას არმიაში სამსახურისა და ჩამწერი პუნქტების შესახებ, მეორე კუნძულზე კი განთავსდება სასწავლო ცენტრი. აქ ახალგაზრდები შეითვისებენ იარაღის მოხმარების უნარ-ჩვევებსა და პარაშუტით ხტომას. დავალების შესრულებისას თამაშის მონაწილენი ქულებს მოიპოვებენ, რომელთა მეშვეობითაც სამხედრო ფორმის ვირტუალურ საგნებს შეიძენენ. გარდა ამისა, თითოეული ახალწვეული უფასოდ მიიღებს საბაზო ეკიპირებას. აშშ-ის არმიის სახმელეთო ჯარების წარმომადგენლის თქმით, ახალწვეულების დაჯავშნა 2008 წლისთვის სრული სვლით მიმდინარეობს. ვირტუალური სამყარო Second Life-ი 2003 წელს გაიხსნა. რეგისტრირებული მომხმარებლების რიცხვი 2008 წლის ოქტომბერში 15 მლნ-ს აღწევდა და დღესაც იზრდება. Second Life-ის სამყაროში ერთდროულად დაახლოებით 47 ათასი რეზიდენტია.

# ზემსუბუქი ჯავშნის შემუშავებას აჩქარებენ

ამერიკელი კონსტრუქტორების განცხადებით, ახალი თაობის ტანკისთვის ზემსუბუქი კომპოზიტური ჯავშნის შექმნის პროცესი დაჩქარდება. მანქანა, რომელიც პროგრამა „მომავლის საბრძოლო სისტემები“ (Future Combat Systems) ფარგლებში უნდა შეიქმნას, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების წყალობით ორჯერ მსუბუქი იქნება არსებულ ნიმუშებზე. ამერიკის არმიის ახლანდელი ძირითადი ტანკის M1 Abrams-ის მასა თითქმის 70 ტონაა. ახალი კომპოზიტური ჯავშანი კონსტრუქტორებს საშუალებას მისცემს, შექმნან თანამედროვე საბრძოლო მანქანა, რომლის წონა 30 ტონაზე ნაკლები იქნება. ის გაცილებით მყარი იქნება არსებულ ნიმუშებზე, — ამერიკულ ტექნოლოგიაში ფართოდ გამოყენებული გაღარიბებული ურანის ფენა ჯავშანს უფრო მყარს ხდის. პროექტში მონაწილე სამხედრო ინჟინრები, ე.წ. „ცდისა და შეცდომების“ მეთოდიკით მუშაობენ. უფრო პრაქტიკულ გამოცდებს ემყარებიან, ვიდრე თეორიას. ჯერჯერობით გაურკვეველია, შეძლებენ თუ არა დათქმულ ვადაში სამუშაოს დასრულებას. M1-ის 30-ტონიანი ანალოგი 2015 წლისთვის უნდა შეიქმნას.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავსტრალიამ F-35-ის უპირატესობა აღიარა

ავსტრალიის სამხედრო-საჰაერო ძალების ბრძოლისუნარიანობის სათანადო დონეზე შესანარჩუნებლად აუცილებელია დაახლოებით მეხუთე თაობის 100 გამანადგურებელი F-35 Joint Strike Fighter-ი. როგორც ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების მეთაურმა მარკ ბინსკინმა განაცხადა, რუსული „სუხოის“ მარკის თვითმფრინავები, რომლებიც მალაიზიისა და ინდონეზიის შეიარაღებაშია, ვერ გაუწევენ მათ კონკურენციას. ბინსკინი დარწმუნებულია, რომ F-35 მსოფლიოში საუკეთესო მრავალმიზნობრივი გამანადგურებელი იქნება. სავარაუდოდ, მომავალ წელს გამოქვეყნდება ქვეყნის პერსპექტიული სამხედრო ბიუჯეტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება უახლესი თვითმფრინავების შესაძენი ხარჯები. ეს დაახლოებით 11 მლრდ დოლარი დაჯდება, რაც უმსხვილეს სამხედრო გარიგებად შეიძლება ჩაითვალოს ავსტრალიის თავდაცვის უწყების ისტორიაში. პირველი თვითმფრინავი შეიარაღებაში 2014 წელს შევა. ავსტრალიელი სამხედროების გათვლით, პირველი პარტიის — 70 გამანადგურებლის არმიისთვის მიწოდება 2009 წელს იგეგმება, კიდევ 25-ის 2012 წლის შემდეგ. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს საჰაერო სივრცის მუდმივი სადღეღამისო პატრულირებისთვის, საზღვაო ტერიტორიების ჩათვლით, სამხედრო-საჰაერო ძალებს სულ ცოტა 100 თვითმფრინავი დასჭირდებათ. F-35-ებმა ტაქტიკური თვითმფრინავები F-22-ები უნდა შეცვალონ საბრძოლო მორიგეობაზე.



# 93-მა ქვეყანამ კასეტური ბომბების აკრძალვის შესახებ შეთანხმებას მოაწერა ხელი

ოსლოში დასრულდა კასეტური ბომბების აკრძალვის თაობაზე შეთანხმებაზე ხელის მოწერა. შეთანხმებას შეუერთდა 93 სახელმწიფო, რომელთაც ამ საბრძოლო მასალის უმსხვილესი არსენალი აქვთ. კასეტურ ბომბებს ასევე აწარმოებენ აშშ, რუსეთი და ჩინეთი. შეთანხმებას მხარი არ დაუჭირეს ინდოეთმა, პაკისტანმა და ისრაელმა, რომელთა აზრით, კასეტური ბომბები ეფექტიანი და აუცილებელი იარაღია. დოკუმენტს ერთ-ერთმა პირველებმა ნორვეგიამ, ლაოსმა, ლიბანმა და იაპონიამ მოაწერეს. ამ იარაღის აკრძალვაზე შეთანხმების დადება 2008 წლის გაზაფხულზე დუბლინში გადაწყდა, თუმც კასეტური ბომბების სრული და დაუყოვნებელი აკრძალვა არ ყოფილა გათვალისწინებული. დაშვებულია ნაკლები სიმძლავრის შეიარაღების შემუშავება, მაგრამ განადგურების უფრო მაღალი სიზუსტით. პენტაგონმა უკვე განაცხადა, რომ აშშ მუშაობს ამ მიმართულებით. კამათს იწვევს შეთანხმების სხვა პუნქტებიც. კერძოდ, თითოეულ სახელმწიფოს, რომელიც შეუერთდა შეთანხმებას, უფლება აქვს ითანამშრომლოს იმ მოკავშირე-სახელმწიფოსთან, რომელიც კასეტურ ბომბებს იყენებს. შეთანხმება ასევე ითვალისწინებს იმ ქვეყნების დახმარებას, რომელთა ტერიტორიაზე დღესაც არის დარჩენილი კასეტური ბომბების აუფეთქებელი ელემენტები. ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ იარაღს იყენებდნენ ვიეტნამი, კამბოჯა, იუგოსლავია, ავღანეთი, ერაყი და ლიბანი. უმრავლესობა არ ფეთქდება ჩამოვარდნისას და ხშირად მრავალი წლის განმავლობაში საბრძოლო მდგომარეობაში რჩება. ამით კი მშვიდობიანი მოსახლეობა ზარალდება.

# გერმანელი ჯარისკაცები ლოთები და ღორმუცელები ყოფილან?!

გერმანიის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც ავღანეთში მსახურობენ, ჯარისკაცურ მოვალეობას დაბალ დონეზე ასრულებენ. სტატისტიკის თანახმად, ბუნდესვერის 3500-მა ჯარისკაცმა ავღანეთში 2007 წელს დაახლოებით 1,7 მლნ პინტი ლუდი და 90 ათასი ბოთლი ღვინო შესვა. ლოთობის გარდა, გერმანელი ჯარისკაცები ძალზე ბევრს ეწევიან, ცოტას ვარჯიშობენ და NATO-ს წევრი კოლეგებისგან სიმსუქნით გამოირჩევიან. გერმანელი ჯარისკაცების 40%-ს ჭარბი წონა აქვს, — თურმე, ბოსტნეულსა და ხილს ლუდსა და ძეხვს ამჯობინებენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ თავდაცვის სამინისტროში?..

**მძიმე შედეგებით დამთავრებული ომის შემდეგ თავდაცვის მინისტრისა და გაერთიანებული შტაბის უფროსის შეცვლა გარდაუვალი იყო...**



აშშ-ის ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი და საქართველოს ყოფილი ელჩი აშშ-ში დავით სიხარულიძე

საქართველოს პრეზიდენტმა, შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა დეკემბრის დასაწყისში დავით კეზერაშვილი გადააყენა თავდაცვის მინისტრის პოსტიდან. მანამდე, დაახლოებით ერთი თვით ადრე, თანამდებობა დატოვა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა, ბრიგადის გენერალმა ზაზა გოგავამ.

აგვისტოს მოვლენების შემდეგ, რომელიც ქართული არმიისთვის, ისევე როგორც მთლიანად ქვეყნისთვის, მძიმე შედეგებით დამთავრდა. მოსალოდნელი იყო, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი ჩაატარებდა საკადრო ცვლილებებს როგორც თავდაცვის სამინისტროში, ისე შეიარაღებულ ძალებში.

მართლაც, ომის დამთავრებიდან რამდენიმე დღეში პოსტები დატოვეს გაერთიანებული შტაბის უფროსის რამდენიმე მოადგილემ, სახმელეთო ჯარების სარდალმა, ბრიგადის მეთაურმა და გაერთიანებული შტაბის რამდენიმე დეპარტამენტის უფროსმა.

მაგრამ ეს არ იყო იმ დონის საკადრო ცვლილებები, რასაც საზოგადოების დიდი ნაწილი მოითხოვდა პრეზიდენტისგან.

თუმცა პრეზიდენტ სააკაშვილს ეყო გამჭრიახობა, რომ ომიდან რამდენიმე დღეში არ დაეტოვებინა ხელმძღვანელობის გარეშე არც თავდაცვის სამინისტრო და არც შეიარაღებული ძალები. ასეთი ნაბიჯი მაშინ ნამდვილად არ იქნებოდა გამართლებული.

ამასთან, მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ომის შემდგომ თავდაცვის მინისტრისა და გაერთიანებული შტაბის უფროსის ურთიერთობა დაიძაბა, რაც მათ შემდგომ ერთობლივ საქმიანობას თითქმის შეუძლებელს ხდიდა.

მაგრამ პრეზიდენტ სააკაშვილმა გააკეთა კიდევ ერთი პოლიტიკური სვლა და მანამდე არ შეცვალა თავდაცვის მინისტრი და გაერთიანებული შტაბის უფროსი, სანამ მათ აგვისტოს მოვლენების საგამოძიებო დროებითი საპარლამენტო კომისიის მოსმენები არ გაიარეს...

ეს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში ჩატარებული მორიგი საკადრო ცვლაა. საქართველოს შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებიდან (1992 წლიდან) მან რვა თავდაცვის მინისტრი და თითქმის ამდენივე გენშტაბის უფროსი (და ერთი გაერთიანებული შტაბის უფროსი) გამოიცვალა.

თავდაცვის ახალ მინისტრად დაინიშნა დავით სიხარულიძე, რომელიც აშშ-ში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი გახლდათ. თუმცა, სანამ დიპლომატიურ სამსახურში წავიდოდა, დავით სიხარულიძე თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო. ამიტომ მისთვის კარგად ნაცნობი უნდა იყოს მთავარი სამხედრო სტრუქტურის ფუნქციონირების თავისებურებები.

ყოველი თავდაცვის მინისტრის შეცვლას თან სდევდა ძირეული სტრუქტურული და საკადრო ცვლილებები. თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებშიც ზოგჯერ ახალი თავდაცვის მინისტრი თითქმის მთელი სამინისტროს შემადგენლობას, დამლაგებლების ჩათვლით, ცვლიდა.

ამგვარი საკადრო პროცესის დროს კი ქართული არმიის ბრძოლისუნარიანობა საკმაოდ იკლებდა, არადა ეს პროცესები თვეობით გრძელდებოდა.

ჩვენ არ გვსურს, დღესაც დაიწყოს საკადრო ციებ-ცხელება მთავარ სამხედრო სტრუქტურაში, რადგან ამ ძნელბედობის ჟამს ქართულ არმიას შიდაგაურკვევლობა ნამდვილად არ სჭირდება.

იმედია, თავდაცვის სამინისტროსა და გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელობა მალე დაასრულებს მინიმალური საკადრო ცვლილების პროცესს. ამასთან, უფრო აქტიურად დაიწყებს იმ პროფესიონალი სამხედროების უკან დაბრუნებას, რომლებიც გასულ წლებში უსამართლოდ გაათავისუფლეს.

აგვისტოს ომის მძიმე შედეგების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ქართულ არმიაში მიმდინარე, ხშირად გაუმართლებელი საკადრო პოლიტიკის პროცესი. იმავეს გამეორება დანაშაული იქნებოდა...

*ირაკლი ალადაშვილი*

# საქართველო და უკრაინა ალიანსთან ახალი პროგრამით ითანამშრომლებენ




NATO-ს საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომა, რომელსაც საქართველო და უკრაინა 9 თვის განმავლობაში ელოდნენ, უკვე ისტორიის კუთვნილებაა. როგორც 9 თვის წინ, ბუქარესტის სამიტზე, საქართველომ და უკრაინამ ვერც ამჯერად მიიღეს გაწევრების სამოქმედო გეგმა (MAP-ი). თუმცა გაჩნდა ალიანსთან დაახლოების ახალი საფეხური ყოველწლიური ეროვნული პროგრამის (EAP-ის) სახით, რათა საქართველომ და უკრაინამ მიიღონ გაწევრების სამოქმედო გეგმა. დიახ, ლაპარაკია MAP-ზე და არა ამ საფეხურის გადახტომით NATO-ს კავშირის პირდაპირ წევრობაზე, რაც სასურველის რეალობად გასაღების სურვილია. ყოველ შემთხვევაში, ალბათ, უფრო დაეჯერება NATO-ს გენერალურ მდივან იაპ დეე ჰოოპ სხეფერს, რომელმაც ბრიუსელში რამდენჯერმე გაიმეორა, რომ „MAP-ი არსად აორთქლებულა“: „დღევანდელი გადაწყვეტილებით MAP-ს არ შეუწყვეტია არსებობა. საგარეო საქმეთა მინისტრებს არ მიუღიათ გადაწყვეტილება MAP-ის შესახებ, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ MAP-ი აორთქლდა. უნდა გავაცნობიეროთ და ეს არის საფუძველი იმისა, რაც მინისტრებმა 2 დეკემბერს განიხილეს, რომ ბუქარესტში მატარებელმა დატოვა სადგური იქ მთავრობის მეთაურების შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებების ფარგლებში, რომ საქათველო და უკრაინა NATO-ს წევრები გახდებიან. და ეს მატარებელი სვლას განაგრძობს და ის არ შეჩერდება“ (სტილი დაცულია).

მაგრამ ამ „მატარებელმა სვლა რომ განაგრძოს“ საქართველოსა და უკრაინას „მნიშვნელოვანი პროგრესი აქვთ მისაღწევი“, — ნათქვამია კომუნიკეში, რომელიც NATO-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა 3 დეკემბერს მიიღეს. ამასთან, დოკუმენტი არ აზუსტებს, კონკრეტულად, რაში მიაღწიეს უკრაინამ და საქართველომ პროგრესს ან რა მნიშვნელოვანი სამუშაოები დარჩათ შესასრულებელი.

თუმცა, არა მგონია, ეს ვინმესთვის ეს საიდუმლოს წარმოადგენდეს. „ეს არის გზა, რომელიც ბალტიისპირეთის ქვეყნებმა გაიარეს, — განაცხადა ბრიუსელში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ დენიელ ფრიდმა და დასძინა, — ჩვენ ველით, როდის გაძლიერდება დემოკრატიული ინსტიტუტები, როდის მიაღწევს ეკონომიკა კარგ მდგომარეობას, როდის განვითარდება შეიარაღებული ძალები. NATO-ში მიღების აუცილებელი სტანდარტები უცვლელია. ამ სტანდარტების შემოვლითი გზა არ არსებობს. ასე რომ, საჭიროა კონცენტრირება პროგრამაზე და არა წუხილი პროცესზე“.

სამწუხაროდ, ფაქტია, რომ საქართველო უფრო მეტს ფიქრობდა პროცესზე, უფრო ზუსტად, პროცესის გაპიარებაზე, ვიდრე პროგრამების განხორციელებაზე.

კაცმა რომ თქვას, განა დენიელ ფრიდის ამ ჩამონათვალში არის რაიმე ახალი და განსხვავებული იმისაგან, რაც საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმაში (IPAP) არ იყო? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ საქართველომ ვერც ერთი ეს ვალდებულება ბოლომდე ვერ შეასრულა ჯერ 2007 წლის 7 ნოემბრის პოლიტიკური კრიზისისა და შემდეგ 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის მძიმე შედეგების გამო. „რა MAP-ზე და რა NATO-ს წევრობაზე გველაპარაკებით, როდესაც უკრაინას მთავრობა არა ჰყავს, ხოლო საქართველოში ომია“, — განაცხადა დიპლომატისათვის უჩვეულო პირდაპირობით ქართველ ჟურნალისტებთან საუბარში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბერნარ კუშნერმა, რომელმაც შემდეგ პრესკონფერენციაზეც არაორაზროვნად განაცხადა: „ამჯერად საქართველოსთვის და უკრაინისათვის MAP-ის მიღება არავის, მათ შორის არც ამერიკის შეერთებულ



ეროვნული ბიბლიოთეკა

შტატებს არ მოუთხოვია და რატომ გიკვირთ, რომ ვერ მიიღეთ“.

### NATO-ს მორიგი საკომპენსაციო და კომპრომისული გადაწყვეტილება

ჯერ კიდევ ნოემბრის დასაწყისში იყო ცნობილი, რომ საქართველო და უკრაინა MAP-ს ბიუსელში ვერ მიიღებდნენ. ეს სიურპრიზი და მოულოდნელობა მხოლოდ იმ ქართველი მოხელეებისათვის შეიძლება იყოს, რომლებიც დღესაც დარწმუნებული არიან, რომ საქართველო არათუ გაწევრების სამოქმედო გეგმას, არამედ პირდაპირ NATO-ს წევრობასაც იმსახურებდა. და თუ ეს არ მოხდა, ამ ყველაფერში დამნაშავეა ძველი ევროპის რუსეთთან ფრთხილი და უპრინციპო დამოკიდებულება.

თუმცა, გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ 3 დეკემბრის კომუნიკეს ტექსტი რუსეთისთვის იმაზე უფრო კრიტიკული აღმოჩნდა, ვიდრე ჟურნალისტები მოველოდით. დოკუმენტში, რომელსაც 25-ივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი აწერს ხელს, რუსეთი გაკრიტიკებულია საქართველოში ჭარბი სამხედრო ძალის გამოყენებისთვის, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისთვის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ცალმხრივად აღიარებისთვის და ე.წ. „სარკოზის გეგმის“ ბოლომდე შეუსრულებლობისთვის. ამასთან, NATO-ს წევრი სახელმწიფოები რუსეთს მოუწოდებენ, „თავი შეიკავოს კონფრონტაციული, მათ შორის, გავლენის სფეროებთან დაკავშირებული განცხადებებისაგან“. ასევე მოკავშირეებსა და პარტნიორებთან მუქარისაგან, „როგორიცაა კალინინგრადის რეგიონში მოკლე რადიუსზე მოქმედი რაკეტების შესაძლო განთავსება“.

სხვათა შორის, რუსეთის წარმომადგენელი NATO-ში დმიტრი როგოზინი 2 დეკემბერს გახარებული აცხადებდა, რომ საქართველოსთვის და უკრაინისათვის MAP-ზე უარი თქმით ალიანსმა რეალისტური გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ როგორც კი კომუნიკეს ტექსტი გამოქვეყნდა, „ფირფიტა შეცვალა“ და განაცხადა, რომ „ევროპელებს ამერიკამ აიძულა რუსეთზე ასეთ კრიტიკულ ჩანაწერებზე ხელმოწერა“.

თუმცა, რუსეთი უფრო მეტად, ალბათ, იმით დარჩა კმაყოფილი, რომ დეკემბრის მინისტერიალზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რუსეთთან ურთიერთობის ეტაპობრივად აღდგენის შესახებაც. ეს მისია დაეკისრა უშუალოდ NATO-ს გენერალურ მდივანს იაპ დე ჰოოპ სხეფერს, რომელიც არაფორმალურ NATO-რუსეთის საბჭოს სხდომებს უხელმძღვანელებს. მოგვიანებით, NATO-ს შტაბბინაში გამართულ პრესკონფერენციაზე იაპ დე ჰოოპ სხეფერმა დააზუსტა, რას გულისხმობს „ეტაპობრივი დაახლოება“. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „უცებ გადავწყვიტეთ, დავეთანხმოთ რუსეთს აგვისტოში კავკასიაში ძალის არაპროპორციულ გამოყენებაში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის უკანონო აღიარებაში“.

შესაბამისად, NATO-ს მინისტერიალის გადაწყვეტილებით კმაყოფილი იყვნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ეკა ტყეშელაშვილი (უკვე ყოფილი მინისტრი) და მისი უკრაინელი კოლეგა ვოლოდიმერ ოგრიზკო.

„თუ აქამდე ცენტრალური საკითხი იყო MAP-ი, ახლა აქცენტი იმაზე კეთდება, როგორ დაეხმარონ საქართველოს, რომ გახდეს NATO-ს წევრი. დე ფაქტო ჩვენ მივიღეთ ის პროცესი, რაც სხვა ქვეყნებისათვის შესაძლოა იყოს MAP-ი“, — აცხადებდა ბრიუსელში ეკა ტყეშელაშვილი.

ერთი სიტყვით, ყველა წარმატებაზე ლაპარაკობდა: საქართველოსა და უკრაინის დელეგაციაც და რუსეთისაც, რაც ძალზე უცნაურია. თუმცა, ფაქტია, რომ ალიანსმა მართლა მიიღო კომპრომისული გადაწყვეტილება რუსეთის თაობაზე და ერთგვარი საკომპენსაციო ვარიანტიც გამონახა საქართველოსთვის და უკრაინისათვისაც, რომლებმაც თუ ყოველწლიური ეროვნული პროგრამები წარმატებით არ შეასრულეს, მაშინ როგორც ცუდი მოსწრების მოსწავლეებს, ერთსა და იმავე კლასში რამდენიმე წლით ჩარჩენის პერსპექტივა გარანტირებული აქვთ.

### ყოველწლიური ეროვნული პროგრამის მოლოდინში

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც NATO ჯერ იღებს გადაწყვეტილებას და შემდეგ იწყებს ფიქრს, როგორ მოიყვანოს სისრულეში მის მიერვე ერთხმად მიღებული შეთანხმება. აპრილის თვეში ბუქარესტის სამიტზე ალიანსმა გადაწყვიტა, რომ საქართველო და უკრაინა აუცილებლად გახდებიან ალიანსის წევრები. თუმცა, არ მიუცია ამ ქვეყნებისათვის ნათელი „საგზაო რუკა“.

ამჯერად, ბრიუსელის მინისტერიალის შემდეგ, გაჩნდა ახალი ელემენტი ყოველწლიური ეროვნული პროგრამის სახით. თუმცა აქაც არ არის მითითებული მისი შედგენის ვადა და სავარაუდო ვალდებულებები. მეტიც, ვერც იაპ დე ჰოოპ სხეფერმა, ვერც კონდოლიზა რაისმა და ვერც საქართველოსა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ვერ განმარტეს, რა განსხვავებაა MAP-სა და AAP-ის ვალდებულებებს შორის.

კომუნიკეს თანახმად ცხადია მხოლოდ ის, რომ ასეთი ყოველწლიური ეროვნული პროგრამა NATO-საქართველოსა და NATO-უკრაინის კომისიების ფარგლებში შემუშავდება, მაგრამ თუ უბრალო გამორიცხვის მეთოდით ვიხელმძღვანელებთ, ეს მოხდება არა უადრეს 2009 წლის იანვრისა, რადგან დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მალე დაიწყება საშობაო არდადეგები და NATO-ში საქართველოსა და უკრაინის პროგრამებისათვის არავის ეცლება. შემდეგ კიდევ სულ მცირე ერთი თვე პროგრამის დამტკიცებას დასჭირდება. მომავალი წლის აპრილში კი NATO-ს საიუბილეო, მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი სამიტი უნდა გაიმართოს საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგსა და გერმანიის ქალაქ კელნში და საქართველო და უკრაინა ვერც „ამ ბაქანზე შეძლებენ NATO-ს მატარებელში ასვლას“.

უკვე ცნობილია საიუბილეო სამიტის დევიზი: „ევროპა თავისუფალი და მშვიდობიანი“. ცნობილია ისიც, რომ 2009 წლის აპრილში NATO კიდევ ერთხელ მოახდენს მისი რიგების გაფართოების დემონსტრირებას და უკვე ოფიციალურად მიიღებს წევრებად ხორვატიასა და ალბანეთს (ამჟამად საკანონმდებლო ორგანოების დონეზე მიმდინარეობს NATO-ს წევრ ქვეყნებში ალბანეთისა და ხორვატიის გაწევრების რატიფიკაციის პროცედურა).

გაწევრების რიგში დგას მაკედონია, რომელსაც 2008 წლის აპრილში წევრობაზე მხოლოდ მისი სახელწოდების გამო საბერძნეთის უკომპრომისო პოზიციის გამო უთხრეს უარი. MAP-ის წევრობის მომდევნო კანდიდატები არიან ბალკანეთის სახელმწიფოები ბოსნია-ჰერცეგოვინა და მონტენეგრო, რომლებიც ამჟამად წარმატებით ასრულებენ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო პროგრამას. რაც შეეხება შავი ზღვის აუზის ორ სახელმწიფოს — საქართველო და უკრაინას — ისინი მით უფრო ჩქარა შეახტებიან NATO-ს მატარებელს, რაც უფრო სწრაფად შეძლებენ იმის დამტკიცებას, რომ ჩრდილოატლანტიკურ კავშირთან არა მხოლოდ გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, არამედ ღირებულებებიც აახლოებთ.

**კობა ლიკლიკაძე,**
**რადიო „თავისუფლება“ ბრიუსელიდან სპეციალურად „არსენალისათვის“**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისევ სამხედრო ფლოტის შესახებ

კლასიკური გაგებით, სამხედრო-საზღვაო ფლოტი არის სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების სახეობა, რომლის შემადგენლობაში გაერთიანებულია სხვადასხვა კლასის წყალზედა, წყალქვეშა და დამხმარე ხომალდები, საზღვაო ავიაცია, რაკეტებითა და არტილერიით აღჭურვილი სანაპირო თავდაცვა, საზღვაო ქვეითები, სამხედრო-საზღვაო ბაზები საბრძოლო უზრუნველყოფისა (ზურგის, შეიარაღების, რემონტის, კავშირის) და სხვა შესაბამისი სამსახურებით.



სამხედრო-საზღვაო ფლოტის, როგორც ოპერატიულ-სტრატეგიული გაერთიანების დანიშნულებაა ოკეანეებისა და ზღვების საომარი მოქმედების თეატრზე ოპერატიული და სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტა როგორც სამხედრო-საჰაერო ძალებსა და სახმელეთო ჯარებთან ურთიერთმოქმედებით, ასევე დამოუკიდებლად, თავისი ძალებით.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს არ სჭირდება არც საოკეანო და არც თუნდაც შავი ზღვის მასშტაბებით დიდი ფლოტი. საქართველოს სჭირდება შედარებით მცირე, მაგრამ კარგად გააზრებული კლასებისა და სწორად გათვლილი რაოდენობის ხომალდებისაგან შემდგარი ბრძოლისუნარიანი სამხედრო-საზღვაო ძალები სანაპირო თავდაცვით, შესაბამისი საზღვაო ავიაციით, საზღვაო ქვეითებით, ტექნიკური ბაზით და გონივრული მოცულობის საბრძოლო უზრუნველყოფის ყველა დამხმარე სამსახურით.

სამხედრო-საზღვაო ძალები საქართველოსათვის ძალზე საჭიროა, თუნდაც სანამ აღდგება მისი ტერიტორიული მთლიანობა. არაფერს ვამბობ იმ დროზე, როდესაც შავი ზღვა გამოცხადდება დემილიტარიზებულ ზონად და სამხედრო-საზღვაო ძალები თავისთავად გაუქმდება სხვა ქვეყნების ფლოტებთან ერთად (თუ, რა თქმა უნდა, რუსეთი წავა ასეთ გაუგონარ დათმობაზე). ლაპარაკი იმაზე, რომ სახელმწიფოს არა აქვს ორი ფლოტის შენახვა-პატრონობის სახსრები, არის ყურით მოთრეული საბაბი, და რაც ძალიან არადამაჯერებლად ჟღერს. სამხედრო მეზღვაურების მესაზღვრეებთან მიერთების შემდეგ ხომ ისევ საქართველომ უნდა შეინახოს ისინი?

ან კიდევ იმის მტკიცება, რომ ომიანობის შემთხვევაში მთელი სანაპირო დაცვა გადავა თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში, ყველანაირ საფუძველს მოკლებულია: ჯერ ერთი, რატომ გამოგვყავს, და მეორეც — ისევ რატომ ვაბრუნებთ, ან და რა უნდა გადავიდეს დაშლის შემდეგ?! ან რისი გამკეთებლები იქნებიან ყოველგვარ საბრძოლო მომზადებას მოკლებული მეზღვაურები?! მოუმზადებელი, უვარჯიშებელი ხალხის გაშვება ზღვაში საბრძოლველად იქნება მათთვის გამოტანილი უპირობო სასიკვდილო განაჩენი.

ასევე უსუსურად ჟღერს განცხადება „საერთაშორისო თანამეგობრობის მოთხოვნის“ შესახებ. კონკრეტულად, ვინ მოითხოვა, რომ სამხედრო-საზღვაო ძალები შეერთებოდა სანაპირო დაცვას? ვინ ეკითხება იმ „ვიღაცას“ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების საკითხების ამგვარად გადაწყვეტა. და მაინც, თუ ასე მონდომებით ვასრულებთ სხვის ბრძანებებს, მაშინ რა შუაშია სახსრების უქონლობა?!

სანაპირო დაცვა, ანუ საზღვაო მესაზღვრეები, ისევე აუცილებელია ქვეყნისათვის, როგორც სხვა ნებისმიერი სახელმწიფო სტრუქტურა, და არ არსებობს სამხედრო მეზღვაურების მესაზღვრეებთან დაპირისპირების არავითარი მიზეზი, — „ორივე ბედკრული საქართველოს შვილია“. მიზეზი არის მხოლოდ ერთი — ვიღაცის ამბიციები. მათი ერთ ჭერქვეშ გაერთიანება საჭიროა, მაგრამ რატომ სამხედრო ფლოტის გაუქმების ხარჯზე?! გაერთიანება უნდა მოხდეს სწორედ სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზაზე და ეს იქნება გაძლიერება! ამ გაერთიანებით სანაპირო დაცვის ფუნქციები არ შეიცვლება, ხოლო საჭიროების დროს ყოველთვის შეიძლება მათი გაძლიერება სამხედრო მეზღვაურების ძალებით. ასე იყო ეს ჩაფიქრებული დასაბამიდან და დაკანონებული სამხედრო-საზღვაო ძალების შტატების სახით, ხოლო საომარ პირობებში სამხედრო მეზღვაურები იომებენ, მესაზღვრეები კი შეასრულებენ დამხმარე ფუნქციებს (პატრულირება, დაზვერვა), ვინაიდან მათი კატარღები არ არის ზღვაზე საბრძოლველად გათვალისწინებული. ასეთი პრაქტიკა გამოცდილი და მიღებულია მთელ მსოფლიოში.

თუ არა და რა გამოდის: რუსებს რომ ჩავარდნოდათ ხელთ ჩვენი ხომალდები, ახლა ყველა იქნებოდა ზღვის ფსკერზე, როგორც „თბილისი“ და „დიოსკურია“, რადგან მათი მიზანი იყო და არის ჩვენი სამხედრო პოტენციალის განადგურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც მათ გადაურჩა, იმას ვანადგურებთ. რატომ ვამბობ „ვანადგურებთ"? იმიტომ, რომ სანაპირო დაცვას — მესაზღვრეებს — აქვთ მთელი რიგი საერთაშორისო შეზღუდვები შეიარაღების ტიპებისა და კალიბრის მიხედვით. მაგ., ვისაც ოკეანე აკრავს, სასაზღვრო ხომალდებს შეიძლება ჰქონდეთ 76 მმ-დე კალიბრის შეიარაღება, ხოლო ისეთ შიდა ზღვებში, როგორიცაა შავი, ბალტიის, კასპიის, აზოვისა და სხვა ზღვები — კალიბრი არ უნდა აღემატებოდეს 12,7 მმ-ს!

ვთქვათ, დავარღვიეთ ყველა შეზღუდვა და ჩვენი საჭიროებისდა მიხედვით გავზარდეთ შეიარაღების კალიბრი. როგორ გგონიათ, რამდენმილიმეტრიანი ქვემეხის გასროლას გაუძლებს ჩვენი სასაზღვრო კატარღების დიურალისა და პლასტიკის კორპუსები? ყველა ხომალდის პროექტირება იწყება მისი შეიარაღების კალიბრიდან. ასეც ჰქვია — მთავარი კალიბრი. და ამ მთავარი კალიბრის მოთხოვნებს ექვემდებარება ისეთი საკითხების საინჟინრო გაანგარიშებები, როგორიცაა ხომალდის წყალწყვა, კორპუსის კონსტრუქცია, მექანიკური სიმტკიცე და სხვა. ხოლო მესაზღვრეების კატარღები, როგორც უკვე მოგახსენეთ, ყველა მსუბუქი ტიპისაა (მცირე წყალწყვის), ე. ი. მათზე მძიმე შეიარაღების დაყენება გამორიცხულია. მაშ რა აზრი აქვს ომიანობის შემთხვევაში სანაპირო დაცვის ისევ თავდაცვის სისტემაში დაბრუნებას, თუ მას არ შეეძლება არათუ ზღვაზე საბრძოლო ოპერაციების ჩატარება, არამედ საკუთარი თავის დაცვაც?

რატომ ხდება ასეთი, ქვეყნისათვის მასშტაბური საკითხის — შეიარაღებული ძალების სახეობის გაუქმების — შინაურულად, დილეტანტურ დონეზე გადაწყვეტა, სპეციალისტებთან კონსულტაციებისა და საკითხის ძირეული შესწავლის გარეშე? ან ჩვენი პარლამენტი რატომ ჩქარობს საკითხის შეუსწავლელად, აჩქარებული ტემპით დადგენილების მიღებას ქვეყნისათვის ესოდენ მნიშვნელოვან ნაბიჯზე ურთულეს სამხედრო-პოლიტიკურ, ფაქტობრივად, საომარ ვითარებაში? საინტერესოა, საიდან მოდის ეს „ნოვაციური" ინიციატივა? სამხედრო-საზღვაო ძალებს სჭირდება არა გაუქმება, არამედ მზრუნველობა და დახმარება.

**ტრისტან დანელია**

*საარტილერიო კატარღა „ახმეტას" ყოფილი მეთაური*

*არგუმენტირებული განსხვავებული მოსაზრების შემთხვევაში დაგვიკავშირდით რედაქციაში.*

საქართველო საზღვაო ქვეყანაა, მისი საზღვრის 1/3 ზღვის სანაპიროს უკავია. ბუნებრივია, სახელმწიფოს, რომელსაც ზღვა აქვს, უნდა ჰყავდეს კარგად განვითარებული ფლოტი. ეს სახელმწიფოს ვალდებულებაა, სტრატეგიაა, დაიცვას თავისი ტერიტორიული წყლები. გარდა ამისა, ეს სახელმწიფოს პრესტიჟია, ჰყავდეს ქმედუნარიანი სამხედრო-საზღვაო ძალები.

დღევანდელი გადაწყვეტილებით ჩვენ არა მარტო სტრუქტურულად ვშლით სამხედრო-საზღვაო ძალებს, არამედ სამუდამოდ ვასამარებთ სახელმწიფოს საზღვაო თავდაცვისუნარიანობას. გავა დრო და მომავალი თაობა მიხვდება, რომ ზღვა და ტერიტორიული წყლები უნდა დაცულ იქნეს შესაბამისი უწყებების მიერ, მაგრამ ყველაფერი ნულიდან უნდა დაიწყონ. ეს შეეხება არა მარტო კადრებს, არამედ ტექნიკას, მცურავ საშუალებებს, მათ მოვლა-პატრონობას, სარემონტო უბნებს, მშრალ დოკებსა და ა.შ. ამაზე მთავრობა მაშინაც არ ფიქრობდა, სანამ ასეთ ყოვლად გაუმართლებელ გადაწყვეტილებას მიიღებდა. აგვისტოს მოვლენებმა ცხადყო, რომ რუსეთის ერთ ტექნიკურად გაუმართავ ხომალდთანაც კი არ შეგვიძლია შერკინება, რომელიც მოვლენების დამთავრების შემდეგ ბუქსირით შეიყვანეს სევასტოპოლის პორტში, 7 ცხედრითა და ორი აფეთქებული სარაკეტო შახტით.

ამიტომაც ვურჩევ მთავრობის ზოგიერთ წარმომადგენელს, რომ თავი შეიკავოს დილეტანტური განცხადებებისგან. თურმე სამხედრო-საზღვაო ძალები არასდროს ყოფილა ძლიერი და მის გასაძლიერებლად სხვა უწყებაში გადაცემაა საჭირო. რატომ არ იყო ძლიერი სამხედრო-საზღვაო ძალები, ამაზე არავინ დაფიქრებულა, არავის უფიქრია მის მოდერნიზაციაზე, სამხედრო-საზღვაო ძალების შენახვა-პატრონობა ძვირი სიამოვნებაა. არადა, უამისოდ საქართველოს სახელმწიფოს განვითარება შეუძლებელია. საზღვაო ქვეყანას უნდა ჰყავდეს ფლოტი, ეს მისი ვალდებულებაა საერთაშორისო არენაზე. „კოსტ გარდ-ი" არ არის სამხედრო ფლოტი და ვერც ვერასდროს იქნება. რადგან ფუნქციონალურად განსხვავდება ერთმანეთისგან სამხედრო-საზღვაო ძალები და სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვა.

# პირველი საარტილერიო საველე სწავლება ომის შემდეგ



МСТА-Б-ს ბატარეა პირდაპირი დამიზნებით სროლების შემდეგ სწრაფად იცვლის საცეცხლე პოზიციას

**საქართველოში რუსული აგრესიის შემდეგ ქართულმა არტილერიამ პირველი საველე მასშტაბური სწავლება ნოემბრის ბოლოს ორფოლოს საწვრთნელ პოლიგონზე გამართა.**

პოლიგონზე მისულ სტუმრებს რაც თვალში მოხვდებოდათ, ეს იყო წესრიგი და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის საჰაერო თავდაცვის ორგანიზება. ნებისმიერი სასწავლო ამოცანის შესრულებისას საომარი ვითარებიდან სამი თვის წინ გამოსულ სამხედრობს სამაგალითო თავდადება და გულმოდგინება ეტყობოდათ. არტილერიის წვრთნების ერთ-ერთ მიზანს ახალშექმნილი მეორე საარტილერიო ბრიგადის სხვადასხვა დანაყოფის ერთობლივი კოორდინირებული მოქმედება წარმოადგენდა. საველე სწავლებების მასშტაბურობას ისიც ადას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურებდა, რომ მასში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეითი ბრიგადის საარტილერიო ბატალიონები მასში შემავალი ტექნიკითა და პირადი შემადგენლობით.

მეხუთე ქვეითი ბრიგადის მისაბმელი საარტილერიო 152-მილიმეტრიანი ქვემეხები MSTA-B და მესამე ბრიგადის 122-მილიმეტრიანი ჰაუბიცები Д-30 ცალკეული მეორე საარტილერიო ბრიგადის ზალპურ რეაქტიულ საარტილერიო ტექნიკასთან ერთად პირობითი მოწინააღმდეგის პოზიციებს ჩვეული გულმოდგინებით ანადგურებდა.

შიდა ქართლში შემოჭრილ რუს ოკუპანტებს სწორედ ქართულმა არტილერიამ შეუქმნა ის წინააღმდეგობა, რა-



მოდერნიზებული RM-70-ები ზალპის წინ







# ქართულ არმიას მეორე საარტილერიო ბრიგადაც გამოუჩნდა

ნოემბერში ორფოლოს პოლიგონზე ახალჩამოყალიბებული მეორე საარტილერიო ბრიგადის ორკვირიანი წვრთნები გაიმართა. ბრიგადის მეთაური პოლკოვნიკი არსენ ცუხიშვილი ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე პირველი საარტილერიო ბრიგადის შტაბის უფროსი გახლდათ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა პირველი საარტილერიო ჯგუფი. სწორედ მის ბაზაზე ჩამოყალიბდა მეორე საარტილერიო ბრიგადა.

**— ბატონო არსენ, ვისი ინიციატივა იყო ამ ბრიგადის ჩამოყალიბება და რატომ გახდა საჭირო კიდევ ერთი საარტილერიო ბრიგადა?**

— 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს საომარ მოქმედებებში ის ქვედანაყოფებიც მონაწილეობდნენ, რომლებიც ამჟამად მეორე საარტილერიო ბრიგადის ძირითადი შემადგენლობაა. მათ თავიც გამოიჩინეს და მაღალი შედეგიც აჩვენს, მაგრამ მართვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელი გახდა მეორე ბრიგადის შექმნაც თავისი მმართველობითა და შტაბით. მას დაემატა რამდენიმე სტრუქტურული ელემენტიც და მივიღეთ ჩამოყალიბებული სტრუქტურული ერთეული. ამჟამადაც მიმდინარეობს მისი მართვის სისტემების გაუმჯობესება, დახვეწა. ჩვენი ბრიგადის მუდმივი დისლოკაციის ადგილი ქალაქი ხონია. ინიციატივა უპირვე-





ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსი „ფაგოტი“ გასროლის წინ

იზნებით ცეცხლი გაუხსნან ქართველმა ჯარისკაცებმა. ამიტომ პირობით მტერთან ბროლაში „ფაგოტების“ შემდეგ მეხუთებრიგადელები ერთვებიან და 152-მილიმეტრიანი ქვემეხებით რამდენიმე ტანკი ზუსტი დარტყმებით გამოჰყავთ მწყობრიდან. ისევ გამოცდილებიდან გამომდინარე, შესაძლოა, მოწინააღმდეგე ვერც ამან გააჩეროს და ძლიერი შეტევით ხელში ჩაიგდოს პირისპირ დარჩენილი საარტილერიო ტექნიკა. ამ დროს სასწავლო სიტუაციაში მეორე საარტილერიო ბრიგადის მძიმე არტილერია ერთვება. ჯერ დანადივიზიონი, შემდეგ რეაქტიული არტილერია RM-70-ები ჯვარედინი ცეცხლით პირობით მოწინააღმდეგეს შანსს არ უტოვებს, მათი ცეცხლის ქვეშ „ფაგოტის“ სპეციალისტებმა და



ჭურვები სამიზნეებს ხვდება...

მაც ოკუპაციის იდეას ხელი სერიოზულად შეუშალა. ცალკეულ საარტილერიო ბრიგადას ყველაზე მცირე ტექნიკური დანაკარგი ჰქონდა. ამ წვრთნების მასშტაბურობასა და უნიკალურობაზე იცის მეტყველებდა, რომ პირველად საველე სწავლებების ისტორიაში გადასატანი ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სისტემის „ფაგოტების“ საბრძოლო სროლებიც გაიმართა. დასკვნით ეტაპზე სპეციალურად საჩვენებელი სწავლება დაიგეგმა და სამხედროებს პირობითი ამოცანა მიეცათ.

პირობითად, მოწინააღმდეგის ჯავშანტექნიკა არტილერისტების მიერ გამაგრებულ პოზიციებს მიუახლოვდა. სამხედროებს სატანკო კოლონა უნდა გაენადგურებინათ. პირველი დარტყმა კი სწორედ „ფაგოტის“ სპეციალისტებს უნდა მიეყენებინათ. 5 გასროლიდან 4 მიზანშია და მოწინააღმდეგის ტანკების ფლაგმანი ტექნიკა მწყობრიდან გამოვიდა. პრაქტიკიდან გამომდინარე, შესაძლოა, მოწინააღმდეგეს მეტი ჯავშანტექნიკა ჰყავდეს, ამიტომ საჭირო გახდება გამაგრებული პოზიციის ახლოს შემოჭრილ ტანკებს 152-მილიმეტრიანი ქვემეხებიდან პირდაპირი დამ-

## თემის გაგრძელება

ლესად გენერალ დევი ჭანკოტაძეს ეკუთვნის. იდეა და პროექტი, ბუნებრივია განხორციელდა სახმელეთო ჯარების სარდლობასთან, გენერალურ შტაბსა და თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

— **როგორ დაკომპლექტდა ახალი ბრიგადა, სხვა ბრიგადების შემადგენლობის ხარჯზე ხომ არა?**

— განსაზღვრული რაოდენობა გადმოვიდა პირველი საარტილერიო ბრიგადიდან, რომელიც განლაგებული იყო ქალაქ გორში. ძირითადად, ახალი ბრიგადა დაკომპლექტებულია პირველი საარტილერიო ჯგუფის კადრებით.

ეს არის სრულყოფილი, სტანდარტული ბრიგადა, რომელშიც შედის 6 ბატალიონი: რეაქტიული საარტილერიო ბატალიონი, 152-მილიმეტრიანი თვითმავალი დანადგარის 2C3 „აკაციის“ ბატალიონი, DANA-ს ბატალიონი; ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებითა და მართვადი რაკეტებით დაკომპლექტებული სამი ბატარეა, საბრძოლო უზრუნველყოფის ბატალიონი, რომლის შემადგენლობაში შედის 4 ასეული — დაზვერვა, კავშირგაბმულობა, დაცვისა და ჰაერსაწინააღმდეგო ასეულები; ლოგისტიკური უზრუნველყოფის ბატალიონი და, ბუნებრივია, ბრიგადის მმართველობა, ეს მეშვიდე ელემენტია ბრიგადისა.

— **ორფოლოზე ორკვირიანი, საკმაოდ მასშტაბიანი წვრთნები გაიმართა. რა იყო მისი მიზანი და რა შედეგები აჩვენა?**

— ეს ერთგვარი გამოცდა იყო ჩვენი ბრიგადისათვის. ბრიგადის ჩამოყალიბება, ფაქტობრივად, წვრთნებით დაიწყო, რომელშიც სრული შემადგენლობა მონაწილეობდა. წვრთნები მიმდინარეობდა როგორც დღისით, ასევე ღამით. მომზადებისათვის ძალიან ცოტა დრო, პრაქტიკულად, 4 დღე გვქონდა. სამშაბათს დამისვეს ამოცანა და შაბათს ქვედანაყოფებმა დაიწყეს წვრთნების რაიონში გადაადგილება, მომზადება და წვრთნების ჩატარება. 3-4 დღის განმავლობაში მოხდა სრული მობილიზება. ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ წვრთნები ხარისხიანად და მაქსიმალური უზრუნველყოფით ჩატარებულიყო.

გარდა ძირითადი წვრთნებისა და ტაქტიკური სწავლებებისა, ჩატარდა საარტილერიო ქვედანაყოფებიდან სროლები და ამოცანების შესრულებისას ტანკსაწინააღმდეგო ქვედანაყოფების საცეცხლე მხარდაჭერა.

ჩვენთან ერთად სწავლებებში მონაწილეობდა ექიმების ჯგუფი სამედიცინო ბატალიონიდან. სპეციალისტები იყვნენ მოვლინებული კავშირგაბმულობის ბატალიონიდან, სასწავლო ცენტრ „კრწანისიდან“, რომლებმაც 60მმ, 82მმ და 120-მილიმეტრიანი ნაღმსატყორც-

ეროვნული ბიბლიოთეკა



არტილერისტებმა სწრაფად უნდა შეიცვალონ საცეცხლე პოზიცია. სწორედ ასეთმა მოქმედებამ დაიცვა საარტილერიო ბრიგადის ტექნიკა განადგურებისგან.

ამასობაში დაბნელდა. საველე საჩვენებელი სწავლების სცენარში ღამის ფაქტორიც იყო გათვალისწინებული. მოწინააღმდეგის ჯავშანტექნიკას „ფაგოტის“ სპეციალისტები კვლავ მიეპარნენ და ბოლო დარტყმა მიაყენეს. ღამის სროლების დროს სროლის მანძილი არ შეცვლილა. 5 გასროლიდან ორი საბრძოლო მასალის უხარისხობის გამო მიზანს ვერ მოხვდა. სამმა კი ტანკი გააჩერა. საჩვენებელ სწავლებას შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელი, სახმელეთო ძალების სარდალი და სხვა მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურეები დაესწრნენ. სწავლების დასასრულს ითქვა, რომ ანალოგიური წვრთნები კვლავ დაიგეგმება. შედეგმა ცხადყო, რომ ქართველი არტილერისტები და ტანკსაწინააღმდეგო საშუალებები კვლავ მზად არიან ქვეყნის დასაცავად. ორკვირიანი სწავლება დასრულდა და ჯარისკაცები დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდნენ.



ამ სწავლებას ახალშექმნილი მეორე საარტილერიო ბრიგადის მეთაური პოლკოვნიკი არსენ ცუხიშვილი ხელმძღვანელობდა. მან შეიმუშავა ყველა ის პირობითი ამოცანა, რომლებიც მომავალში ქართველ არტილერისტებს სამშობლოს დაცვისას გამოადგებათ. მეორე საარტილერიო ბრიგადა გორში დისლოცირებული საარტილერიო ბრიგადის ბაზაზე შეიქმნა. ბრიგადის ბაზა კი ხონში განთავსდა. პირველი საველე სწავლებები წარმატებით დასრულდა, რაც ორფოლოს საწვრთნელ პოლიგონზე მისულმა სამხედრო მაღალჩინოსნებმაც აღიარეს.

*სპეციალურად „არსენალისთვის“*
*გიორგი თუხარელი*
*ტელეკომპანია „საქართველო“*

## თემის გაგრძელება

ნების მსროლელთა მომზადებაში მიიღეს მონაწილეობა.

**— უცხოელი ინსტრუქტორები თუ მონაწილეობდნენ და რა შეიარაღებით მიმდინარეობდა სწავლებები?**

— უცხოელი არა, ძირითადად, ჩვენი ინსტრუქტორები მონაწილეობდნენ — ჩვენი საარტილერიო ბრიგადის ბატალიონების მეთაურები და ოცმეთაურები, რომლებიც წამყვანი სპეციალისტები არიან.

რაც შეეხება შეიარაღებას, სიახლე ის იყო, რომ ჩატარდა ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტების სროლები დღისთაც და ღამითაც.

ამ წვრთნების ჩატარებაში თავისი წვლილი შეიტანეს როგორც ჩვენი ბრიგადის ტანკსაწინააღმდეგო ქვედანაყოფის ოფიცრებმა, ასევე პირველი საარტილერიო ბრიგადიდან მოწვეულმა ინსტრუქტორებმა, — პოლკოვნიკმა ცინაძემ, უმცროსმა ოფიცრებმა და სერჟანტებმა, რომლებმაც წარმატებით გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას.

სწავლების პერიოდში განსაკუთრებულად ვგრძნობდით მეც და პირადი შემადგენლობაც თავდაცვის სამინისტროს, გაერთიანებული შტაბისა და სახმელეთო ჯარების მეთაურობის თანადგომას. სახმელეთო ჯარების სარდლობა, გაერთიანებული შტაბის უფროსი, მისი მოადგილე და სხვადასხვა დეპარტამენტის უფროსები მეცადინეობებსა და სწავლებებს ესწრებოდნენ.

**— მომზადების რა დონე აჩვენა ახალმა ბრიგადამ და ახლო მომავალშიც თუ იგეგმება ამ სახის წვრთნები?**

— რაც გაკეთდა, მაქსიმალურად წარმატებული და ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ბრიგადისათვის და შეიარაღებული ძალებისათვის. ბრიგადა ახალი ჩამოყალიბებულია, თუმცა იმ ქვედანაყოფებსა და სპეციალისტებს, რომლებიც ბრიგადაში შედიან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პრაქტიკა რეალური საომარი მოქმედებებისას აქვთ გავლილი. ჩვენი ძირითადი ამოცანა იყო მართვის ელემენტების შერწყმა და იმ ნაკლოვანებების აღმოფხვრა, რაც აგვისტოს საომარი მოქმედებებისას გამოვლინდა. ვფიქრობ, მიზანს მივაღწიეთ. თუმცა, დარჩა კიდევ საკითხები, რომლებზეც ვაგრძელებთ მუშაობას და ჩავატარებთ კიდევ დამატებით შეკრებებს. მომავალი წლის იანვრიდან ისევ დავიწყებთ მომზადებას. უკვე შემუშავებულია გეგმა 2009 წლისათვის. ამ გეგმიდან და იმ ამოცანებიდან გამომდინარე, რომელიც დასახული იქნება ბრიგადის წინაშე, მომავალ წელს ჩავატარებთ სწავლებებს.

იგეგმება შეიარაღების განახლება, ჩვენს ბრიგადაში საარტილერიო მართვისა და კონტროლის სისტემების გავრცელება-დანერგვა.

*ნინო მამუკაძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხო სპეცსამსახურების ისტორია კავკასიაში

XXI საუკუნის დასაწყისშივე ნათელი შეიქნა, რომ დინამიკურად განვითარებულ პროცესებს თან მოჰყვებოდა ისეთი პოლიტიკური ცვლილებები, რომლებიც ძირფესვიანად შეცვლიდნენ ცხოვრების ფილოსოფიასა და იდეოლოგიურ ბაზისს. სამხედრო-ტექნიკური რევოლუციის დაწყებამ გამოიწვია იმპერიული აზროვნების რყევა არა მარტო საომარი მოქმედების, არამედ დიპლომატიისა და პოლიტიკური ინტრიგების წარმოებისასაც. რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელის მთავარ შემადგენელ ნაწილსა და იარაღს წარმოადგენდნენ მაშინდელი იმპერიული სახელმწიფოების სპეცსამსახურები, რომელთა მნიშვნელობა, წონა და მისია ერთიორად გაიზარდა. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის იაპონია-რუსეთის 1904-1905, დიდი ბრიტანეთი-ბურების 1998-1902 წლების ომების ბედი, ძირითადად, გადაწყვიტა ეფექტიანად ჩატარებულმა სადაზვერვო ოპერაციებმა. გასაკვირი არ უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ პირველი მსოფლიო ომი, ეს გრანდიოზული „ფეიერვერკი", ევროპის კონტინენტზე შესაბამისი ქვეყნის სპეცსამსახურებმა დაიწყეს 1914 წლის ივნისში საბედისწერო გასროლით. როგორც თავის დროზე გერმანიის „რკინის კანცლერმა" იწინასწარმეტყველა: „თუ ევროპაში კიდევ ერთი ომი გაჩაღდა, ის აუცილებლად ბალკანეთში მომხდარი სისულელეების გამო დაიწყება". მართლაც სწორედ ბალკანეთში მოფიქრებულმა და განხორციელებულმა პროვოკაციამ, ანუ ტერორისტულმა აქტმა, რომელიც შეასრულა სერბულმა საიდუმლო ორგანიზაცია „შავმა ხელმა", ევროპაში სისხლიანი კალო დაატრიალა და მას 10 მილიონი კაცი შეეწირა. ამიტომაც იყო XX საუკუნის დასაწყისი სპეცსამსახურების ოქროს ხანად, სადაც ჩამოყალიბდა უფრო გაწაფული სამხედრო მოქმედებისა და პოლიტიკური ტერორისთვის დამახასიათებელი მეთოდები და საშუალებები.

1914 წლის 28 ივნისს ქალაქ სარაევოში სერბთა ტერორისტული ორგანიზაცია „შავი ხელის" წევრმა გავრილა პრინციპამ სასიკვდილოდ დაჭრა ავსტრია-უნგრეთის ერცჰერცოგი ფერდინარდი და მისი მეუღლე. ამას შედეგად მოჰყვა პირველი მსოფლიო ომი.

„შავი ხელი" დაარსდა 1903 წელს რამდენიმე სერბი სამხედრო ოფიცრის თაოსნობით. 1903 წლის გადატრიალება სერბეთში, როდესაც ერთი სამეფო დინასტია შეიცვალა მეორეთი, სწორედ ამ ორგანიზაციამ მოახდინა. სერბეთი ამ ორგანიზაციის წყალობით გარდაიქმნა ბურჟუაზიულ-საპარლამენტო სახელმწიფოდ, რომელშიც მეფის ძალაუფლება კონსტიტუციით შეიზღუდა და „შავი ხელის" ლიდერის პოლკოვნიკ აპისის (დრაგუტინ დმიტრიევიჩი), რომელიც ამავე დროს იყო სერბეთის სამხედრო დაზვერვის შეფი, ძალაუფლება იქნა აღიარებული. აპისი 1916 წელს მოკლეს.

ფაქტობრივად, სერბეთის სამხედრო დაზვერვა პოლიტიკური მართვის ინსტრუმენტად გადაიქცა და XX საუკუნეში ბიძგი მისცა სამხედროების უშუალოდ ჩარევას პოლიტიკური მართვის საკითხებში. სწორედ სერბეთის სამხედრო დაზვერვა, რომელიც სინამდვილეში შექმნილი, მომზადებული და პოლიტიკურად მოტივირებული იყო ცარისტული რუსეთის სამხედრო დაზვერვის მიერ და წარმოადგენდა მის ერთგვარ ბალკანურ ფილიალს, იყო XX საუკუნეში პოლიტიკური გადატრიალებისა და დიდი პოლიტიკური ინტრიგების ბიძგის მიმცემი სტრუქტურა, რომელიც მართავდა თვით სერბეთის სამეფოს და წარმოადგენდა რეგიონული ძლიერების სიმბოლოს. წინსმწრები კომენტარის სახით, შემდგომ ეტაპებზე რუსებმა კიდევაც გამოიყენეს ეს გამოცდილება, უფრო სწორად, საბჭოთა დაზვერვის წარმომადგენლებმა გამოიყენეს ჯერ საბჭოთა იმპერიის შიდა პოლიტიკური გავლენის (იგივე ლევ ტროცკის რეალური ძალაუფლება 1919-1927 წლებში, მისი მოადგილის სლუცკის მეშვეობით, რომელიც იყო რევსამხედრო საბჭოს სამხედრო სადაზვერვო განყოფილების სარეგისტრაციო უჯრედის შეფი და მისი მოადგილე) და რეგიონული (ესპანეთში კომუნისტური ძალების მოყვანა და სამოქალაქო ომის დროს აქტიური მონაწილეობა) სიძლიერის მოპოვების მიზნით.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე და შემდგომ პერიოდში გაიზარდა სამხედრო დაზვერვის როლი მოწინააღმდეგის სამობილიზაციო რესურსების გეგმების შემუშავებაში, არმიების განლაგებაში, ოპერატიული დაგეგმარების პრინციპებსა და ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში, ისევე როგორც სამხედრო შეიარაღებასა და ეკონომიკური რესურსების გამოყენებაში. იმ პერიოდში ძირითად მეომარ მხარეებს შეადგენდნენ: რუსეთის იმპერია, კაიზერული გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთისა და ოტომანური იმპერიები. თითოეულმა მათგანმა უკვე პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე შექმნა საკმაოდ ეფექტიანი სტრუქტურები და ჩაატარა სტრატეგიული დონის სადაზვერვო ოპერაციები. ამიტომაც ურპიანი იქნებოდა თითოეულის სტრუქტურების მოკლედ გაცნობა:

ცარისტული რუსეთის სამხედრო სადაზვერვო სტრუქტურები/მოკავშირეთა სტრუქტურების მოკლე ინფო-მემო: ცარისტულ რუსეთში სამხედრო დაზვერვა დაარსდა 1903 წელს და მას ეწოდა „გენერალური შტაბის სადაზვერვო განყოფილება" (სტრატეგიული დაზვერვა), შემდგომში ის გადაკეთდა ე.წ. „გენერალური შტაბის 2 სამმართველოდ". მის ფუნქციებში გარდა სტრატეგიული აგენტურული საქმიანობის შედიოდა სამხედრო კონტრდაზვერვის ფუნქციების შესრულება. ფორმალურად განყოფილება შედიოდა სამხედრო სამინისტროს დაქვემდებარებაში. განყოფილებაში შემადგენლობაში შედიოდა ძირითადად ხუთი სტრუქტურული ერთეული:

აგენტურული ბიურო (1917 წლისთვის ბიუროს ეგიდით მოქმედებდა 40-მდე სადაზვერევო ორგანიზაციული სტრუქტურა, ძირითადად, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ);

სამხედრო ატაშატები საზღვარგარეთ;

კონტრსადაზვერვო უჯრედი;

ფრონტისპირა დაზვერვის მიმართულება;

ანალიტიკური უჯრედი.

სამხედრო დაზრვერვას ჰქონდა სადაზვერვო სკოლები, სათანადო მიმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერცჰერცოგი ფერდინანდი მეუღლესთან ერთად სარაევოში

რთულებების მიხედვით, მაგალითად, ყველაზე ვარშავაში, ლუბლიანში, კოვნოში, თბილისში, ლიუბიშევსკში და ა.შ. თითოეული სადაზვერვო კურსი მოიცავდა 2-3 კვირას, განსაკუთრებული აგენტებისთვის კი 2-3 თვესაც. სკოლებში ისწავლებოდა ტოპოგრაფია, დივერსიების მოწყობა, რუსული არმიის წესდება, სადაზვერვო ინფორმაციის გადაცემა და ა.შ. სადაზვერვო საქმიანობის გეოგრაფიული განაწილება ხდებოდა იმ დროს არსებული სამხედრო ოლქების მიხედვით, მაგალითად, ვარშავის სამხედრო ოლქის სადაზვერვო განყოფილება მოქმედებდა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ, კიევისა და ოდესის სამხედრო ოლქების განყოფილებები ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ, ხოლო კავკასიის სამხედრო ოლქისა კი ოსმალეთის წინააღმდეგ. გარდა ამისა, სანქტ-პეტერბურგისა და ვილნოს განყოფილებები, ანუ ცენტრალური აპარატი, მუშაობდნენ რუსეთის მთავარი მტრის — გერმანიის წინააღმდეგ. თითოეულ სამხედრო ოლქში მოქმედ სამხედრო დაზვერვის წარმომადგენლობაში მუშაობდა 6-10 ოფიცერი. რუსეთის სამხედრო დაზვერვის სათავეებთან იდგნენ ლეგენდარული მზვერავები: პოლკოვნიკი ნიკოლაი ბატუშინი, პოლკოვნიკი ზუბოვიჩი, კაპიტანი მიხაილ გალკინი და ა.შ. სადაზვერვო ბრწყინვალე ოპერაციებიდან გამოსაკვეთია მართლაც მაღალი დონის გადმობირებები. კერძოდ, პოლკოვნიკმა ბატუშინმა გერმანიის გენშტაბის მაღალი დონის მოხელე, პოლკოვნიკი როია, რომელიც აწვდიდა რუსულ დაზვერვას გერმანიის შეიარაღების შესახებ მასალებს, ხოლო პოლკოვნიკმა ზუბოვიჩმა, რომელიც იყო რუსეთის სამხედრო ატაშე ვენაში ,შეძლო შეუძლებელი — გადმოიბირა ავსტრია-უნგრეთის სამხედრო დაზვერვის შეფი, პოლკოვნიკი ალფრედ რედლი (ის ჰომოსექსუალისტი იყო), რომელმაც პირწმინდად ჩააბარა რუსებს ავსტრია-უნგრეთის ყველა სტრატეგიული მნიშვნელობის სამხედრო დანიშნულების ინფორმაცია. ამავე დროს პოლკოვნიკმა ბატუშინმა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე რუსეთ-გერმანიის ერთ-ერთი სამხედრო მანევრების დროს ინფორმაცია დასტყუა თვით გერმანიის კაიზერ ვილჰელმ II-ს – მალულად ამოუღო შარვლის ჯიბიდან უბის წიგნაკი და ფოტოგადაღების შემდეგ ისევ ჩაუდო ჯიბეში, თანაც მის გვერდით კაიზერის ბიძაშვილი – ნიკოლოზ II იდგა, ბატუშინის უშუალო უფროსი, რომელმაც არაფერი იცოდა ქურდბაცაცა ქვეშევრდომის შესახებ. ამავე დროს, 1866-1917 წლებში, რუსეთის პოლიტიკური დაზვერვისა და კონტრდაზვერვის შემადგენლობაში შედიოდა შემდეგი სტრუქტურები:

ჟანდარმერიის კორპუსი;

შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტი;

საიდუმლო-საკვლევი განყოფილება (ე.წ ოხრანკა ემორჩილებოდა უშუალოდ იმპერატორს, თუმცა ფორმალურად ექვემდებარებოდა ადგილობრივი პოლიციას);

რუსეთის სადაზვერო და კონტრსადაზვერვო სტრუქტურების დადებით მომენტებთან ერთად გამოსაყოფია მათი მაღალი დონის არაეფექტიანობა, ბიუროკრატიზმი, ღალატი და კორუფცია და საბოლოოდ იმპერიის „დაკარგვა“. მათ ვერ შეძლეს ბოლშევიკური პარტიის გადატრიალებისა და გერმანიის სამხედრო დაზვერვასთან მათი კავშირის ჩაშლა, რამაც მსოფლიო ისტორიაში საბედისწერო შედეგი გამოიწვია.

დიდი ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვა დაარსდა 1909 წელს და ე.წ. საიდუმლო სამსახურის (შეცრეტ შერვიცე)შემადგენლობაში. სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტი – MI5, რომლის შეფი გახდა კაპიტანი მენსფილდ კამინგი, მიმართული იყო გერმანიის შპიონაჟის წინააღმდეგ. ამასთან, სამხედრო დაზვერვის ეგიდით წარმატებით მუშაობდა სამხედრო-საზღვაო დაზვერვა, რომელსაც ჰქონდა დაშიფრვის განყოფილება. ძლიერი იყო სამხედრო კონტრდაზვერვა, რომელიც ასევე შედიოდა დეპარტამენტის შემადგენლობაში (სამხედრო კონტრდაზვერვის წარმომადგენლებმა, რომლებმაც პირწმინდად გაანადგურეს გერმანული სამხედრო დაზვერვის რეზიდენტურები დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში). დიდი ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო პოლკოვნიკი ლორენსი, რომელიც ხელმძღვანელობდა არაბულ პარტიზანულ მოძრაობას მესოპოტამიასა და არაბეთის ნახევარკუნძულზე თურქების წინააღმდეგ.

ფრანგული სამხედრო დაზვერვა, ისევე როგორც რუსული „კოლეგა“, ექვემდებარებოდა გენერალურ შტაბს და წარმოადგენდა მის მე-2 სამმართველოს. მიუხედავად წარმატებისა (თუნდაც ცნობილი გერმანელი ჯაშუში ქალის მატა ჰარის დაკავება), ფრანგული სამხედრო დაზვერვა არ გამოირჩეოდა შედეგიანი საქმიანობით და, ძირითადად, დაკავებული იყო ფრონტისპირა სადაზვერვო ოპერაციებითა და კონტრასადაზვერვო საქმიანობით.

*დასასრული შემდეგ ნომერში*

**ვახტანგ მაისაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ იხსენებს ცხინვალის ომს რეინჯერების სკოლაგამოვლილი ქართველი სერჟანტი

„ეს არის საბრძოლო მოქმედებების სრულიად ახალი და განსხვავებული სახე, მაგრამ ამავდროულად ძალზე ძველი, ისევე როგორც ომი... თუ გვინდა დავიცვათ ჩვენი თავისუფლება, ახალი სტრატეგია, სრულიად განსხვავებული შეიარაღებული ძალები და სამხედროების მომზადების პროგრამა გვჭირდება“, — ამბობდა ამერიკის პრეზიდენტი ჯონ კენედი და რეინჯერების სკოლას გულისხმობდა.




რეინჯერობას საფუძველი ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ჩაეყარა, როცა კაპიტანმა ბენჯამინ ჩერჩმა ინდიელ ტომებთან ბრძოლა დაიწყო. მოგვიანებით, ამერიკის დამოუკიდებლობისთვის ომის დროს, იგი ე.წ. რეინჯერების კორპუსისა და „მერიონის“ პარტიზანების სახელით იყო ცნობილი... თანამედროვე რეინჯერთა სკოლა მეორე მსოფლიო ომის დროს ჩამოყალიბდა. ამჟამად ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და კვალიფიციური კადრების მომზადებით არის ცნობილი. უმძიმესი სასწავლო პროგრამის გამო, მას მსურველთა მხოლოდ 50% თუ ამთავრებს, სხვები სასწავლებელს სხვადასხვა ეტაპზე ტოვებენ.

ქართველმა კურსანტმა, 25 წლის უფროსმა სერჟანტმა ლევან ჯოხაძემ ამერიკული სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა. როგორც ამბობს, იქ მიღებული გამოცდილება რუსეთ-საქართველოს ომში გამოადგა.

— რეინჯერების სკოლა ჯორჯიას შტატში, ფორდ-ბენინგთან ახლოს, კემპდერბის ბანაკში მდებარეობს. ამ კურსების გავლისას სამხედრო წოდებას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, კაპრალის ზევით წოდება გქონდეს, უმჯობესია, სერჟანტის ზევით თუ იქნება. კურსების გავლის მსურველი აუცილებლად უნდა იყოს ფიზიკურად კარგად მომზადებული, უნდა შეეძლოს 50 მიზიდვა, 70 პრესი და 13 წუთში 3200 კმ-ს უნდა გარბოდეს. აუცილებლად უნდა ცურავდეს და კარგად იცოდეს ინგლისური ენა, რადგან პირად შემადგენლობასთან ძალზე ბევრი საუბარი გჭირდება. მას შემდეგ, რაც ეს მოთხოვნები დავაკმაყოფილე, საქართველოში ჩემი ბატალიონის მეთაურმა დახასიათება მომცა. ფიზიკური მომზადების გარდა, სანანტონიოში ენის სასწავლო ცენტრში ვსწავლობდი ინგლისურ ენას. რეინჯერებში მოსახვედრად 80 ქულა უნდა დამეგროვებინა.

— **სასწავლებელში მისაღებად ტესტირებას გადიან?**

— დიახ, სამდღიანი ტესტირება გავიარე. პირველ დღეს ფიზიკური შესაძლებლობები შემიმოწმეს, — აზიდვები, პრესი, სირბილი, ცურვა... გარდა ამისა, თვალებახვეულს სამხედრო აღჭურვილობით განსაზღვრული სიმაღლიდან გვაგდებდნენ.

— **რაც, ალბათ, ერთგვარი ფსიქოლოგიური შემოწმებაც არის?**

— რა თქმა უნდა. შემდეგ სახმელეთო ნავიგაციაში ღამისა და დღის ტესტირებაც გავიარეთ. ტყეში, ჯუნგლებსა თუ გაშლილ ადგილას საჰაერო-სადესანტო ოპერაციების ჩატარებაც გვევალებოდა. ტესტებში ასევე შედიოდა 36 წუთში რვაკილომეტრიანი მანძილის გარბენა და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა სწავლება, რომელიც რამდენიმე ეტაპად იყო დაყოფილი. პირველ ეტაპს ფორდ-ბენინგში გავდიოდით, სადაც ძირითადად ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადების დონეს ამოწმებდნენ და ათეულის მეთაურებად გვამზადებდნენ. ათმეთაურად შეფასებების შემდეგ გვნიშნავდნენ.

— **ვინ გაფასებდათ?**

— რამდენიმედღიანი თეორიული მომზადების შემდეგ, ტყეში გავდიოდით და უკვე კონკრეტულ სამხედრო დავალებებს ვასრულებდით, ძირითადად, ღამით. ამ დროს ხდებოდა შეფასება, გქონდა თუ არა ჯგუფის ან ათეულის მეთაურობის პოტენციალი. რომელიმე ლიდერის თან-



ამდებობაზე დასანიშნად განსაზღვრული ამოცანის შესრულება გვიწევდა, თუ დაკისრებულ მოვალეობას კარგად გავართმევდით თავს, მომდევნო ფაზაზე გადასვლის შანსი გვეძლეოდა.

**— ძირითადად, რის გაკეთება გიწევდათ?**

— პატრულირება, ჩასაფრებებისა და რეიდის მოწყობა და მოწინააღმდეგესთან კონტაქტში შესვლა, სადაზვერვო ოპერაციები და ა.შ. ამ ყველაფერს პირად შემადგენლობასთან, ასეულთან ერთად ვაკეთებდით. ამ ამოცანის შესრულების შემდეგ, სანამ კიდევ ერთ ეტაპზე გადავიდოდით, ჯარისკაცები ერთმანეთს ვაფასებდით. გარდა ამისა, გვაფასებდა ინსტრუქტორიც, რა შეგეძლო, სად რა შეცდომა დაუშვი, სად კარგად მოიქეცი და საბოლოოდ ნებისმიერი კონკრეტული ოპერაციის თუ ამოცანის დეტალური შესწავლა და გაანალიზება იწყებოდა. ძალზე მნიშვნელოვანი იყო ჯარისკაცის ფსიქოლოგიური შესწავლა, როგორი იყო სხვებთან ურთიერთობაში. უნდა შეგვძლებოდა ხალხის აყოლიება. მაგალითად, ვცდილობდით ათი კაციდან ცხრაზე ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოგვეხდინა. უკიდურესად სტრესულ მდგომარეობაში გვიწევდა ყოფნა, მშივრები, უძილოები და გადაღლილები ვიყავით, მიუხედავად ამისა, საბრძოლო მოტივაცია არ უნდა დაგვეკარგა. ჯგუფიდან ერთ-ერთი ლიდერის პოზიციას იკავებდა, ხალხს აიყოლიებდა და შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს ეძებდა. ყველა ჩვენგანს საკუთარ თავში უნდა გვეპოვა ძალა, რომ ბრძოლა გაგვეგრძელებინა. ამას ყველა ისე აკეთებდა, როგორც შეეძლო და კურსის ბოლოს ერთმანეთს აფასებდნენ. 60%-ზე დაბალი ქულის მიღების შემთხვევაში, სამხედრო მომდევნო კურსზე ველარ გადავიდოდა. მაღალი ქულების დაგროვების შემთხვევაში, სამთო კურსებზე გადავდიოდით, სადაც უკვე ოცეულის მეთაურის, ოცეულის სერჟანტის მოვალეობის შესრულება გვიწევდა და უფრო ფართომასშტაბიან ოპერაციებს ვატარებდით. ამ კურსის ბოლოს ერთმანეთს კურსანტები და ინსტრუქტორები ვაფასებდით. შემდეგ ბოლო ეტაპი იწყებოდა. სწავლება ფლორიდის ჭაობიან და ქვიშიან ადგილებში მიმდინარეობდა და 15 დღე საველე პირობებში გრძელდებოდა. დღე-ღამის განმავლობაში სხვადასხვა სახის სამხედრო ოპერაციების ჩატარება გვიწევდა, — მტრის ბაზებზე თავდასხმა, ოთახების დასუფთავება, მოწინააღმდეგესთან კონტაქტში შესვლა, სადაზვერვო ოპერაციები, პატრულირება, რეიდები, დაპყრობილ ტერიტორიებზე საპატრულო ბაზების მოწყობა და ა.შ. ამ ყველაფერში ხელქვეითებიც გვეხმარებოდნენ. ეს უმძიმესი სამუშაო იყო, იმდენად ვიყავით გადაღლილები, რომ ფეხზე დგომა გვიჭირდა. დღე-ღამეში სულ რამდენიმე საათი გვეძინა.



პირველი რამდენიმე დღე საზღვაო-დესანტირებას გავდიოდით. მდინარეზე გასაბერი ნავებით დავცურავდით. საწვრთნელ პროგრამაში საპარაშუტო ხტომებიც შედიოდა. ეს ეტაპი სანტა-როსას კუნძულზე დასრულდა.

**— ლევან, რამდენ ხანს გრძელდება სასწავლო კურსი?**

— 63 დღეს, მაგრამ რეინჯერის კურსების გავლამდე სამხედრო პირმა ე.წ. მოსამზადებელი, პრერეინჯერის კურსიც უნდა გაიაროს. კურსანტის სასწავლო პროგრამა იმასთან შედარებით, რაც უნდა ისწავლოს, მცირეა და იმ ყველაფრის ათვისებას ვერ მოასწრებს. ინსტრუქტორები ყველაფერს ვერ გასწავლიდნენ და ბევრი რამის ჩაწერა საველე პირობებში მიწევდა. რაღაცებს ვერც ვიმახსოვრებდი. მოსამზადებელი კურსები, ძირითადად, უცხოელებისთვის არის განკუთვნილი. იმავე მასალას, ოღონდ უფრო შემცირებული ვარიანტით გვასწავლიდნენ. ამერიკაში სულ წელიწადი და 6 თვე დავყავი, იმის ჩათვლით, რომ სასერჟანტო კურსებიც გავიარე.

**— აქაური და ამერიკული სასერჟანტო კურსები ბევრად განსხვავდება ერთმანეთისგან?**

— აქ სწავლება გერმანული სტანდარტებით მიმდინარეობს, სადაც არის ჯგუფის მეთაური, ათმეთაური და ოცმეთაური, ამაზე მაღალი წოდება სასერჟანტო კურსებში აღარ არის, მაშინ, როცა ამერიკულში ასეულის სერჟანტიც არის. გარდა ამისა, განსხვავებულია სწავლების ვადა და მეთოდიკაც. საქართველოში გეგმურ კონსპექტებს ადგენენ, ამერიკაში კი სწავლა გაცილებით გაადვილებულია. ჩემი აზრით, გერმანული მოდელი უფრო საფუძვლიანია, ვიდრე ამერიკული. ათეულის მეთაურის კურსებზე მე ბევრი ვერაფერი ვისწავლე. ეს კურსები იმისთვის არსებობს, რომ წოდება მიიღო. ძირითადად, ნასწავლის გამეორება გიწევს, თუმცა, დამატებით კავშირგაბმულობას და ა.შ. მაინც ასწავლიან.

**— რამდენადაც ვიცი, ცხინვალში იბრძოდი. რამდენად გამოგადგა რეინჯერთა სკოლაში მიღებული გამოცდილება?**

— ცხინვალის მოვლენებში ეროვნული აკადემიის შემადგენლობასთან ერთად ვიყავი, ინსტრუქტორი ვარ და ჯარისკაცებს სწავლებას ვუტარებ... რაც შეეხება გამოცდილების უშუალოდ მოწინააღმდეგესთან გამოყენებას, ამის საშუალება არ მქონია, რადგან აკადემიას ისეთი ამოცანა არ გვქონია, რომ ცხელ წერტილში შევსულიყავით, მაგრამ პირად შემადგენლობასთან მუშაობაში გამომადგა და რაც მთავარია, გამიადვილა საკუთარი თავის გაკონტროლება. საბრძოლო ქვედანაყოფთან შედარებით აკადემია სხვანაირი სტრუქტურაა. გვყავდა წაყვანილი კურსანტები, რომლებიც მხოლოდ მსმენელები იყვნენ და მათ 50%-ს ოცმეთაურის ფუნქციაც კი არ ჰქონდა ნორმალურად შესწავლილი. მათი გაკონტროლება უფრო ძნელია, ვიდრე ჯარის... რეინჯერთა სკოლაში მიღებული გამოცდილებით სამეთაურო თვისებების გამოვლენა უფრო გამიადვილდა და გარდა ამისა, სტრესულ ვითარებაში სწორი გადაწყვეტილების მიღებაც შევძელი. როცა დაბომბვა დაიწყო, სასწრაფოდ მოვახდინეთ კურსანტების მობილიზაცია და უსაფრთხო ადგილებზე მათი გადაყვანა. დაფანტული და დაბნეული ხალხის შეგროვება ადვილი არ არის. მე გამოცდილება მქონდა, მე-

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

თაურზე არ ვიყავი დამოკიდებული, ახლა რას მეტყვის და როგორ მოვიქცე-მეთქი და ამან მუშაობა გამიადვილა. ასეთ დროს სამხედრო პირმა ოპერატიულად, თვითონ უნდა გადაწყვიტოს, როგორ მოიქცეს...

როცა ნიქოზიდან ჩვენმა ჯარმა უკან დახევა დაიწყო, ჩვენ კასპისკენ წავედით, რომ სტრატეგიული სიმაღლე დაგვეკავებინა. მგონი, ომის დაწყებიდან მესამე თუ მეოთხე დღე იყო. უეცრად ატყდა ჭურვების სროლა და ჩვენს ჯგუფში საშინელი ქაოსი დაიწყო. მანქანიდან გადმოვხტით თუ არა, სულ რაღაც წამებში ჩვენს თავზე ორი ჭურვი აფეთქდა. კურსანტები აქეთ-იქით დაიფანტნენ. ასეთ დროს ყველაზე ძნელი მათი შეგროვებაა. თან ჯგუფის მეთაურებთან ერთად ვცდილობდით, სამხედრო აღჭურვილობა, იარაღი და ტყვია-წამალი არ დაკარგულიყო. საბედნიეროდ, როგორღაც შევძელით და ეს ხალხი სამშვიდობოს გამოვიყვანეთ. მთელი ღამის განმავლობაში ვიკავებდით სიმაღლეებს, რომ მტერი არ მოპარულიყო ან დესანტი არ გადმოესხა...

**— ომის შედეგების განხილვისას ხშირად ლაპარაკობენ კავშირის არარსებობაზე...**

— კავშირი გვქონდა, მაგრამ რომც არ ყოფილიყო, ყოველი დავალების დაწყებამდე ბრძანება გვქონდა გაცემული, მისი შესრულების შემდეგ როგორ მოვქცეულვიყავით. ჯგუფმა იცოდა, როგორ მოქცეულიყო მეთაურის დაჭრის ან დაღუპვის შემთხვევაშიც, ვინ იქნებოდა შემდეგ ლიდერი. ასე რომ, მიახლოებითი გეგმა, როგორ უნდა გვემოქმედა ამა თუ იმ ვითარებაში, გვქონდა.

**— ამ ომმა უამრავი სამხედრო პირის ფსიქოლოგიაზე უარყოფითად იმოქმედა. ძირითადად, მათზე, ვისაც პროფესიული სკოლა არ ჰქონდა გავლილი და ომში პირველად მოუწიათ ბრძოლამ. რამდენად შეიცვალნენ ისინი და თუ არიან ისეთები, ვინც სამხედრო საქმეს თავი დაანებეს?**

— რა თქმა უნდა, არიან. ზოგი იმდენად იყო დემორალიზებული და მოტივაციადაკარგულიც, რომ რეაბილიტაციისთვის რამდენიმე კვირაც დასჭირდა. რაც მოხდა, არაორგანიზებულობის ბრალიც იყო, ხარვეზები იყო კავშირსა და ლოჯისტიკაშიც. და რაც ყველაზე მთავარია, სამხედრო პირებმა, ჯარისკაცი იქნებოდა თუ უფრო მაღალი რანგის პირი, არ იცოდნენ, რა სიტუაციაში როგორ უნდა ემოქმედათ. როგორ უნდა გამოსწორდეს ხარვეზები, ჩემზე მაღალი თანამდებობის პირები იმსჯელებენ.

*ლალი პაპასკირი*





# შეძლებს კი ბარაქ ობამა აშშ-ის სპეცსამსახურების „გაცოცხლებას“?

*ძვირფასო მკითხველო, სათაურში გამოტანილი სიტყვა „გაცოცხლება“ ავტორის შეცდომა არ გეგონოთ, რადგან ამერიკის სპეცსამსახურები (უპირველესად კი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო, გამოძიების ფედერალური ბიურო, ნაციონალური უშიშროების სააგენტო და სამხედრო დაზვერვა) „გაცოცხლებას“ უკვე აღარ ექვემდებარება. 2000 წლის შემდეგ აშშ-ის სპეცსამსახურებმა ერთბაშად იმდენი შეცდომა დაუშვეს, რაც შექმნის დღიდან არ დაუშვიათ. ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, სადაც გადამწყვეტი მაინც ჯორჯ ბუში-უმცროსის ადმინისტრაციის არაკომპეტენტურობა იყო, აშშ-ის სპეცსამსახურები ძირეულ რეფორმებსა და ახალი სიცოცხლის შთაბერვას საჭიროებენ. შეძლებს კი ამერიკის ახალი პრეზიდენტი, რომელსაც საგარეო-პოლიტიკური და შიდა ადმინისტრაციულ-მმართველობითი გამოცდილება არ გააჩნია, ახალი საფრთხეების ფონზე ამ ქვეყნის სპეცსამსახურებისთვის უწინდელი დიდების დაბრუნებას?*

## ვინ ხართ თქვენ, ბატონო ობამა?

აშშ-ის ახალი პრეზიდენტი ბარაქ ობამა დიდ პოლიტიკაში, ფაქტობრივად, ოთხი წლის წინ, 2004 წელს გამოჩნდა, მანამდე ის ფედერალური დონის პოლიტიკოსიც კი არ იყო.

**მცირე დოსიე: ბარაქ ჰუსეინ ობამა 1961 წლის 4 აგვისტოს დაიბადა ჰონოლულუზე (ჰავაის კუნძულები). მამა კენიელი ჰყავდა, დედა — ამერიკელი. ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლები მოგზაურობასა და ხეტიალში გაატარა. 1967 წელს დედამისი კვლავ გათხოვდა — ამჯერად მისი მეუღლე ინდონეზიელი გახლდათ და პატარა ხუჭუჭა ბარაქთან ერთად ჯაკარტაში გადავიდა საცხოვრებლად. 1971 წელს მომავალი პრეზიდენტი ჰავაიზე დააბრუნეს, სადაც დედის მშობლები ზრდიდნენ. სკოლა 1979 წელს დაამთავრა. საინტერესო დეტალია — აშშ-ის მომავალმა პრეზიდენტმა ამერიკის მიწაზე ფეხი პირველად მხოლოდ 18 წლისამ დადგა.**

ისლამური რელიგიით აღზრდილი, როგორც ამბობს, ამჟამად ათეისტია. მისი შემდგომი ცხოვრება სწავლითა და ადამიანთა უფლებების დაცვის ღონისძიებებითაა შევსებული. პოლიტიკაში ობამა მხოლოდ 1996 წელს გამოჩნდა, როდესაც ილინოისის შტატის სენატორად აირჩიეს, სადაც 2004 წლამდე დარჩა. ამ წელს ობამა ამავე შტატიდან აირჩიეს აშშ-ის სენატორად.

## დავალების შესასრულებლად წავიდა და... ჩაფლავდა

აშშ-ის დაზვერვაში კრიზისი პირველად მაშინ გახდა თვალსაჩინო, როდესაც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის მომზადების წინმსწრები ინფორმაცია დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მაღალჩინოსანი ბიუროკრატების კაბინეტებში გაიბნა.

ამერიკის, მსოფლიოს ერთ-ერთი



ეროვნული ბიბლიოთეკა

უძლიერესი სპეცსამსახურების ხელმძღვანელებმა უდიდესი სტრატეგიული შეცდომა დაუშვეს და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ოპერატიულ-აგენტურული მეთოდების ფართო არსენალიდან აშკარა და უპირობო უპირატესობა ოპერატიული ტექნიკის გამოყენებას მიანიჭეს. ფარული მოსმენების (კოსმოსური თანამგზავრიდან, ფიჭური თუ ჩვეულებრივი ტელეფონებიდან) გზით ინფორმაციის მოპოვება ძალზე მნიშვნელოვანია, დიდი რისკი არ სჭირდება, მაგრამ თუ არ იქნა გაჯერებული აგენტურული, ანუ ცოცხალი წყაროებისგან მოპოვებული ინფორმაციით, მაშინ საბედისწერო შეცდომის დაშვების ალბათობა ძალზე დიდია. ასე მოხდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების დროს, როცა აშშ-ის სპეცსამსახურებს — ცსს-ს, გფბ-სა და ეროვნული უშიშროების სააგენტოს მომავალი ტერაქტების შესახებ ელექტრონული დაზვერვით მიღებული ნაწყვეტ-ნაწყვეტი ინფორმაცია ჰქონდათ, ამიტომ ვერ შეძლეს ერთიანი სურათის შექმნა და ტერორისტების მოქმედებათა პროგნოზირება. პრობლემები ჯერ კიდევ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორის, ჯონ ტენეტის ხელმძღვანელობისას, ამ რვა-ცხრა წლის წინ დაიწყო. ამერიკელი „ჯეიმს ბონდების“ დასუსტება ერაყის ომის დროს გამოჩნდა — ისინი აბსოლუტურად მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ პარტიზანულ ომში სადაზვერვო და ოპერატიულ-აგენტურული მუშაობისთვის. ამის გამო დავა და ურთიერთბრალდებები აშშ-ის სპეცსამსახურების ყოფილ (უპირველესად ცსს-ს დირექტორ ჯონ ტენეტსა) და ამჟამინდელ შეფებს (ცენტრალური დაზვერვის უფროს მაიკლ მაკკონელს) შორის კვლავ გრძელდება. ამ ტერაქტმა მთელ მსოფლიოს დაანახვა, რომ „მეფე შიშველია“, ანუ ამერიკა უკვე აღარაა იმდენად ძლიერი, რომ სხვა ქვეყნების დახმარების გარეშე მოიგერიოს საერთაშორისო ტერორისტების შეტევები. ეს ფაქტი გახდა ერთგვარი ნიშანი ამბიციური ქვეყნების ამბიციური ლიდერებისთვის.

ამერიკის დაზვერვის მორიგი მარცხი ერაყის დიქტატორ სადამ ჰუსეინის შესაძლებლობების გადაჭარბებული შეფასება იყო.

ჯორჯ ბუში-უმცროსი ერაყში შეჭრიდან თითქმის ექვსი წლის შემდეგ, 2008 წლის ნოემბრის დამლევს მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში აღიარებს, რომ შეცდომა დაუშვა, დაზვერვას რომ ენდო, სადამის მიერ ბირთვული იარაღის შექმნა დაიჯერა და ერაყში ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედება დაიწყო.

მაგრამ მხოლოდ ერაყში ჩაფლავდა ამერიკის დაზვერვა? ჩვენი აზრით, ამერიკელები მცდარი სადაზვერვო სტრატეგიის გამო აღმოჩნდნენ იმ მძიმე დღეში, რომელზეც უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი. ამერიკის დაზვერვის ხელმძღვანელებმა XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში იგივე შეცდომა გაიმეორეს, რაც მანამდე საბჭოთა კა-გე-ბემ და გე-ერ-უმ. საბჭოთა სპეცსამსახურები, რომლებსაც ახირებად ექცა ყველგან „ჟუჩოკების“ დაყენება, ტექნიკური საშუალებებით იმდენ ინფორმაციას „იჭერდნენ“, რომ მათი გადამუშავება ველარ ხერხდებოდა, ამიტომ პრობლემად ინფორმაციის ანალიზი იქცა.

ამერიკის სპეცსამსახურებიც ამ „ორმოში“ ჩაცვივდნენ. როცა ყველას და ყველაფერს უსმენ, ვერ ესწრება ინფორმაციის ამ დიდი მასის ერთმანეთთან დაკავშირება და ტერორისტთა შემდგომი სვლების გათვლა, მათი მოქმედების პროგნოზირება. აგენტურული და ტექნიკური დაზვერვა ავსებს ერთმანეთს, თუმცა პირველს მთელი რიგი უპირატესობები აქვს, რასაც კოსმოსური მზვერავ-თანამგზავრით და სატელეფონო მოსმენებით ვერ დაადგენ.

ობიექტურობა მოითხოვს, ითქვას, რომ ცსს-ს უდიდესი პრობლემები ჰქონდა და აქვს ტერორისტულ ჯგუფებში აგენტურის შეგზავნასა და დამკვიდრებაში. დიქტატორული რეჟიმების ქვეყნებში აგენტურული მუშაობა ურთულესი საქმეა. ერაყის, ირანის, ავღანეთის, როგორც კლასიკური აღმოსავლური დიქტატორული ქვეყნების, მნიშვნელოვანი სპეციფიკა ისაა, რომ აგენტურული შეღწევა ასეთ ქვეყნებში თითქმის შეუძლებელი იყო და არის. იქ არ არსებობდა რეალური და ძლიერი შიდა ოპოზიცია, რომელთანაც შეიძლება ოპერატიული მუშაობა და კარგი სადაზვერვო პოზიციების მოპოვება-გამ-



აგრება, გართულებული იყო ინფორმაციის სანდო წყაროს გადმობირება.

ბევრი გადმობირებული აგენტი შეაღწევდა თუ არა ტერორისტულ ორგანიზაციაში, მალე მათ მხარეს გადადიოდა, რაშიც გადამწყვეტ როლს რელიგიური (ურწმუნოთა წინააღმდეგ მებრძოლი ისლამის) ფაქტორი ასრულებდა.

ამერიკელებისთვის გადაულახავ დაბრკოლებად იქცა ტერორისტულ ჯგუფებში არსებული ღრმა ნათესაური კავშირი და გადაწყვეტილებების მიმღები ხელმძღვანელი ჯგუფის მცირერიცხოვნობა, რაც ღირებული აგენტურული ქსელის შექმნას ართულებს. ამერიკის დაზვერვაში მხოლოდ მაშინ შეშფოთდნენ, როცა აღმოაჩინეს, რომ საჭირო რაოდენობით არ ჰყავდათ არაოფიციალურ სახურავქვეშ მოქმედი საიმედო ფარული აგენტები, განსაკუთრებით აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. დღეისათვის აშშ-ის არმია და სპეცსამსახურები ისე ღრმად ჩაეფლნენ ერაყისა და ავღანეთის ომებში, რომ ლათინური ამერიკის „გაწითლება“ გამოეპარათ.

## „სოციალისტური რევოლუცია“ ლათინურ ამერიკაში

ეტყობა, სამშობლოდან შორს, მსოფლიოს დასალიერში (ვგულისხ-

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობთ ერაყს, ირანსა და ავღანეთს) სადაზვერვო საქმიანობის აქცენტის გადატანამ იმდენად გამოფიტა ერთ დროს უძლიერესი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ფინანსური და აგენტურული რესურსები, რომ ყურის ძირში (ცენტრალურ და ლათინურ ამერიკაში) მიმდინარე სახიფათო პროცესებს უკვე ვეღარ აკონტროლებს. ამის დასტურია ვენესუელის საპრეზიდენტო არჩევნებში ექსცენტრიკული უგო ჩავესის გამარჯვება იყო. ვენესუელა ჩვენგან ძალზე შორსაა, მაგრამ იქ მიმდინარე პროცესები პირდაპირ აისახება საქართველოს ეკონომიკასა და ნავთობპროდუქტების ფასებზე. არ დაგავიწყდეს, რომ ვენესუელა ნავთობის მოპოვების მოცულობით მსოფლიოში მეხუთე ადგილზეა და მსოფლიო ფასების ზრდაზეც ამიტომ ახდენს ზეგავლენას.

აშშ-ის დაზვერვამ (უმთავრესად კი ცსს-მ და ეროვნული უშიშროების სააგენტომ) „ლათინური სოციალიზმის" ნელი მოქმედების ნაღმების ფორმირების პროცესი ვერ გათვალა და ვერც რამენაირად შეუშალა ხელი.

ამჟამად ვითარება იმდენად რთულია, რომ ლათინური ამერიკის ახალი „წითელი პრეზიდენტები" მსოფლიოს ენერგეტიკული სტაბილურობის საფრთხედ და „ატომურ ბომბებად" იქცნენ. ეკონომიკურ არასტაბილურობასთან ერთად სახეზეა პოლიტიკური კრიზისიც. ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა, ბოლივიის — ევო მორალესმა, ნიკარაგუის — საბჭოთა სპეცსამსახურების გამოზრდილმა დანიელ ორტეგამ და ახალმა ეკვადორელმა „მარქსმა" — რაფაელ კორეამ კუბის „მარილზე მიმავალ" ფიდელთან ერთად სოციალისტური რევოლუციის მოწყობა განიზრახეს და სამხრეთიდან „წითელი ღობე" აღმართეს აშშ-ის წინააღმდეგ.

ამერიკის მთავარი მოკავშირის — მექსიკის პოლიტიკური მდგომარეობაც აიწონა-დაიწონას თამაშს წააგავს. ცოტა ხნის წინ მექსიკაც ბეწვზე გადაურჩა „გაწითლებას". ამიტომ მსოფლიოს ამ ნავთობით ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყანაშიც პოლიტიკური მდგომარეობა ძალზე რთულია. ცსს-ს ყოფილი დირექტორი ბილ ქეისი, რომელმაც ჯანმრთელობა ნიკარაგუელ დანიელ ორტეგასთან ბრძოლას შეალია, ბრაზისგან, ალბათ, მეორედ მოკვდებოდა, ორტეგას გაპრეზიდენტება რომ გაეგო. ნიკარაგუა ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც საქართველოს სეპარატისტული რეგიონების „დამოუკიდებლობა" ოფიციალურად ცნო. ეს უპირველესად სილის გაწვნა იყო აშშ-ისთვის. რუსეთიც სარგებლობს აშშ-ის პოზიციის დასუსტებით.

ახალმა პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა 2008 წლის ნოემბერში „ტრიუმფალური ტურნე" მოაწყო სამხრეთ ამერიკაში და აშშ-ის ადმინისტრაციის ჯიბრზე ვენესუელასთან გააფორმა კონტრაქტი 3 მლრდ დოლარის ღირებულების სამხედრო იარაღის მიყიდვაზე, ერთობლივი ენერგეტიკული პროექტების განხორციელებაზე და ა.შ. ამიტომაც „გაზპრომი" და ნავთობგიგანტი „ლუკოილი" ცდილობენ, ვენესუელიდან გამოძევებული ამერიკული და ევროპული ფირმები ჩაანაცვლონ. „გაზპრომი" ბოლივიაში უკვე შეიჭრა და უახლოეს პერიოდში 2 მლრდ დოლარის ინვესტირებას აპირებს ბუნებრივი გაზის მოპოვებაში.

აშშ-ის დაზვერვის ძლიერი მხარე ყოველთვის იყო სხვადასხვა ქვეყანაში ოპერატიულ-აგენტურული გზით ინფორმაციის მოპოვება და აქტიური მონაწილეობა საგარეო პოლიტიკური კურსის დაგეგმვასა და რეალიზაციაში. 50-90-იან წლებში თავიდან აცილებულ იქნა ჰონდურასის, ჩილეს, ნიკარაგუის, მექსიკის და სხვ. „გაწითლება".

ამასთან, ამერიკის დაზვერვას ბევრი მწარე დამარცხებაც ახსოვს: მათ ვერ გათვალეს ირანის შაჰის, რეზა ფეჰლევის რეჟიმის დამხობა და ქვეყნის სათავეში რელიგიური ლიდერების მოსვლა; ასევე გამოეპარათ საბჭოთა იმპერიის დანგრევის შემდეგ რუსეთის ჰეგემონიის გაძლიერება სამხრეთ კავკასიასა და შუა აზიაში; შეცდომები დაუშვეს ერაყის ატომური პოტენციალის შეფასებისას; პრობლემებს აწყდებიან ტერორიზმთან ბრძოლაში, რისი ტრაგიკული დადასტურებაც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი იყო.

ახლა კი სამხრეთ ამერიკის, სულ ცოტა, ხუთი ქვეყნის „წითელი" პრეზიდენტი ცდილობს, თავისი მოსახლეობა დაარწმუნოს, რომ მათი №1 მტერი აშშ-ია. „უფროსი მეგობრების" კანდიდატურებიც უკვე ცნობილია — კუბა, ირანი, ბელორუსია და რუსეთი.

რუსეთის სპეცსამსახურები, უპირველესად საგარეო დაზვერვის სამსახური და სამხედრო დაზვერვა, აქტიურებენ ამ ქვეყნებში ანტიამერიკულ დეზინფორმაციულ ოპერაციებს. მათ ხომ შორს წასვლაც არ სჭირდებათ — კაგე-ბეს მრავალწლიანი გამოცდილება წინ არა აქვთ?

აშშ-ის ცენტრალური დაზვერვის დირექტორის პოსტზე უკანასკნელ სამ წელიწადში სამი ხელმძღვანელი შეიცვალა. ამ საკადრო კარუსელის გამო ამერიკის დაზვერვას სტრატეგიული მიზნების და პრიორიტეტების გამოკვეთა ძალზე გაუჭირდა. ხშირი საკადრო ცვლილებები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ამერიკის დაზვერვა ძალზე ღრმა კრიზისშია. ეტყობა, საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ ეიფორიამ იმძლავრა და ამერიკელი „ჯეიმს ბონდები" მოდუნდნენ. სამწუხარო შედეგიც სახეზეა — რუსეთის ნეოიმპერიალისტურ მისწრაფებებთან ბებერი ევროპა უძლურია, აშშ კი მორიგი გეოპოლიტიკური არჩევნის წინაშეა.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

*ბესიკ ალადაშვილი*

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთ-საქართველოს ომი

## ახალი შეიარაღების გამოსაცდელი პოლიგონი

ახალი სახის შეიარაღების სერიულ წარმოებასა და შემდგომ მის შეიარაღებაში მიღებას წინ არაერთი გამოცდა უდევს. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით კონსტრუქტორებს თავიანთ ქმნილებებში, მათი შესაძლებლობებისა და მახასიათებლების გაუმჯობესების მიზნით, ცვლილებები შეაქვთ. ამასთან, ცდილობენ, გამოცდა რეალურ საბრძოლო პირობებთან მაქსიმალურად იყოს მიახლოებული. თუმც ხშირად ამა თუ იმ იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის რეალური შესაძლებლობების დადგენა მხოლოდ საბრძოლო პირობებში ხდება შესაძლებელი. ამიტომაც შეიარაღების შემქმნელები საბრძოლო კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში მაქსიმალურად ცდილობენ თავიანთი პირმშო ჩართონ საბრძოლო მოქმედებებში, რაც ზემოთქმულთან ერთად იარაღს დამატებით რეკლამასაც უწევს.



თავის კლასში Искандер-ი პირველი კომპლექსია, რომელსაც ერთდროულად ორი რაკეტა მიაქვს

სწორედ ამგვარი რამ მოხდა აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ხუთდღიან ომში. ომის პირველივე დღიდან, საქართველოს ტერიტორიაზე მასიური საჰაერო იერიშების შემდეგ, იოლი მისახვედრი იყო, რომ რუსეთისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი, მაგრამ ამა წლის გაზაფხულზე შეიარაღებაში მიღებული ახალი ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექს Искандер-ის გამოყენებას მაინც არავინ ელოდა.

კომპლექსი Точка-У-ს განვითარებული მოდელია. ამასთან, თავის კლასში ის მსოფლიოში პირველი კომპლექსია, რომელსაც ერთდროულად ორი ტაქტიკური რაკეტის წაღება შეუძლია. ისინი საერთო დახურული ტიპის კონტეინერში არიან განთავსებული. სტარტის წის კონტეინერის სახურავი ორ ნაწილად გვერდზე გადადის და სპეციალურ ამძრავებს რაკეტა ვერტიკალურ მდგომარეობაში მოჰყავს. როგორც წესი, კომპლექსი მტრის ზურგში ჯავშანტექნიკის, აეროდრომებზე მდგარი საფრენი აპარატების, სამეთაურო პუნქტებისა და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტების გასანადგურებლადაა განკუთვნილი. სამიზნის სახეობიდან გამომდინარე, რაკეტაზე შესაძლებელია უკონტაქტო ამფეთქის მქონე კასეტური, კუმულაციური საბრძოლოელემენტებიანი კასეტური, მოცულობა-დეტონირებადი საბრძოლოელემენტებიანი კასეტური, მსხვერვად-ფუგასური, ფუგასურ-ცეცხლგამჩენი და დიდ სიღრმეში შემავალი საბრძოლო ქობინების გამოყენება. ჩამოთვლილთაგან, ნებისმიერი კასეტის ტიპში, 54 საბრძოლო ელემენტი შედის. მათი განცალკევება სამიზნიდან 0,9-1,4კმ-ის დისტანციაზე ხდება, დეტონაცია კი — 10მ-ის სიმაღლეზე.

9М723-ის ტიპის რაკეტის სასტარტო მასა 3800კგ-ს შეადგენს, საიდანაც 480კგ საბრძოლო ქობინზე მოდის. ფრენის სიჩქარე 2100კმ/სთ-ს უტოლდება და მას სამიზნის განადგურება მინიმალურ 50 და მაქსიმალურ 300კმ-ის (მეორე მონაცემებით 400კმ) დისტანციაზე შეუძლია. დამიზნების სისტემის სახეობიდან გამომდინარე, მაქსიმალურ მანძილზე სროლისას სამიზნისგან სავარაუდო წრიული გადახრა 20-30მ-ს შეადგენს. პირველი რაკეტის გასროლიდან მეორის გაშვება ერთი წუთის შემდეგ შეიძლება.



2000 წელს მოდერნიზებული Ми-24ПН-ის გაუმჯობესების მთავარ მიზანს შეიარაღების მართვის სისტემა და შვეულმფრენზე თბოვიზური სამიზნის დაყენება წარმოადგენდა

კომპლექსის შემადგენლობაშია მაღალი გამავლობის მანქანაზე დამონტაჟებული გამშვები მოწყობილობა ორი რაკეტით, სატრანსპორტო დამტენი მანქანა (რაკეტების ანალოგიური რაოდენობით), მობილური სამეთაურო-საშტაბო პუნქტი,

ეროვნული ბიბლიოთეკა




ამგვარი ფრაგმენტების სახით, საქართველოს მის წინააღმდეგ Искандер-ის გამოყენების უტყუარი მტკიცებულებები აქვს

სარეგლამენტო და ტექნიკური მომსახურებისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების მანქანები. სიტუაციიდან გამომდინარე, მარშიდან პირველი რაკეტის გასროლისთვის საჭირო დრო 4-16 წუთის ფარგლებში მერყეობს.

ერთსაფეხურიანი მყარსაწვავიანი რაკეტა ფრენის თითქმის მთელ უბანზე 50კმ-ის სიმაღლეზე მიფრინავს. ფრენის საწყის უბანზე დამიზნების ინერციული სისტემა გამოიყენება, ბოლოზე კი — ოპტიკური.

დღეისთვის Искандер-ის სამი ვარიანტია შექმნილი: Искандер-М რუსეთის შეიარაღებული ძალებისთვისაა განკუთვნილი (სროლის მანძილი 400კმ, საბრძოლო ქობინის მასა 480კგ); K მოდიფიკაციას იგივე შესაძლებლობები აქვს, ოღონდ ის ფრთოსან რაკეტებს 500 კმ-ზე ისვრის; Искандер-Э კი საექსპორტო მოდიფიკაციაა. მასზე ერთი 280კმ-იანი მოქმედების რადიუსის მქონე რაკეტა ყენდება.

ქართულ მხარეს ამ კომპლექსის გამოყენების უტყუარი მტკიცებები აქვს — ვაზიანის სამხედრო ბაზის მიდამოებში სამხედროებმა აფეთქებისგან წარმოქმნილი დიდი ღრმული აღმოაჩინეს, რომელიც ბაქო-სუფსის ნავთობსადენისგან 40მ-ით იყო დაშორებული. იქვე ეგდო რაკეტის ფრაგმენტიც, მასზე დამაგრებული ოთხი სტაბილიზატორით, რომლის მიხედვითაც Искандер-ის რაკეტის ამოცნობა ძნელი არ იყო. მეორე ფრაგმენტზე კი რაკეტის ტიპია წაწერილი.

კიდევ ერთ რუსულ დებიუტანტს მოდერნიზებული მოიერიშე Су-25СМ წარმოადგენს, რომლის მოდერნიზაციაც 1999 წლიდან კუბინკაში არსებულმა 121-ე ავიასარემონტო ქარხანამ დაიწყო. მოდერნიზაციის მთავარ მიზანს თვითმფრინავის რადიოელექტრონული აღჭურვილობისა და შეიარაღების მართვის სისტემების გაუმჯობესება წარმოადგენდა. სამხედროების გადაწყვეტილებით მოდერნიზაციას მხოლოდ ძველი Р-95Ш-ს ტიპის ძრავებით აღჭურვილი თვითმფრინავები გადიან (ამის გამო ყველა СМ-ის ვარიანტზე მოტოგონდოლაზე სითბური ხაფანგების დამატებითი კონტეინერები ყენდება). სავარაუდოდ, ეს გადაწყვეტილება რუსეთში ახალი Р-195-ის ტიპის ძრავებიანი Су-25-ის ნაკლებობითაა განპირობებული. ასეთი ძრავებიანი მოიერიშეების სერიული წარმოება თბილისში 1989 წლის ბოლოდან დაიწყო და წინამორბედზე ის 400კგ ძალით გაზრდილი წევითა და შემცირებული თბური შემჩნევადობით გამოირჩეოდა. ვიზუალურად განსხვავების აღმოჩენა Су-25-სა და СМ ვარიანტს შორის საკმაოდ მარტივია. პირველ რიგში ეს უკანასკნელი მანქანა რვაპილონიანია — მასზე მოხსნილია „ჰაერი-ჰაერი“ კლასის რაკეტებისთვის განკუთვნილი პილონები. სავარაუდოდ, ეს „მოდერნიზებული“ რუსული ელექტრონიკის მეტისმეტად დიდი წონით არის განპირობებული. თუმც შესაძლებელია, რომ პილონების მოხსნის გადაწყვეტილება შემდეგში მდგომარეობს — ახლო ბრძოლისთვის განკუთვნილი რაკეტები Су-25-ს თავდაცვისთვისაა და არა შეტევისთვის, თუმც თავდაცვისთვისაც ამ რაკეტების გამოყენების ფაქტები, პრაქტიკულად, არ არსებობს. ამიტომაც ზედმეტი წონის მოსახსნელად გარე პილონები გააუქმეს, საჭიროების შემთხვევაში კი СМ-ზე ამ კლასის რაკეტების დაკიდება გარე პილონებზე ხდება. Су-25СМ-ის კიდევ ერთ განმასხვავებელ ნიშანს ფიუზელაჟის კუდის ქვედა ზედაპირსა და ცენტროპლანის თავზე არსებული რადიოანტენების არარსებობა წარმოადგენს.

მის კაბინას თუ შევხედავთ, მას მოდერნიზაციის ბევრი არაფერი ეტყობა. ებრაული ფირმა „ელბიტისა“ და „თბილავიამშენის“ მიერ ერთობლივად მოდერნიზებული „სკორპიონის“ კაბინა გაცილებით შთამბეჭდავად გამოიყურება. Су-25СМ-ის კაბინაში მარცხენა მხარეს მხოლოდ ერთი თხევადკრისტალური დისპლეია დამონტაჟებული. დანარჩენი ადგილი მოწყობილობათა დაფაზე კი ანალოგიურ მოწყობილობებს უკავია. საქარე მინაზე არსებული ძველი ინდიკატორის ნაცვლად რუსებმა შედარებით უკეთესი — Су-25Т-ზე დაყენებული ინდიკატორი გამოიყენეს. ისე Су-25Т-საც თბილისში აწყობდნენ, თუმცა მხოლოდ 12 მანქანის გამოშვება მოესწრო.

2006 წლის 29 დეკემბერს 121-ე ავიასარემონტო ქარხნის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს პირველი ექვსი მოდერნიზებული Су-25СМ გადაეცა. ისინი ბუდიონოვსკში დისლოცირებულ 368-ე საიერიშო ავიაპოლკს




Су-25СМ-ის მოდერნიზაციის პროგრამა 1999 წელს დაიწყო და მის მთავარ მიზანს რადიოელექტრონული აღჭურვილობის გაუმჯობესება წარმოადგენდა. სურათზე ასახული მანქანა თბილისის საავიაციო ქარხანაში 1988 წელსაა გამოშვებული (ამის დადგენა საქარხნო ნომრით მოვახერხეთ)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გაეცანით სამყაროს «არსენალთან» ერთად!

**გამოიწერეთ 1 წლით ჟურნალი „არსენალი" და მედია სახლის კიდევ მინიმუმ ერთი გამოცემა და მიიღეთ საჩუქრად**

## „მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი"

ან „ვეფხისტყაოსანი"

„დიდი სამაგიდო ენციკლოპედია"

„დიდი წიგნი ხელოვნებაზე"




### მედია სახლი „პალიტრას" გამოცემები:

| დასახელება | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| ყველა სიახლე | 0.80 | 52 | 41.60 |
| გზა | 0.80 | 52 | 41.60 |
| რეიტინგი | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.50 | 52 | 26.00 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლელო | 0.50 | 312 | 156.00 |
| ათიანი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ოსკარი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

**დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"**

**www.elva.ge**

**T: 38 26 73; 38 26 74**

**elva@kvirispalitra.com**

მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.

რაიონულ ცენტრებში, წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი"-ს საბითუმო გაჭრობის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.

## თითოეული წიგნის ფასია 29 ლარი

## თქვენ კი მას უფასოდ მიიღებთ!



2006 წელს პირველი ექვსი მოდერნიზებული Су-25СМ-ს გადაცემა შედგა. ფოტოზე მარცხნიდან პირველი — თვითმფრინავის გენერალური კონსტრუქტორი ბაბაკი, მეორე რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილი სარდალი მიხაილოვი.

გადაეცა. იქიდან აფრენილი СМ-ემები კი აგვისტოში საქართველოს ბომბავდნენ. ვალში არც ჩვენ დავრჩილვართ — აეროდრომზე ორი Су-25СМ ქართული საზენიტო რაკეტებისგან დაზიანებული დაბრუნდა. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, 2009 წლის დასაწყისისთვის Су-25СМ-ებით სრულად დაკომპლექტებული ორი პოლკი ჩამოყალიბდება.

აგვისტოს ომის დროს საქართველოს ცაში კიდევ ერთ დაუპატიჟებელ სტუმარს 2000 წელს მოდერნიზებული შვეულმფრენი Ми-24ПН წარმოადგენდა. მისი მოდერნიზაცია შვეულმფრენ Ми-24П-ის გადაკეთებით ხდება — მას ფრთებს შუაში არსებულ პილონების წყვილამდე უმოკლებენ, ცხვირში კი მფრინავ-ოპერატორის კაბინის წინ ახალ თბოვიზურ სამიზნე სისტემა Зарево-ს უყენებენ, რაც შვეულმფრენს ეკიპაჟის ღამის ხედვის სათვალეებით აღჭურვასთან ერთად, ღამით მოქმედების საშუალებას აძლევს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამგვარ მოდერნიზაციას მხოლოდ Ми-24П-ს ტიპის შვეულმფრენები გადიან, რადგან Ми-24В-ს მოდიფიკაციის მანქანებს იქ, სადაც Зарево-ს აყენებენ, ოთხლულიანი ტყვიამფქვევი და მისი მოძრავი ტურელი აქვს. ეკიპაჟის კაბინაში თხევადკრისტალური დისპლეების დაყენებასთან ერთად, გაუმჯობესდა შვეულმფრენის შეიარაღების მართვის სისტემა და ამიერიდან მას 16 მართვადი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა Атака-ს წაღება შეუძლია. კიდევ ერთ ინოვაციას ამ შვეულმფრენზე შეუკეცავი შასი წარმოადგენს. შასის შეკეცვის სისტემის გაუქმებით გამარტივდა მისი კონსტრუქცია და შემცირდა მასა. თუმც Ми-24ПН-ის ფრენის მაქსიმალური სიჩქარე 10-15კმ/სთ-ით შემცირდა.

სავარაუდოდ, 10 აგვისტოს ღამეს სოფელ ნიქოზთან სწორედ Ми-24ПН-ებმა ააფეთქეს მე-4 ქვეითი ბრიგადის ორი ტანკი. ნაკლებსავარაუდოა, რომ ეს Ми-28Н Ночной охотник ყოფილიყო.

დღეისთვის დაახლოებით 50-მდე Ми-28Н-ია გამოშვებული. შეიარაღებაში მიღების მიუხედავად, ამ შვეულმფრენებს მზიდი ხრახნების ნიჩბებსა და რადიოლოკაციურ სადგურს მნიშვნელოვანი ხარვეზები აღმოაჩნდა, რის გამოც მათი ექსპლუატაცია დროებით შეჩერდა.

ისე, სიმართლე ითქვას, აგვისტოს ომში ახალი იარაღის გამოყენებით რუსეთს დიდად არც საქართველო ჩამორჩა. განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობა ამ ომში თურქულმა სადაზვერო ჯავშანმანქანა Cobra-მ გამოავლინა, რომელმაც რუს ოკუპანტებთან ბრძოლაში საბრძოლო ნათლობა მიიღო. შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ „კობრებს“, რომლებიც ცხინვალის ქუჩებში ქართულ ტანკებს უკან მიჰყვებოდნენ და მათ ყუმბარმტყორცნელებისგან იცავდნენ, კოშკურებში 12,7მმ-იანი НСВТ-ს ტიპის მსხვილკალიბრიანი ქვემეხი ან სინგაპურული წარმოების 40მმ-იანი ავტომატური ყუმბარსატყორცნი 40AGL ჰქონდათ დამონტაჟებული. ომის პირველ საათებში ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ „კობრას“ ჯავშანი მათ საბჭოთა БТР-80-ზე უკეთ დაიცავდა. თუმც გაცხარებულ ბრძოლებში „კობრას“ დახრილი შეჯავშნული ბორტების მიერ მოწინააღმდეგის ნასროლი ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული ყუმბარის ასხლეტის რამდენიმე ფაქტი დადასტურდა. თურქულმა ჯავშანმანქანებმა თავი დაჭრილების ევაკუირების დროსაც გამოიჩინეს. აგვისტოს ომში ქართულმა მხარემ ორი „კობრა“ დაკარგა — ყუმბარსატყორცნით წინა თვალში დაზიანებული ერთი მანქანა, საბორტო ნომრით 307, რუსებმა თან წაიღეს და კუბინკის ჯავშანსატანკო მუზეუმში გამოფინეს, მეორე უნომრო (სავარაუდოდ, გადაღებეს) „კობრა“ კი კოშკურაში დამონტაჟებული НСВТ-თი ოსმა სეპარატისტებმა სექტემბრის ბოლოს გამართულ დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლუმზე ჩაატარეს.

რუს ოკუპანტებთან ბრძოლაში თავი არც ზალპური ცეცხლის რეაქტიულმა LAR-160-ებმა შეირცხვინეს. აღნიშნული დანადგარი ებრაული ფირმა Israel Military Industries LTD-მ შექმნა და ისრაელის სახმელეთო ჯარების შეიარაღებაში ის 1983 წელს მიიღეს.

ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, СМ-ის კაბინას მოდერნიზაციის ბევრი არაფერი ეტყობა






რუსეთ-საქართველოს ომში ქართულმა მხარემ ორი „კობრა“ დაკარგა, თუმც მათმა თავის საქმეს შესანიშნავად გაართვეს თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რუსი ოკუპანტების ხელში ჩავარდნილი მოდერნიზებული T-72SIM1


Python-5-ით აღჭურვილი კომპლექსები საქართველომ ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე შეიძინა

45კმ-იანი სროლის მანძილის წყალობით, „გრად-ლარებმა“ რუსული ჯავშანკოლონების მიმართულებით, მოწინააღმდეგის მიერ საკუთარი პოზიციების აღმოჩენის საფრთხის გარეშე, 300-ზე მეტი 160მმ-იანი რაკეტა გაისროლეს. საბედნიეროდ მოწინააღმდეგემ ხელში „გრად-ლარის“ ვერც ერთი დანადგარის ჩაგდება ვერ მოახერხა, თუმც უკან დახევისას ქართველმა არტილერისტებმა პოზიციებზე რაკეტებით დატენილი რამდენიმე პაკეტი დატოვეს.

საბრძოლო ნათლობა რუს ოკუპანტებთან ბრძოლაში ებრაული ფირმა „ელბიტისა“ და საქართველოს ერთობლივად მოდერნიზებულმა ტანკმა T-72SIM1-მაც მიიღო. საბჭოთა T-72-ების მოდერნიზაციის ფარგლებში, რომელიც თბილისის ტანკსარემონტო ქარხანაში მიმდინარეობდა, მათზე თანამედროვე თბოვიზური საშუალებები, ღამის ხედვის მოწყობილობები და საბორტე კომპიუტერი დაყენდა. სწორედ T-72SIM1-ებით შეიარაღებული სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის ტანკისტებმა მიიტანეს იერიში გენერალ ხრულიოვის საშტაბო კოლონაზე, რომელიც ღამის იმედით ცხინვალში შემოვლითი გზით ცდილობდა შეღწევას. ომში ქართულმა მხარემ 65 ტანკი დაკარგა, საიდანაც 25 უშუალოდ ბრძოლის დროს განადგურდა. დანარჩენი კი რუსმა ოკუპანტებმა ბაზებში გაანადგურეს, რამდენიმე ათეული ცალი კი თან წაიღეს, მათ შორის მოდერნიზებული T-72SIM1-ები. ჯერჯერობით საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ქართველი ტანკისტების საბრძოლო მიღწევებზე არ ლაპარაკობს, თუმც თანამედროვე ელექტრონიკით მოდერნიზებული ტანკებით, რომლებიც, მაღალჩინოსანი სამხედროების განცხადებით, ამიერკავკასიაში საუკეთესონი არიან, უფრო მეტის გაკეთება შეიძლებოდა.

რუსეთ-საქართველოს ომის კიდევ ერთ დებიუტანტს ებრაული ფირმა RAFAEL-ის მიერ შექმნილი მობილური საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი SPYDER (Surface-to-air PYthon and DERby) წარმოადგენს. აღნიშნული კომპლექსი ორი ტიპის რაკეტას Python 5 და Derby-ს იყენებს. ამათგან პირველი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის მოთხოვნებზე მორგებულ მეხუთე თაობის საავიაციო რაკეტას წარმოადგენს. მისი პრეზენტაცია 2003 წელს ლე-ბურჟეს ავიასალონზე შედგა. რაკეტის მასა 105კგ-ს შეადგენს, საიდანაც 11კგ საბრძოლო ქობინზე მოდის. ინფრაწითელი დამიზნების სისტემის მქონე Python 5-ს სამიზნის განადგურება მინიმალურ 1 და მაქსიმალურ 15კმ-ის დისტანციაზე შეუძლია, სიმაღლის მიხედვით კი 20მ-დან 9კმ-მდე. რაკეტის ფრენის სიჩქარე 4 ათას კმ/სთ-ს აღემატება.

რაც შეეხება კომპლექსში შემავალ მეორე Derby-ის ტიპის რაკეტას, ის Python 4-ის ბაზაზე შეიქმნა, თუმც მისგან განსხვავებით მას დამიზნების რადიოლოკაციური სისტემა აქვს. ის 118კგ-ს იწონის, საიდანაც 23კგ საბრძოლო ქობინზე მოდის. მას სამიზნის განადგურება 1-დან 35კმ-ის დისტანციაზე, სიმაღლის მიხედვით კი 20მ-დან 16კმ-მდე შეუძლია.

თავად რაკეტები, ოთხი ერთეულის ოდენობით მაღალი გამავლობის მანქანაზე მონტაჟდება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ SPYDER-ები ისრაელისგან ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე შეიძინა. თუმც შეძენილი კომპლექსების რაოდენობა ჩვენთვის უცნობია. ერთადერთი რისი გაგებაც ჩვენ მოვახერხეთ, საქართველოს მხოლოდ Python 5-ით შეიარაღებული კომპლექსები მოეწოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, SPYDER-მა თავისი საქმე ხუთიანზე გააკეთა — ჩვენ მიერ მოპოვებული ცნობების თანახმად ამ კომპლექსის საშუალებით ქართველმა მეზენიტეებმა 6 რუსული


რუს ოკუპანტებთან ბრძოლაში ებრაულმა „გრად-ლარებმა“ თავი ნამდვილად არ შეირცხვინეს, თუმც უკან დახევისას რაკეტებით დატენილი რამდენიმე პაკეტი მივატოვეთ

თვითმფრინავი ჩამოაგდეს და დააზიანეს. რაკეტების ფრაგმენტები კი რუსებმა დიდის ამბით მუზეუმში გამოფინეს.

ახლო მომავალში SPYDER-ები შესაძლოა, ინდოეთმაც შეიძინოს — 18 კომპლექსი 415 მილიონ დოლარად.

*თემურ კულუზაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა





# შვედური თვითმავალი საარტილერიო დანადგარი „არჩერი“

შვედური კომპანია Bofors-ი ნორვეგიელ სპეციალისტებთან ერთად აგრძელებს 155 მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცა FH-77BW-ის კომპლექსურ გამოცდას. ჰაუბიცა, სახელწოდებით „არჩერი“, თვითმავალი ჰაუბიცა FH-77B-ის გაუმჯობესებული ვარიანტია. ის გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში შვეციის, ინდოეთისა და კიდევ რამდენიმე ქვეყნის არმიის შეიარაღებაში შევიდა.

ჰაუბიცის ახალ ვერსიაში მაღალი გამავლობის ავტომობილ Volvo A30D-ის შასი გამოიყენეს. ავტომობილის ბორბლების ფორმულაა 6X6.

„არჩერის“ საბრძოლო წონა 27 ტონაა, მაქსიმალური სროლის სიშორე აქტიურ-რეაქტიული ჭურვებით 65 კილომეტრს შეადგენს.

FH-77BW-ს დაგრძელებული ლულა აქვს. კაბინის სპეციალური კონსტრუქცია მომსახურე პერსონალს ნაღმებისაგან და ნამსხვრევებისაგან იცავს. ჰაუბიცის საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანას 30 წამი ესაჭიროება და არტილერისტებს ცეცხლის მართვა უშუალოდ კაბინიდან შეუძლიათ. მომსახურე პერსონალი 3-4 კაცზეა გათვლილი.

დატენვის გაუმჯობესებული მექანიზმი ჭურვების სელექციურ-ავტომატიზებულ მიწოდებას უზრუნველყოფს.



„არჩერებს“ მარშის დროს ლულები სპეცილაური ხუფებით აქვთ დაფარული

ეროვნული ბიბლიოთეკა





ჰაუბიცა სპეციალური შესანიღბი საშუალებით არის დაფარული

შედეგად, წუთში 75 გასროლის გაკეთება შესაძლებელი. საბრძოლო მარაგი 40 ჭურვზეა გათვლილი, საიდანაც ავტომატური მიწოდების მჭიდში 20 ჭურვი თავსდება.

გამოცდისას აქცენტი სროლის სიშორესა და სიზუსტეზეა გადატანილი. „არჩერი“ თავსებადია 155 მმ-იან NATO-ს სტანდარტის ყველა სპექტრის ჭურვთან. მათ შორის არის აქტიურ-რეაქტიული და მაღალი სიზუსტის ჭურვები „ბონუსი“ და „ესკალიბური“.

თუ გამოცდა წარმატებით დასრულდება, შვეციის თავდაცვის სამინისტრო 2009-11 წლებისათვის ორი საარტილერიო დივიზიონის დასაკომპლექტებლად 24 თვითმავალი საარტილერიო დანადგარ „არჩერის“ ყიდვას აპირებს. ახალი ჰაუბიცით დაინტერესება დანიის, ავსტრალიის, ხორვატიის, ინდოეთისა და კანადის სამხედრო უწყებებმაც გამოხატეს.

თემურ ჩაჩანიძე



„არჩერის“ ცეცხლი სიზუსტით გამოირჩევა



საცეცხლე პოზიციაზე, ბრძანების მოლოდინში

# Archer

არსენალი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბუსი-დო
## იაპონიის სული

1900 წელს ინგლისურ ენაზე გამოვიდა ტოკიოს საიმპერატორო უნივერსიტეტის პროფესორის, ყოფილი სამურაის ინაძო ნიტრეს წიგნი „ბუსი-დო — იაპონიის სული“. დღეს თითქმის დავიწყებული ეს წიგნი მაშინვე ბესტსელერად იქცა არა მარტო შეერთებულ შტატებსა და ბრიტანეთში, არამედ მთელ ინგლისურენოვან სამყაროში.

წიგნის წაკითხვის შემდეგ ანგლოსაქსები დიდი სიმპათიით განეწყვნენ ამომავალი მზის ქვეყნის მიმართ და ზიზღი დაატეხეს თავს რუსებს, რომლებიც ამ დროს მიწებს ედავებოდნენ იაპონიას.

ნაწარმოებში მწერალი უაღრესი მოკრძალებითა და პატივისცემით ხოტბას ასხმადა სამურაების ტრადიციებსა და ცხოვრების წესს და დასავლელი მკითხველი იმ დასკვნამდე მიჰყავდა, რომ შუა საუკუნეების სამურაების კოდექსი „ბუსი-დო“ დღესაც ცოცხლობს და დიდ ზეგავლენას ახდენს იაპონელ საზოგადოებაზე. მეტიც, ავტორის ღრმა რწმენით, ბუსი-დოს არსში ჩაწვდომის გარეშე შეუძლებელია იაპონელების შეცნობაც.

თორმეტი წლის განმავლობაში წიგნი ჩვიდმეტჯერ გამოიცა, მაგრამ გავიდა კიდევ რამდენიმე ათეული წელიწადი და ანგლოსაქსები უცებ გათავისუფლდნენ მოზღვავებული სიმპათიისაგან, რადგან მეორე მსოფლიო ომის დროს თავად გამოცადეს იაპონური სულის შეუპოვრობა.

მას შემდეგ კი, რაც 2003 წელს ეკრანებზე გამოვიდა ჰოლივუდური ბლოკბასტერი „უკანასკნელი სამურაი“, ახალი ძალით იფეთქა ინტერესმა ამ პროფესიონალ მეომართა მიმართ. ვინ იყვნენ ისინი სინამდვილეში? რა როლი შეასრულეს იაპონელი ერის ფორმირებაში? ამ კითხვებზე პასუხს დიდი ინტერესით მოელოდნენ როგორც ამერიკელები, ასევე ევროპელები.



სრულად აღჭურვილი სამურაი

ევროპელის წარმოდგენით სამურაი დახელოვნებული, დაუნდობელი მებრძოლია, რომელიც ოსტატურად უსწორდება მოწინააღმდეგეს, აუცილებლობიდან გამომდინარე კი სიცოცხლეს ჰარაკირით ამთავრებს.

თუმცა შეცდომა იქნებოდა სამურაების კასტის ცხოვრების მხოლოდ მეომრული კუთხით დანახვა და შეფასება, რადგან ბრძოლებს შორის თავისუფალ დროს ისინი ჩაის სმის უნატიფეს ცერემონიალს, იკებანას (იაპონური დეკორატიული ხელოვნება — ყვავილებით, ტოტებით და სხვა ასეთივე მასალით შექმნილი გამოსახულება, კომპოზიცია), ფერწერასა და კალიგრაფიას უთმობდნენ. წერდნენ ლირიკული და ფილოსოფიური აზრის შემცველ ხოკუებსა და ტანკებს (იაპონური პოეზიის ერთ-ერთი უძველესი ჟანრები. ტანკა — ოთხსტრიქონიანი, ხოკუ — სამსტრიქონიანი). მათი ნატიფი ქმნილებები იაპონური კულტურისა და ესთეტიკის თვისებრივად გამორჩეულ ორგანულ ნაწილად ითვლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ, ვინ არიან სამურაები, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 5%-ს შეადგენდა და თითქმის 700 წელიწადს მართავდა იაპონიას?

## მეომართა ფენის წარმოშობა

სამურაების წარმოშობის ისტორია, ისევე როგორც მთელი იაპონელი ხალხისა, საუკუნეების სიღრმეშია ჩამარხული. ჯერ კიდევ კოფუნის ეპოქიდან (III-IV საუკუნე) არის შემორჩენილი ცხენზე ამხედრებული სამურაების თიხის ფიგურები. VII-VIII საუკუნეებში პროფესიონალ მეომართა ერთმა ნაწილმა დედაქალაქ ნარაში, იმპერატორის კარზე გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა. მათ შეითვისეს დიდებულთა ჩვევები, ყოფილი თანამებრძოლები ველურებად მონათლეს და ზემოდან დაუწყეს ცქერა. პროვინციელი ფეოდალები სამურაების მეშვეობით აფართოებდნენ სამფლობელოებს.

ამ მეომრულ კასტას აყვავების ხანა ხეიანის დინასტიის ეპოქაში (794-1183 წწ.) დაუდგა, როცა გაუთავებელ შიდა ომებში საჭირო შეიქნა შეიარაღებული ჯგუფების ყოლა. ამ ეპოქაში ქვეყნის სამხედრო ელიტა ოჯახებად და ოჯახთა კავშირებად ჩამოყალიბდა, რომლებიც მძლავრ შეიარაღებულ ძალად იქცნენ და მხოლოდ ფორმალურად ემორჩილებოდნენ იმპერატორს, ფაქტობრივად კი ძლიერი ფეოდალების სამფლობელოების დამცველი პირადი სამხედრო შენაერთები იყვნენ. გამუდმებული კონფლიქტებისა და ომების შედეგად უმაღლესი ძალაუფლება თანდათან რეგიონული სამხედრო ოჯახების ხელში გადავიდა.

ისტორიკოსთა აზრით, კლანებს შორის სისხლისმღვრელი ომები შუა საუკუნეების იაპონიაში, ფაქტობრივად, მოსავლიანი მიწებისთვის ჩაღდებოდა. სოფლის მეურნეობისათვის ვარგისი ადგილები კი მთაგორიანი იაპონიის მხოლოდ 20%-ს შეადგენს.

XI საუკუნეში ქვეყნის ხელისუფლება ერთმანეთთან მუდმივ საომარ მდგომარეობაში მყოფ ორი ყველაზე ძლიერი კლანის — ტაირისა და მინომოტოს ხელში აღმოჩნდა.

ეს იყო ქანცგამწყვეტი და სისასტიკით გამორჩეული ომი. ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და 1185 წელს დანოურთან შეტაკებით დამთავრდა. აქ პირწმინდად გაიჟლიტნენ ტაირის კლანის უკანასკნელი მეომრები. ამ ბუნებრივი შერჩევის პროცესმა, სადაც „ძლიერი იმარჯვებს", ხელი შეუწყო ქვეყანაში ცენტრალიზებული სამხედრო ხელისუფლების ჩამოყალიბებას. გამარჯვებულმა მინომოტო იორიტომომ 1192 წელს თავისი ბანაკი ქალაქ კამაკურაში გადაიტანა და იმპერატორისგან „სეი-ი-ტაო სიოგუნის" (უმაღლესი მთავარსარდალი ველურთა დასაშოშმინებლად) ტიტული მიიღო.

სიოგუნი ახალი ტიპის ხელისუფალი, იგივე სამხედრო დიქტატორი იყო. ასე დაიწყო სამხედრო კასტის ზეობის ხანა, რომელიც იაპონიის სახელმწიფოს პოლიტიკაზე ზეგავლენას ექვს-ნახევარი საუკუნის განმავლობაში ახდენდა. იმპერატორები სიოგუნების ხელში, ფაქტობრივად, მარიონეტებად იქცნენ, თავად სიოგუნებს კი კარგად არც ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ მათი მმართველობის ფორმა იმპერატორის უფლებების უზურპაცია იყო.

სამურაები იმპერატორს („ტენო"), როგორც მზის ღვთაება (ღმერთქალი) ამატერასუს კანონიერ მემკვიდრეს, დიდ პატივს მიაგებდნენ. მათთვის სულერთი იყო, ვინ იჯდა ტახტზე — მრისხანე მეომარი თუ ბავშვი.

სიტყვა „სამურაი", ზმნა „საბურაუ"-სგან („ემსახურე ვინმეს") წარმოდგება. იეროგლიფი, რომელიც ნიშნავს „ის, ვინც ემსახურება", შეიძლება ითარგმნოს როგორც „შეიარაღებული ვასალი".

სამურაი თვით იმპერატორის, ასევე შეძლებული ფეოდალის „დაიმე" — ვასალი შეიძლებოდა ყოფილიყო.

სიოგუნები ერთმანეთისგან განსხვავებულად ახერხებდნენ ქვეყნის მართვასა და მშვიდობის შენარჩუნებას. დროდადრო გაჭიანურებულ სამოქალაქო ომებს ხანმოკლე მშვიდობიანობა ცვლიდა. XVI საუკუნეში სიოგუნმა ასიკაგამ გავლენა დაკარგა მსხვილ ფეოდალებზე და ქვეყანა რამდენიმე დამოუკიდებელ სათავადოდ გაიყო.

შუა საუკუნეების იაპონიას მძიმე — სამხედრო ანარქიის, ანუ „სენგო კუძიდაის" (სათავადოების ომი) დროება დაუდგა. განუწყვეტელი სამოქალაქო ომი — „ყველა ყველას წინააღმდეგ" — 1503 წლიდან 1573 წლამდე გრძელდებოდა.

ბოლოს, XVI საუკუნის მიწურულს, სიოგუნმა ტოიოტომი ჰიდეიოშიმ შეძლო ქვეყნის გაერთიანება და რეფორმების დაწყება, რამაც შეცვალა სამურაების ცხოვრების წესი. მათ უბრძანეს, ხელი აეღოთ მეომრობაზე და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა დაეწყოთ. სიოგუნ ტოკუგავას მმართველობის პერიოდში (1603-18676 წლები, იგივე ედოს ეპოქა) ქვეყანაში სიმშვიდე სუფევდა და სამურაები მეომრისთვის უჩვეულო სამსახურში ჩაებნენ, — გახდნენ გადამწერლები, მრჩევლები, სასამართლო აღმასრულებლები დ სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა რანგის მოხელეები.

მეიძის ეპოქიდან (1868 წ.), როცა უკანასკნელმა სიოგუნმა თავისი უფლებამოსილება დათმო, დაიწყო ახალი რეფორმები და იმპერატორმა დაიბრუნა იაპონიის ფაქტობრივი მმართველობა. 1871 წლიდან ფეოდალური სამოქალაქო წყობილება და სამურაების ფენის პრივილეგიები (მაგალითად, ორი მახვილის ტარების უფლება) ოფიციალურად გაუქმდა. მსხვილი ფეოდალები იძულებული გახდნენ, სამფლობელოები იმპერატორისთვის დაებრუნებინათ. დაახლოებით მილიონ-ნახევარი კაცი უსაქმოდ დარჩა. ეს თადარიგში გასვლას ჰგავდა, რადგან სახელმწიფო უმეტეს მათგანს პენსიას უხდიდა. მოგვიანებით ეს ხარჯი სახელმწიფო ბიუჯეტს მძიმედ დააწვა და პენსიები გააუქმეს. მართალია, ზოგიერთი სამურაისთვის ეს დამღუპველი გამოდგა, მაგრამ ყოფილ მეომართა უმრავლესობამ მაინც მოახერხა თავისი ცოდნისა და პროფესიონალიზმის გამოყენება. ყოფილი სამურაები ახლა პოლიციელები, მასწავლებლები, სამხედრო ოფიცრები და სახელმწიფო მოხელეები გახდნენ.

რეფორმამდე იაპონელი საზოგადოების იერარქიულ საფეხურზე სიოგუნებ-



კატანა, ტანტო და ვიკიძასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის შემდეგ იდგნენ დაიმები — რეგიონული რანგის ფეოდალები. მათი მდგომარეობა დაახლოებით ევროპელი თავადების რანგს შეესატყვისებოდა. სამურაების უმრავლესობაც დაიმეებს ემსახურებოდა და მალე მიაღწიეს მაღალ სოციალურ მდგომარეობას: ჰქონდათ მრავალი პრივილეგია, მათ შორის ორი გრძელი („კატანა“) და მოკლე („ვაკიძასი“) მახვილის ტარების უფლება, როცა სახელმწიფო მოხელეს მხოლოდ ერთი მახვილის ტარების უფლება ჰქონდა (რიგით მოქალაქეებს საერთოდ აკრძალული ჰქონდათ იარაღის ტარება). სამურაებს უფლება ჰქონდათ თავი მოეკვეთათ მდაბიოსათვის, თუკი ჩათვლიდნენ, რომ მისმა მოქმედებამ ისინი შეურაცხყო.

სამურაების კასტის შიგნითაც არსებობდა სხვადასხვა პრივილეგიით განსხვავებული რანგები. მეთორმეტე საუკუნეში დაწესდა სამი რანგი: „კენინი“ („სახლში მცხოვრები“), დიდებულთან დაახლოებულნი (მხლებელნი);

მხედარი სამურაი. მხოლოდ მაღალი რანგის სამურაებს ჰქონდათ უფლება, ცხენზე ამხედრებულებს გაემართათ ორთაბრძოლები, რაც საგანგებო მომზადებას მოითხოვდა;

„ასიგარუ“ (ფეხმსუბუქი, ანუ ფეხმარდი) — ქვეითად მებრძოლები, რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენდნენ და მშვილდით, შუბით, ლახტით, მოგვიანებით კი ცეცხლმსროლელი იარაღით იყვნენ აღჭურვილი.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მოქიშპე კლანების არმიები ებრძოდნენ ერთმანეთს, ხშირად შეტაკება მოწინააღმდეგეთა მცირერიცხოვან ჯგუფებს შორის ხდებოდა, რასაც წინ უძღოდა ურთიერთობის სიტყვიერი გარკვევა. დიდი ყურადღება ექცეოდა ორთაბრძოლებში მხარეთა წოდებრივ თანასწორობას, რასაც ზედმიწევნით ზუსტად იცავდნენ.

ბრძოლის დროს სამურაი ჩაუვლიდა მოწინააღმდეგის რიგებს და ხმამაღლა წარმოთქვამდა თავის წოდებას, მეომრულ დამსახურებებსა და ორთაბრძოლაში ტოლ-სწორს გამოიწვევდა; წოდებით ან დამსახურებებით ჩამორჩენილ მოწინააღმდეგესთან შებმას არ კადრულობდნენ, მათთან საბრძოლველად საჭურველმტვირთველებს ან მსახურებს გზავნიდნენ. ამის გამო ბრძოლა ხშირად ორთაბრძოლათა ერთობლიობად გადაიქცეოდა ხოლმე. ტყვედ დანებება უაღრესად სამარცხვინოდ ითვლებოდა, დამარცხებული სამურაი თავს აკლავდა მოწინააღმდეგს. თუ ამას ვერ შეძლებდა, მიმართავდა რიტუალურ თვითმკვლელობას, რაც ღირსეულ გამოსავლად ითვლებოდა.

საკუთარი თავის პატივისმცემელი სამურაი თავისი წოდების შესაფერის წარმომადგენელზე ქორწინდებოდა. მისი წოდებრივი რანგი თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადაეცემოდა.

## „ბუსი-დო“

გარდა პრივილეგიისა, სამურაი უფრო საპატიო ხვედრის მტვირთველიც იყო. როგორც მმართველი ფენის წარმომადგენელი მოქალაქეებისთვის თავისი ყოფა-ცხოვრებით მისაბაძი უნდა ყოფილიყო. მისგან ყოველთვის მოითხოვდნენ კანონების ურყევად შესრულებას, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი ღირსებისა და ბატონის ერთგულების დაცვა, მკაცრი წესრიგი და სიმამაცე იყო.

სიტყვა „სამურაის“ სინონიმია „ბუსი“ („მებრძოლი“), ამ უკანასკნელმა ევროპაში ისეთი გავრცელება ვერ პოვა, როგორიც „სამურაიმ“. „ბუსი დო“ („მეომრის გზა“) იყო კონფუციანიზმის, სინტოიზმისა და ძენ-ბუდიზმით გაჯერებულ გარემოში დაბადებული სამურაის ქცევის დაუწერელი კანონი. (კონფუცი 551-479 ძ.წ.) ჩინელი ფილოსოფოსი. მისი მოძღვრების მიხედვით, ადამინის ბედს „ცა“ განაგებს და იმის შეცვლა, რომ საზოგადოება კეთილშობილ და მდაბიო ადამიანებად იყოფა, შეუძლებელია უმცროსი უდრტვინველად უნდა ემორჩილებოდეს უფროსს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზეპირ ლიტერატურულ ტრადიციებსაც. ბუსი-დოს პრინციპები არასოდეს შეუკრებიათ და კანონთა კრებულად არ ჩამოუყალიბებიათ, არც ფეოდალიზმის ხანის ლიტერატურულ ნაწარმოებებშია აღწერილი.

მომავალ სამურაის კარგად უნდა შეესწავლა მებრძოლის მორალური კოდექსი. ლეგენდებსა და ბალადებში, რომელსაც მას უამბობდნენ, ხოტბა ჰქონდა შესხმული სამურაის ერთგულებას, სიმამაცესა და სიკვდილთან შეურიგებლობას.

ბუსი-დოს პრინციპები შედარებით სრულად ძაიდოძი იუძანში (სამხედრო ხელოვნების დაწყებითი საფუძვლები) აისახა: „ჭეშმარიტი გმირობაა, როცა უნდა იცოცხლო და ცოცხლობ, ხოლო როცა უნდა მოკვდე, კვდები“.

სიკვდილს უნდა შეხვდე იმის ნათელი შეგნებით, რა ევალება სამურაის და რამ შეიძლება დააკნინოს მისი ღირსება. ყოველი სიტყვა აწონილი და გაზომილი უნდა იყოს, მუდამ უნდა ეკითხებოდე თავს, სიმართლეა თუ არა ის, რის თქმასაც აპირებ. ტრაპეზის დროს აუცილებელია ზომიერების დაცვა. უნდა ერიდო ნაყროვანებასა და თავაშვებულობას.

ყოველთვის უნდა გახსოვდეს სიკვდილი და გულში ინახავდე ამ სიტყვას, პატივს სცემდე „ხისა და ტოტების“ კანონს. ვინც მას დაივიწყებს, ვერასდროს იქმს სიკეთეს, რადგან ადამიანი, რომელიც მშობლიურს ივიწყებს ან უგულებელყოფს, სამურაი ვერ იქნება. მშობლები — ხეა, შვილები კი მისი ტოტები.

სამურაი არა მარტო სამაგალითო შვილი, არამედ ერთგული ქვეშევრდომიც უნდა იყოს. იგი არ მიატოვებს ბატონს მაშინაც კი, როცა მისი ვასალების რიცხვი ასიდან ათამდე ანდა ათიდან ერთამდე შემცირდება. ერთგულება, სამართლიანობა და სიმამაცე სამურაის სამი ბუნებრივი სიკეთეა. როცა სამურაი დასაძინებლად წვება, არ შეიძლება ფეხები თავისი სუზერენის რეზიდენციის მხარეს ჰქონდეს. ბატონის სამყოფლის მხარეს მშვილდისა და შუბის დამიზნებაც არ შეიძლება.

თუ დაწოლილ სამურაის ბატონზე საუბარი ესმის ან თავად აპირებს მასზე რამის თქმას, უნდა ადგეს და შეიმოსოს.

არწივი, თუნცა შიმშილით კვდებოდეს, ნამოწყალევს არ მიეტანება. სამურაის ყოველთვის დანაყრებულად უნდა მოჰქონდეს თავი, თუნდაც ერთი კვირის ნაშიმშილევი იყოს.

თუ სამურაი ომში დამარცხდა და აუცილებელია თავის დადება, მან ამაყად უნდა წარმოთქვას თავისი სახელი და პირზე ღიმილით, დამამცირებელი აჩქარების გარეშე მოკვდეს.



იაპონიის უკანასკნელი იმპერატორი ჰიროჰიტო

ეროვნული ბიბლიოთეკა




სასიკვდილოდ დაჭრილმა სამურაიმ პატიების სიტყვებით უნდა მიმართოს მდგომარეობით მასზე მაღლა მდგომთ და მშვიდად დანებდეს გარდაუვალობას. მხოლოდ უხეში ძალის მფლობელი ვერ გახდება სამურაის წოდების ღირსი. რომ არაფერი ვთქვათ, მეცნიერებათა შესწავლის აუცილებლობაზე, სამურაიმ თავისუფალი დრო უნდა გამოიყენოს პოეზიაში სავარჯიშოდ და ჩაის სმის ცერემონიალის არსში წვდომისათვის. ასე რომ, სამურაის ფუძემდებლური მცნება დეიმეს („პირადი ბატონი“) უსაზღვრო ერთგულება იყო. ამგვარივე ურთიერთობა უცხო არ არის სხვა ხალხებისთვისაც. პატრონის უსაზღვრო ერთგულება გამეფებული იყო აღმოსავლეთის ხალხების გვაროვნული საზოგადოებების უმრავლესობაში და მხოლოდ იაპონელებისთვის დამახასიათებელი თვისება არ ყოფილა. ეს დაუწერელი კანონი დასტურდებოდა და მყარდებოდა კონფუცის მოძღვრების საშუალებით, რომელიც ძალზე ავტორიტეტულად ითვლებოდა. კონფუცის მიხედვით ბატონის ერთგულება იყო მოვალეობა, რაც „ქვეყნად მოვლენის კანონთან“ იყო გაიგივებული.

ბატონის ერთგულების ასეთი გაგება სხვადასხვა ხალხის ცნობიერებაში სხვადასხვაგვარია. ევროპულ ტრადიციებში მიახლოებითი მაგალითი შეიძლება იყოს აქილევსისა და პატროკლეს დამოკიდებულება. როცა ტროას ომში ელინთაგან ყველა, ვისაც კი უმამაცეს მეომრად თვლიდნენ: დიომედე, ოდისევსი, აგამემნონი, ევრიპილოსი დაჭრილები იყვნენ, მხოლოდ აქილევსი იყო უვნებელი, მაგრამ ომში არ მონაწილეობდა, რადგან განრისხებული იყო, რადგან აგამემნონმა მას მხევალი წაჰგვარა. ბერძენთა საბრძოლო სულისკვეთება ჩამკვდარი იყო. პატროკლე, აქილევსის ქვეშევრდომი, თანამოაზრე და თანამებრძოლი მივიდა მასთან და სთხოვა, ნება დაერთო, რომ ბრძოლაში მის ნაცვლად, მისი საჭურვლით გასულიყო, თუმც იცოდა, რომ ტროელები აქილევსზე ნადირობას დაიწყებდნენ და პატროკლეს გადარჩენის შანსიც არ ექნებოდა. ასეც მოხდა: აქილევსის ნაცვლად მებრძოლი პატროკლე ტროელმა გმირმა ჰექტორმა მოკლა.

თითქმის იგივე გაიმეორა აზნაურმა დავით გოგორიშვილმა: 1626 წელს ბაზალეთის სამარცხვინო ომში (ქართველები ქართველების წინაალმდეგ) მან გიორგი სააკაძის თორ-აბჯარი აისხა, მის ცხენზე შეჯდა და ბრძოლის ველზე გავიდა. ის გიორგი სააკაძე ეგონათ და ერთი ცნობით თეიმურაზ I-ის მომხრე თავადებმა შუბებზე ააგეს. ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით კი გოგორიშვილი დიდი მოურავის ცოლისძმამ, ზურაბ ერისთავმა მოკლა. ქვეშევრდომული ერთგულების, სულიერი ნათესაობის, თანაშეზრდილობისა და თავგანწირვის კიდევ ერთი ფაქტი საქართველოს ისტორიაში XIV საუკუნის მიწურულს მოხდა: ქართლის მეფე გიორგი VII-ს თავადებმა შეთქმულება მოუწყვეს, — ის ღამით, მძინარე უნდა მოეკლათ. აზნაურმა თაყა (იოთამ) ზევდგინიძემ ეს შეიტყო და მეფე გააფრთხილა, მაგრამ გიორგი VII-მ არ დაუჯერა. მაშინ თაყა ზევდგინიძემ შესთავაზა, რომ მის ნაცვლად ჩაწვებოდა საწოლში და შეთქმულებმა ის მეფის საწოლში მოკლეს. ერთგულებისათვის და თავგანწირვისათვის გიორგი VII-მ თაყა ზევდგინიძის შთამომავლებს ამილახვრობა უბოძა.

ქვეშევრდომობის, სულიერი სიახლოვის, თანამოაზრეობისა და ერთგულების ერთ-ერთი მაგალითია აღწერილი (ქართულ ლიტერატურაში) ლეო ქიაჩელის მოთხრობა „ჰაკი-აძბაშიც“, რომელსაც საფუძვლად ნამდვილი ამბავი უდევს (ავტ. შენიშვნა).

შუა საუკუნეების იაპონური ლიტერატურა და ზეპირსიტყვიერება სავსეა ასეთი მაგალითებით. სამურაები შვილებსაც კი სწირავდნენ დაიმეს ღირსების, მისი ოჯახის წევრების სიცოცხლის გადასარჩენად. ბუსი-დოს კანონებით ბატონის სიკვდილის შემდეგ ერთგულების აღქმა არ უქმდებოდა, მოვალეობისაგან სამურაის არავინ ათავისუფლებდა. მას „რონინი“ („თავისუფალი კაცი“, „უსახლკარო მეომარი“) ერქვა. ხშირად ასეთი სამურაები „ყაჩაღთა“ რიგებს ემატებოდნენ, მიუხედავად ამისა, პატრონის სიკვდილის შემდეგ მათი ცხოვრების უპირველეს მიზნად სისხლის აღება რჩებოდა. ცნობილია 47 სამურაი-რონინის ისტორია: მათი დაიმე იძულებული შეიქნა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა. რონინებმა მთელი სიცოცხლე შურისძიებისთვის მზადებას შესწირეს. ბოლოს კი ხელოვნების დონემდე აყვანილი გაწაფულობით აიღეს სისხლი. სამურაის ხასიათისა და აზროვნების მეორე ფუნდამენტური საყრდენი იყო მის დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ — „სიკვდილი ბუმბულზე მსუბუქია“. ამ შემთხვევაში თავს იჩენს მეორე აღმოსავლურ-აზიური მოძღვრების — ბუდიზმის, კერძოდ კი ძენ-ბუდიზმის გავლენა, რომელიც არსებით როლს ასრულებდა სამურაის საკუთარი თავისა და იარაღის (მახვილის, მშვილდის, შუბის, მუშკეტისა და ა.შ.) ფლობის საქმეში. (ბუდიზმი — რელიგია, რომელიც ქადაგებს ტანჯვისაგან განტავისუფლებას მიწიერ მისწრაფებებზე უარის თქმით და „უზენაესი გასხივოსნების“ — ნირვანას მიღწევას. ჩაისახა ძვ.წ. VI-Vს.ს. ინდოეთში. დღეისათვის ბუდიზმს აღიარებს 500 მილიონი ადამიანი.)

ჩაის სმის ცერემონიალი, რომელიც საომარი განწყობილების შთანერგვასა და ბრძოლის შემდეგ განტვირთვას ემსახურებოდა, სწორედ ძენ-ბუდიზმით იყო ნასაზრდოები.

კონფუციანელობა სიმამაცეს განიხილავს როგორც ადამიანის ყველაზე უკეთილშობილეს თვისებას, რაც ბუსი-დოსთვის აუცილებელი იყო, მაგრამ იგი აღიარებდა მხოლოდ გააზრებულ სიმამაცეს და გმობდა გაუმართლებელ რისკს. უმიზნო თავგანწირვა „ძაღლურ სიკვდილად“ ითვლებოდა.

ბუსი-დოს თანახმად, ჭეშმარიტი სამურაი თავმდაბალი, ზრდილი, მოკრძალებული, დიდსულოვანი და უანგარო უნდა ყოფილიყო. მას ბავშვობიდანვე აჩვევდნენ ფულისადმი ზერელე დამოკიდებულებას. ფულის მსყიდველუნარიანობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაურკვევლობა სამურაებს შორის კარგ ტონად ითვლებოდა. ცხადია, იცოდნენ, რომ ფულის გარეშე ცხოვრება შეუძლებელი იყო, მიუხედავად ამისა, ფინანსური საკითხების მოგვარებას კლანის დაბალ წარმომადგენლებს ავალებდნენ. ბავშვობიდანვე ჰქონდათ შესისხლხორცებული დევიზი: „ცაიტაკუ ვა ტეკი და“ („ფუფუნება — მტერია“ ). რა თქმა უნდა, ბუსიდოს მორალური პრინციპებით სამურაები მხოლოდ თავიანთ კლანში ხელმძღვანელობდნენ, იგი დაბალ ფენებთან ურთიერთობისას არ მოქმედებდა. სამურაის შეეძლო მდაბიოს წინაშე ყოყოჩი, გამომწვევი და ამპარტავანიც ყოფილიყო, არც იარაღის გამოყენების დროს იყო აუცილებელი თავის ფლობისა და პასუხისმგებლობის უნარის გამოჩენა. ბუსის შეეძლო შუაზე გაეკვეთა გამვლელი მხოლოდ იმის გამო, რომ შეურაცხმყოფლურად მოეჩვენა მისი საქციელი.

არც მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი ჟლეტა იყო მათთვის უცხო. თავის წრეში დიდსულოვანი სამურაი ვალდებული არ იყო იგივე თვისება მტერთან ან დაბალი ფენის თანამემამულესთან გამოეჩინა. მისი აზრით, მტრის სიცოცხლეს გახვრეტილი გროშის ფასიც არ ჰქონდა და მისი შეწყალება მხოლოდ ტაქტიკური ან გამოსასყიდის მიღების მიზნით ხდებოდა. ყოველი მტრის მოკვლა სამურაის გულადობის ახალ სტიმულს აძლევდა. თითქოსდა მოწინააღმდეგე მხოლოდ იმისთვის არსებობდა, რომ მოეკლა და ამით თავისი ვაჟკაცობა დაემტკიცებინა. ალბათ, აქედან იღებდა სათავეს კაციჭამიური ჩვეულება „კიმო-ტორი“ — როცა ფიცხელი ორთაბრძოლის დროს სისხლმოწყურებული სამურაი მტერს შუაზე, მარცხენა მხრიდან მარჯვენა გვერდამდე გააპობდა (ბერული ტუნიკა). ამოაგლეჯდა ჯერ კიდევ მფეთქავ ღვიძლს და შეთქვლეფდა. სინტოისტური რწმენის თანახმად, მტრის ღვიძლის შეჭმა სიმამაცის მწვერვალია, რაც შეუპოვრობის ახალი ტალღით მუხტავდა სამურაის. სინტოიზმის გავლენა იგრძნობა „სეპუკუში“, რომელიც უფრო „ჰარაკირის“ სახელითაა ცნობილი.

## სეპუკუ

არავინ იცის, როდის წარმოიშვა თვითმკვლელობის ესოდენ შემზარავი ნაირსახეობა. სეპუკუს (ეს ორი იეროგლიფი იკითხება როგორც „ჰარაკირი“, ესე იგი „მუცლის გამოფატვრა“) მიმართავდნენ ოთხ შემთხვევაში: ისეთი შერცხვენის თავიდან ასაცილებლად, როგორიც ტყვედ ჩავარდნაა; ბატონის



სეპუკუსათვის მზადება

დაღუპვისას, მწუხარების გამოსახატავად და ერთგულების დასამტკიცებლად; ბატონის ან უფროსი სამურაის უსამართლობის მიმართ პროტესტის გამოსახატავად; უფროსი სამურაის ან ბატონის მიერ მისჯილი რაიმე არასაკადრისი საქციელის ჩადენის გამო. როგორც ვხედავთ, ოთხივე, ასე თუ ისე, ღირსებისა და სირცხვილის იაპონურ გაგებასთანაა დაკავშირებული.

სეპუკუს განსაკუთრებული უფლება, მხოლოდ სამურაის გამორჩეული პრივილეგია იყო. იგი მოქალაქეთა სხვა ფენებს არ მოეთხოვებოდათ. მაგალითად, სასახლის კარის მაღალჩინოსანს შეეძლო თავი მოეწამლა.

სეპუკუს სამურაი მოკლე მახვილით „ვაკიძასით“ ასრულებდა, რომელიც ცხრა-ნახევარი დიუმის (2,54 სმ) სიგრძისა იყო და სამართებელივით ბასრი ორლესული პირი ჰქონდა.

სავარაუდოდ, სამურაებმა სეპუკუს ტრადიციას თავიანთი სიმამაცისა და ზეადამიანური თვისებების სახალხო წარმოსაჩენად ჩაუყარეს საფუძველი. იგივე თვისებები მათ კეთილისმყოფელთაც გმირობის შარავანდედით მოსავდა.

ერთ-ერთი ისტორიკოსი სეპუკუს შესახებ წერდა: „შემზარავი ტანჯვით თვითმკვლელობის არჩევანი უთუოდ მეომართა კასტის გამორჩეული პრივილეგიით იყო ნაკარნახები, რომელთაც ზეადამიანური ტანჯვის გაძლებით თავიანთი განუმეორებელი გმირობის დამტკიცება შეეძლოთ. დროთა განმავლობაში სეპუკუმ არა მხოლოდ გმირული, ლამაზი საქციელის შინაარსიც შეიძინა, რადგან არა მარტო ღირსეულ სიკვდილად, არამედ უანგარო სამსახურის ესთეტიკურად დამაკმაყოფილებელ დასასრულად ჩაითვალა. XIII საუკუნიდან სამურაების შვილებს მეომრად კურთხევამდე დიდი ხნით ადრე, თეორიულად ასწავლიდნენ სეპუკუს ჩატარების წესებს. მოგვიანებით სეპუკუმ რიტუალურ-ცერემონიული ხასიათი მიიღო, სეპუკუს მიმართავდნენ განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა სამურაი ბატონისგან თვითმკვლელობის ბრძანებას მიიღებდა. XVII საუკუნისთვის ჩამოყალიბდა საგანგებო წესდება, რომელშიც დაწვრილებით იყო აღწერილი ამ ცერემონიალის ყველა შემადგენელი ნაწილი. მაგალითად, ზუსტად იყო აღწერილი რამდენი ტატამი (იატაკზე დასაფენი ჭილოფით) იყო საჭირო და როგორ უნდა განელაგებინათ ისინი. აუცილებლად თეთრი ქსოვილით შემოკერებულ ჭილოფებზე დიდი თეთრი ბალიში უნდა მოეთავსებინათ. მთავარი მოქმედი პირი ბალიშზე წინასწარ შემუშავებულ პოზაში ოდნავ წინ გადახრილი, ქუსლებზე ჯდებოდა, საცერემონიო მოსასხამის სახელოები მუხლებთან ჰქონდა შეკეცილი, რათა სიკვდილის შემდეგ ზურგზე არ დაცემულიყო — „ნამდვილი სამურაი ხომ სიკვდილისას მხოლოდ პირქვე ემხობა“. მისგან მარცხნივ, დაახლოებით ერთ მეტრ მანძილზე ქუსლებზე „კაისიაკუ-ნინი“ (ასისტენტი) იჯდა. იგი სეპუკუმისჯილი სამურაის სისხლით ნათესავი ან ახლო მეგობარი უნდა ყოფილიყო. კასიაკუ-ნინს ხელში შიშველი მახვილი ეკავა, რომლითაც წინასწარ შეთანხმებით სამურაისთვის თავი უნდა მოეკვეთა. სიტყვა „კაისიაკუ“, „დახმარებას“ ან „მომსახურებას“ ნიშნავს. მისი ამოცანა ერთობ „კეთილშობილური“ იყო: მეგობარს ცერემონიალის ჩატარების შემდეგ ზედმეტი ტანჯვისგან ათავისუფლებდა. ამიტომ კასიაკუ-ნინი ყურადღებით აკვირდებოდა სიკვდილმისჯილ სამურაის, როცა იგი ლანგრიდან მოკლე მახვილს აიღებდა და მუცელში ჩაიცემდა, მის სახეზე ტკივილის ან გაუბედაობის ნიშნის გამოჩენისთანავე მოიქნევდა მახვილს და თავს მოჰკვეთდა მეგობარს. ხშირად კაისაკუ-ნინი სამურაის თავს იმავე წამს კვეთდა, რაწამს ის მახვილს წაეტანებოდა. ასეთი მოქმედებაც ღირსეულად ჩატარებულ სეპუკუდ ითვლებოდა და მიცვალებულის ოჯახი ყოველგვარი დევნისგან თავისუფლდებოდა.

მისთვის კი, ვინც უფრო ძლიერი და მამაცი იყო და შეეძლო ტკივილის გაძლება, რიტუალი მოითხოვდა მარცხნიდან მარჯვნივ, ნელი მოძრაობით გამოეფატრა მუცელი და ბოლოს ზემოთ აეწია

მახვილი. ამის შემდეგ კასიაკუ-ნინს შეეძლო თავისი კეთილშობილური მისიის შესრულება. სეპუკუს ცერემონიალის კლასიკური მაგალითი ევროპელთაგან ერთ-ერთმა პირველმა, ბრიტანეთის საელჩოს წარმომადგენელმა ლორდმა რისდეილმა აღწერა: „1868 წელს ქალაქ კობეს მახლობლად მდებარე ტაძარში გამოცხადდა სიკვდილმისჯილი სამურაი, სახელად ტაკი ძენძაბურა (რომელსაც დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, მისი ბრძანებით უცხოელებს სროლა აუტეხეს)... მან ამაყად, ღირსების შეგრძნებით აიღო მახვილი, დაფიქრებულმა დახედა, თითქოს ესიყვარულებოდა, და ჩემთვის მოულოდნელად ღრმად ჩაიცა მარცხენა მხარეს, წელს ქვემოთ, მუცელში და დინჯად გამოსწია მარჯვენა გვერდისკენ, დაიტრიალა ჭრილობაში და მსუბუქი მოძრაობით ასწია ოდნავ ზემოთ. ამ უაღრესად ტანჯვისმომგვრელი მოქმედების დროს სამურაის ერთი ნაკვთიც არ შესტოკებია. როცა ჭრილობიდან მახვილი ამოიძრო, ოდნავ წინ გადაიხარა და კისერი წაიგრძელა. ამ დროს კაისიაკუ, რომელიც გვერდით ეჯდა და მის ყოველ მოძრაობას გაფაციცებული ადევნებდა თვალს, ფეხზე წამოდგა, მისმა ხმალმა ელვასავით გაჰკვეთა ჰაერი და გაისმა მძიმე საგნის იატაკზე დაცემის ყრუ ხმა: კაისიაკუმ ერთი დაკვრით მოჰკვეთა თავი სამურაის“.

სამურაების თითქმის ზეადამიანური ძლიერების მთავარი წყარო სიკვდილით შეპყრობილობა იყო. „დიადი საქმეები განსაკუთრებულ სულიერ მდგომარეობას მოითხოვს“. მეომარს, რომელსაც სიკვდილის შიშის შეგრძნება დაკარგული ჰქონდა, დიდი უპირატესობა ექნებოდა თვითგადარჩენის ინსტინქტით შეპყრობილ მოწინააღმდეგესთან შედარებით (შდრ. „უშიშარი ვითარცა უხორცო „ქართლის ცხოვრება“). „თუ სიკვდილით შეპრობილობას მიაღწიე (გამუდმებით ფიქრობ მასზე, არაფრად აგდებ სიკვდილს, რადგან იგი გარდაუვალია), ბატონის ერთგულება და მისთვის თავგანწირვა თავისთავად მოვა“, — ეწერა წიგნში „იამომოტო ძუნეტომი ჰაკაგური“ („ფურცლებში დაფარული“), სადაც სიკვდილი სიკეთის უმაღლეს ფორმად იყო დასახული. კეთილისმყოფლის შეურაცხმყოფელი უნდა მოკვდეს. ის სამურაიც უნდა მოკვდეს, ვინც კეთილისმყოფელს ვერ დაიცავს. ეს რწმენა მათთვის ისეთივე ჩვეულებრივი იყო, როგორც ბუნების კანონები.

მას შემდეგ, რაც თავმოყვარე სამურაი სიკვდილისადმი ისეთ დამოკიდებულებას შეისისხლხორცებდა, რომ „ბუმბულზე მსუბუქად“ მოსჩვენებოდა, მებრძოლის მთავარი შემფასებელი სიკვდილის სახეობა და მის შესახვედრად მისივე განწყობილება იყო. ესე იგი თავისუფლად შეეძლო არჩევანის გაკეთება. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ იაპონიის საზღვრებგარეთ სამურაების ცხოვრებიდან მხოლოდ სეპუკუს, ანუ ჰარაკირის, როგორც ძნელად წარმოსადგენს ექცეოდა მთავარი ყურადღება.

იაპონიის ზოგიერთი სუზერენი არ ცნობდა რიტუალურ თვითმკვლელობას და 1603 წელს, მეორედ კი 1663 წელს სეპუკუ ოფიციალურად აიკრძალა. მიუხედავად ამისა, მრავალი ბუსი ტრადიციებს არ ღალატობდა (ისევე როგორც ევროპელები დუელის ტრადიციას).

### ახალი დროის გამოძახილი

ბუსი-დოს თემაზე მრავალი საინტერესო წიგნია დაწერილი, გადაღებულია არაერთი მხატვრული ფილმი (აკირა კუროსავას „შვიდი სამურაი“, ჰოლივუდური „უკანასკნელი სამურაი“ და ა.შ., მაგრამ ეს მხოლოდ მხატვრული ფილმებია. როგორ არის საქმე სინამდვილეში?

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ზოგიერთი მოვლენის მიხედვით მტკიცდება, რომ სამურაული სული იაპონიაში არ ჩამკვდარა. ამის დასტურია ის, რომ 1970 წელს ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა იაპონელმა რომანტისტმა იუკიო მისიმამ სამურაების ტრადიციული მეთოდით ჩაიტარა სეპუკუ. 1974 წელს კი ფილიპინებზე, ჯუნგლებში შემთხვევით გადააწყდნენ იაპონის საიმპერატორო არმიის მოხუც ლეიტენანტს, რომელმაც ომის დამთავრებიდან 30 წლის შემდეგ შეწყვიტა წინააღმდეგობა (არ იცოდა, ომი რომ დამთავრდა).

1976 წლის მარტში ტოკიოს გარეუბანში ერთი ახალგაზრდა სპორტული თვითმფრინავით შეეჯახა იმ მოქალაქის სახლს, რომელსაც კორუფციაში სდებდა ბრალს და ამის გამო სურდა მისი დასჯა. ამ საქციელით მან გაიმეორა „ტოკატაი“ — მფრინავ-კამიკაძეების გმირობა, რომელიც შუა საუკუნეების დროინდელი სამურაების სულიერი შეუპოვრებით იყო ნასაზრდოები. ამ თითქოსდა არატიპური ფაქტების გაერთიანება და ახსნა მხოლოდ ბუსი-დოს კოდექსითაა შესაძლებელი.

აზრი, რომ ღირსეული სიკვდილი სჯობია სამარცხვინო სიცოცხლეს, (შეადარე „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“) დღესაც ცოცხლობს იაპონიაში. ამომავალი მზის ქვეყანა ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში თვითმკვლელობათა რაოდენობით: თავს იკლავენ გაკოტრების, გაუზიარებელი სიყვარულის, გამოცდებზე ჩაჭრისა და სხვადასხვა მიზეზთა გამო.

გმირული წარსულით გამოწვეული სიამაყის გრძნობა დღესაც ცოცხლობს იაპონელთა გულებში.

გამარჯვებული გენძის (მინომოტოს კლანი) თეთრი დროშა და დამარცხებული ხაიკეს (ტაირის კლანი) წითელი ალამი დღესაც შეიძლება ნახოთ სასკოლო და საუნივერსიტეტო სტადიონებზე, მოწინააღმდეგე გუნდების განმასხვავებელ სიმბოლოებად.

დღევანდელ იაპონიაში არ არსებობს სამურაის ოფიციალური სტატუსი, თითქოს მათი არსებობაც ისტორიას ჩაჰბარდა, მაგრამ სამურაების შთამომავლებს მთელ ქვეყანაში უაღრესი მოწიწებითა და პატივისცემით ეპყრობიან. ეს ფაქტი კი საპირისპიროს მეტყველებს.



*თამაზ ჟორჟოლიანი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თემურ აფაქიძე

## ჩვენი დროის მამლუქი



ერთია, როცა სამხედრო ტექნიკასა და სხვადასხვა სახის შეიარაღებაზე წერ, მეორე კი ადამიანზე, რომელსაც არ იცნობ, მაგრამ მასზე ბევრი რამ გსმენია. ამ სტატიას თემურ აფაქიძის ხსოვნას ვუძღვნით, რომელმაც სიცოცხლე თავისი ცხოვრების მთავარ მიზანს — ავიაციას შესწირა.

2001 წლის 17 ივლისს, შუადღისას, ყველა რუსული საინფორმაციო საშუალება ეთერში ერთი და იმავე ახალი ამბით გავიდა — „ფსკოვის ოლქში გამართულ ავიაშოუზე კატასტროფა განიცადა საზღვაო ავიაციის კუთვნილმა თვითმფრინავმა. პილოტი დაიღუპა". შემდეგი გამოშვებებიდან კი ცნობილი გახდა, რომ პილოტი რუსეთის ფედერაციის გმირი, საზღვაო ავიაციის სარდლის მოადგილე, გენერალ-მაიორი თემურ აფაქიძე იყო.



თემურ აფაქიძე 1954 წლის 4 მარტს, თბილისში დაიბადა. მალე დედასთან ერთად საცხოვრებლად მაშინდელ ლენინგრადში გადავიდა. რვა კლასის დამთავრების შემდეგ ლენინგრადის ნახიმოვის სახელობის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში შევიდა. 1971 წელს, სასწავლებლის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე, საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალ-ადმირალ გორშკოვს წერილს უგზავნის, რომელშიც საფრენოსნო სასწავლებელში გადაყვანას, ფლოტში დაბრუნების პირობით სთხოვს. მალე ადმირალის თანხმობა მიიღო და თავისი ცხოვრება საგემბანო ავიაციას დაუკავშირა.

იმავე წელს ეისკის მფრინავების უმაღლესი სავიაციო სასწავლებლის კურსანტი გახდა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1975 წელს, აფაქიძე ბალტიის ზღვაზე დისლოცირებულ ცალკეულ გვარდიულ საზღვაო-საიერიშო პოლკში (Су-17М) გაგზავნეს, სადაც 1983 წელს პოლკის მეთაურის მოადგილე გახდა.

1983-86 წლებში აფაქიძე გრეჩკოს სახელობის სამხედრო-საზღვაო აკადემიის მსმენელია, რომლის დამთავრების შემდეგ ქალაქ ნიკოლაევში (უკრაინა) ახალჩამოყალიბებული მე-100 საგემბანო-საგამანადგურებლო პოლკის მეთაურად ნიშნავენ.

პოლკში ფლოტის სამხედრო-საჰაერო ძალებისა და ნაწილობრივ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ავიაციიდან მხოლოდ ყველაზე გამოცდილ მფრინავებს იღებდნენ. განსაკუთრებული ყურადღება მფრინავის მიერ თვითმფრინავის საბრძოლო გამოყენებას ექცეოდა. ახალ მფრინავებს აფაქიძე ხშირად პირადად ცდიდა. მისი, როგორც მფრინავ-ინსტრუქტორის მაღალი პროფესიონალიზმის წყალობით, პოლკის პირადმა შემადგენლობამ უმოკლეს დროში მოახერხა იმ დროისთვის ახალი გამანადგურებლების Су-27-ისა და МиГ-29-ის ათვისება. 1986 წელს მე-100 პოლკი საკის აეროდრომზე ახალჩამოყალიბებულ 1063-ე საგემბანო ავიაციის საბრძოლო გამოყენებისა და პირადი შემადგენლობის გადამზადების ცენტრის შემადგენლობაში შევიდა. მას 299-ე საგემბანო საიერიშო პოლკი და სასწავლო ესკადრილიაც შეუერთდა. ცენტრი ფლოტის სარდალს ემორჩილებოდა და საგემბანო ავიაციისთვის კადრებს ამზადებდა. ხელმძღვანელობის შემცდომები რამდენიმე საფრენოსნო შემთხვევის მიზეზი გახდა — 1988 წელს საწვრთნელი ფრენისას კატასტროფა განიცადა პოლკის МиГ-29-მ. ერთი წლის შემდეგ კი ჰაერში ერთმანეთს ორი სასწავ-

**1991 წლის 26 სექტემბერს ვიცე-პოლკოვნიკი თემურ აფაქიძე პირველი იყო სამხედრო მფრინავებიდან, ვინც Су-33-ი ავიამზიდ კრეისერ „კუზნეცოვის" (ყოფილი „თბილისის") გემბანზე დასვა**



ლო L-39 შეეჯახა. რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა პოლკის მეთაურს, თემურ აფაქიძეს დაეკისრა. ის დააქვეითეს – საჰაერო-ტაქტიკური მომზადების უფროსად დანიშნეს. მალევე მან იმ დროისთვის ახალი საგემბანო გამანადგურებელ Су-33-ის მფრინავების ჯგუფში გადასაყვანად პატაკი დაწერა. 1989 წლის 1-ელ ნოემბერს ამ თვითმფრინავმა ავიამზიდ „ადმირალ კუზნეცოვის“ (ყოფილი „თბილისი“) გემბანზე პირველი დაჯდომა შეასრულა. აფაქიძის მიერ პატაკის დაწერის მომენტისთვის თვითმფრინავი ინტენსიურ გამოცდას გადიოდა. ამ თვითმფრინავს საბჭოთა ავიამზიდებზე ბაზირებადი ვერტიკალური აფრენის Як-38 უნდა შეეცვალა, რომლის ათვისება საკმაოდ ძნელი იყო.

მფრინავ-გამომცდელების პარალელურად, ახალი მანქანის ათვისება თანდათან სამხედრო მფრინავებმაც დაიწყეს და 1991 წლის 26 სექტემბერს იმ დროისთვის უკვე ვიცე-პოლკოვნიკი აფაქიძე ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც Су-33-ი „კუზნეცოვის“ გემბანზე (ამ პერიოდში ავიამზიდი შავ ზღვაში საველ გამოცდებს გადიოდა) დასვა. თანდათან აფაქიძის ფრენებმა Су-33-ზე ინტენსიური ხასიათი მიიღო — ის ავიამზიდის გემბანის ხშირი სტუმარი გახდა. მანამდე კი, 1991 წლის 11 ივლისს, საგემბანო Су-33-ის გაცნობის ფარგლებში საცდელი ფრენისას აფაქიძე არასაშტატო ვითარებაში მოხვდა. იმ დღეს ამ თვითმფრინავზე მარტივი პილოტაჟის ფიგურები უნდა შეესრულებინა. მანქანის შესაძლებლობების დასადგენად პილოტაჟი მინიმალურ დასაშვებ სიჩქარესა და დასაჯდომ კონფიგურაციაში უნდა შესრულებულიყო. ზღვის თავზე საფრენოსნო პროგრამის შესრულების შემდეგ, მეტეოპირობების გაუარესების გამო აფაქიძემ ხმელეთის თავზე გადმოინაცვლა. უეცრად, 350კმ/სთ სიჩქარისას, თვითმფრინავმა მკვეთრი სრიალი დაიწყო. პილოტმა შეძლო მანქანის დაგვერდებიდან გამოყვანა, მაგრამ მიმართულების საჭეების მართვის სისტემის მწყობრიდან გამოსვლის გამო თვითმფრინავი განაგრძობდა გვერდულად ფრენასა და სიჩქარის დაკარგვას. ის იყო პილოტმა ბაზაში დაბრუნება გადაწყვიტა, რომ ხმოვანმა სიგნალმა მართვის ელექტროდისტანციური სისტემის მწყობრიდან გამოსვლა აუწყა. ამ დროს თვითმფრინავმა 2500მ-ის სიმაღლიდან შტოპორში ვარდნა დაიწყო. შექმნილ ვითარებაში აფაქიძემ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ხვდებოდა, რომ ველარ შეძლებდა მანქანის გადარჩენას და 1200მ-ის სიმაღლეზე, გადაბრუნებულ მდგომარეობაში, კატაპულტირება გადაწყვიტა. შემდგომში აფაქიძეს არაერთხელ უნანია, რომ ვერ შეძლო მანქანის გადარჩენა. მან პირობა დადო, რომ ამიერიდან ბოლომდე იბრძოლებდა თვითმფრინავის გადასარჩენად. სწორედ ამან ითამაშა საბედისწერო როლი მის ცხოვრებაში.



საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აფაქიძემ (მარცხნიდან მეოთხე) პოლკის შემადგენლობის უმეტეს ნაწილთან ერთად უკრაინაში სამხედრო ფიცის მიღებაზე უარი განაცხადა და 100-ე პოლკი სევერამორსკში გადმოიყვანა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქალაქ საკში მდებარე სასწავლო ბაზა და იქ დისლოცირებული 100-ე პოლკი დამოუკიდებელი უკრაინის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. პოლკის პირადი შემადგენლობის დიდმა ნაწილმა უკრაინაში სამხედრო ფიცის მიღებაზე, აფაქიძემ კი საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის თანამდებობაზეც უარი თქვა (სარდლად იზანი ცერცვაძე დაინიშნა). ამის გამო საქართველოს სამხედრო წრეებში აფაქიძეზე დღემდე ამბობენ, მოღალატე იყოო. თუმც თავად აფაქიძეს თქმით, სამხედრო ფიცს მხოლოდ ერთხელ დებენ.

საკიდან აფაქიძემ თავისი პოლკის თითქმის სრული შემადგენლობა (ზოგიერთმა უკრაინაში დარჩენა ამჯობინა) და ყველა Су-33 სევერომორსკში გადაიყვანა. ამისათვის და საგემბანო მფრინავების მომზადებაში გაწეული ღვაწლისთვის 1995 წლის 17 აგვისტოს პოლკოვნიკ აფაქიძეს რუსეთის პრეზიდენტმა ელცინმა რუსეთის გმირის წოდება მიანიჭა. 1995 წელს „კუზნეცოვი“ საბრძოლო მორიგეობაზე ხმელთაშუა ზღვაში გადის. ამ ლაშქრობისას საგემბანო მფრინავებმა გემბანზე 2300 დაჯდომაზე მეტი შეასრულეს.

1996 წლიდან ფრენების ინტენსივობა მკვეთრად შემცირდა. ერთადერთი რუსული ავიამზიდი კრეისერი სასწავლო ფრენებისთვის წელიწადში მხოლოდ 2-3 კვირით თუ გადიოდა ზღვაში. ჩრდილოეთის ფლოტის ერთ-ერთ გემთსაშენ ქარხანაში მის გასარემონტებლად გაგზავნის შემდეგ კი ფრენა საერთოდ შეწყდა. ამასთან, გადაუწყვეტელი რჩებოდა საკში მდებარე სავარჯიშო კომპლექს Нитка-ს უკრაინ-





საგემბანო მფრინავების მომზადებასა და საკიდან პოლკის გადმოყვანისთვის 1995 წელს თემურ აფაქიძე პრეზიდენტ ელცინმა რუსეთის გმირის წოდებით დააჯილდოვა

დღეს რომ რუსეთს საგემბანო ავიაცია და ერთადერთი ავიამზიდი კრეისერი აქვს, საქართველოში დაბადებული თემურ აფაქიძის დამსახურებაა



ისგან იჯარით აღების საკითხიც. ყველაფერი ეს უარყოფითად აისახებოდა საგემბანო მფრინავებსა და მათი მომზადების დონეზე. 1997 წლისთვის „კუზნეცოვზე“ დარჩენილი საგემბანო მფრინავების რიცხვი 15-ს არ აღემატებოდა. რუსეთში ფინანსური კრიზისის გამო არმიას არ გააჩნდა საგემბანო ავიაციის შენახვის სახსრები — კვირის განმავლობაში ერთსაათიანი ფრენა დიდ მიღწევად ითვლებოდა. უსახსრობის გამო ავიამზიდის ჩაბარებაც გადავადდა. ერთხანს მისი ექსპლუატაციიდან გაყვანის საკითხიც კი განიხილებოდა. ამიტომ აფაქიძემ გემბანზე გამანადგურებლების დასმა გადაწყვიტა, წინააღმდეგ შემთხვევაში „კუზნეცოვი“ შეიძლებოდა ჯართად დაეჭრათ. 1997 წლის შემოდგომაზე უკვე გენერალ-მაიორმა აფაქიძემ რამდენიმე მფრინავთან ერთად „პუგაჩოვის კობრასა“ და „კოლოკოლის“ — არასტანდარტული საბრძოლო მანევრების ათვისება დაიწყო. მანამდე ეს მანევრები რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების არც ერთ მფრინავს არ ჰქონდა შესრულებული.

1998 წლის მაისში გადაწყდა ქვეყანაში ერთადერთი 57-ე შერეული საგემბანო ავიადივიზიის დაშლა, რომლის მეთაურად აფაქიძე 1994 წელს დაინიშნა. აფაქიძე ხუთი თვის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა თავდაცვის სამინისტროს ჩინოვნიკების გადარწმუნებას. მან მხოლოდ დივიზიაში შემავალი ორივე პოლკის შენარჩუნება შეძლო. ასე რომ, დღეს ჩვენს „მშვიდობისმოყვარე“ მეზობელს რომ საგემბანო ავიაცია და ერთადერთი ავიამზიდი კრეისერი აქვს, თემურ აფაქიძის დამსახურებაა.

1998 წელს აფაქიძეს გენერალური შტაბის უმაღლეს აკადემიაში სასწავლებლად გზავნიან, რომლის დამთავრების შემდეგ, 2000 წელს, მას რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიაციის სარდლის მოადგილედ ნიშნავენ, თუმც მაღალი თანამდებობის მიუხედავად, ის განაგრძობდა ფრენას.

2001 წლის 17 ივლისს რუსეთის საზღვაო ფლოტის ავიაციის 85 წლის იუბილეს აღნიშნავდნენ. იმ დღეს ფსკოვის ოლქის ქალაქ ოსტროვში, სადაც 1994 წლიდან საზღვაო ავიაციის საბრძოლო გამოყენებისა და პირადი შემადგენლობის გადამზადების ცენტრი ბაზირებდა, ავიაშოუ გაიმართა. სადემონსტრაციო ფრენებს საგემბანო გამანადგურებელი Су-33-ით აფაქიძე აგვირგვინებდა. მან უხარვეზოდ შეასრულა საფრენოსნო პროგრამა, მაგრამ დაჯდომის წინ რაღაც მოხდა. აფაქიძე ცდილობდა მანქანის გადარჩენას, მაგრამ ამაოდ — Су-33-ს ასაფრენ-დასაფრენ ზოლამდე ორი კილომეტრიღა ჰქონდა დარჩენილი, რომ სოფელ ჩერეპიაგინოს ახლოს ჩამოვარდა. ხმელეთზე მყოფთაგან არავინ დაშავებულა. სასწრაფო დახმარების მოსვლისას აფაქიძე კიდევ ცოცხალი იყო. მიწასთან შეჯახებისას წარმოქმნილმა ძლიერმა დარტყმამ ის თვითმფრინავიდან ამოაგდო, რის გამოც მრავლობითი დაზიანება და მოტეხილობა მიიღო. რუსეთის №1 საგემბანო მფრინავი საავადმყოფოში მიყვანამდე, სასწრაფო დახმარების მანქანაში გარდაიცვალა. ის მხოლოდ 47 წლის იყო. ამ ტრაგედიამდე ერთი წლის განმავლობაში აფაქიძეს 180 საათი ჰქონდა ნაფრენი, რეპეტიციის მიზნით კი პროგრამა ექვსჯერ ჰქონდა შესრულებული...

მომხდარის შემდეგ სამხედრო პროკურატურამ დაუყოვნებლივ დაიწყო გამოძიება. შეიქმნა სპეციალური კომისიაც. აი, რა ვითარებაში მოხდა Су-33-ის კატასტროფა. აფრენიდან 2 წუთის შემდეგ მფრინავმა მანევრ „ყურის“ (საბრძოლო მოტრიალება, უმაღლეს წერტილში ნახევარკასრის შესრულებით) შესრულება დაიწყო, რომლიდანაც 530მ-ის სიმაღლეზე გამოვიდა. შემდეგი მანევრის შესასრულებლად (ასაფრენ-დასაფრენი ზოლის თავზე დასაფრენ კონფიგურაციაში გადაფრენა და გემბანზე დაჯდომის იმიტაცია) პილოტმა ენერგიული მანევრის შესრულება დაიწყო, ძრავების წევის „დაბალი გაზის“ რეჟიმზე გადაყვანითა და მოხვევის ინტენსიურობის გაზრდით. სწორედ ამ დროს მანევრის შესრულებაზე გადართულმა აფაქიძემ ფრენის რეჟიმზე კონტროლი დაკარგა. მას გამორჩა ფრთაუკანების გამოშვება და ვერ განსაზღვრა, რომ შეტევის კუთხე 24 გრადუსს გადასცდა — გაფრენის წინ შეტევის კრიტიკული კუთხის შემატყობინებელი სისტემა მან შეგნებულად გამორთო. ამ დროს კი 270მ-ის სიმაღლეზე და 265კმ/სთ-ით მფრენი თვითმფრინავი შეტევის 27-29-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრადუსიან კუთხეზე გავიდა (სამწუხაროდ, შეცდომისა და თავდაჯერებისგან არავინ არის დაზღვეული, თვით უმაღლესი კლასის მფრინავიც კი). შეტევის ზეკრიტიკულ კუთხეზე გასვლის გამო ფრთამ დაკარგა ეფექტიანობა და თვითმფრინავმა ვარდნა დაიწყო. 45მ/წმ-ის ტოლი დაშვების ვერტიკალური სიჩქარისას მან ძრავების წევა „განსაკუთრებულ" რეჟიმში გადაიყვანა და თვითმფრინავის დაგვერდების გასწორება მხოლოდ მართვის სახელურის გადახრით სცადა. თუმც შეტევის დიდ კუთხეზე ეს არასაკმარისი აღმოჩნდა და 2წმ-ის შემდეგ მან მიმართულების საჭეები გამოიყენა. 180მ-ის სიმაღლეზე თვითმფრინავმა გასწორება დაიწყო. 40მ-ის სიმაღლეზე 140კმ/სთ-ის ტოლ სიჩქარეზე თვითმფრინავი დაგვერდებიდან ჰორიზონტალურ რეჟიმში 30-გრადუსიანი შეტევის კუთხით გავიდა და პარაშუტირების რეჟიმზე გადავიდა. ამ მომენტში მისმა ვერტიკალურმა სიჩქარემ 50მ/წმ-ს გადააჭარბა. სიჩქარის შესამცირებლად აფაქიძემ მართვის სახელური თავისკენ მოქაჩა და ძრავები მუშაობის ფორსაჟულ რეჟიმზე გაიყვანა, მაგრამ უკვე გვიანი იყო — მდგომარეობის გამოსასწორებლად სიმაღლე არ ეყო.

აფრენიდან 3 წუთისა და 45წმ-ის შემდეგ თვითმფრინავი მიწას დაენარცხა. კომისიის დასკვნით, აფაქიძემ ვერ შეძლო რთული სიტუაციის ავარიულში გადასვლის განსაზღვრა. ფრენების ხელმძღვანელის ბრძანების მიუხედავად, აფაქიძემ არ გამოიყენა გადარჩენის საშუალებები — მან შეასრულა 1991 წლის 26 სექტემბრის შემდეგ დადებული პირობა. არადა, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დადგენილებით ავარიულ სიტუაციაში მფრინავს კატაპულტირების უფლება ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშეც აქვს. ერთადერთი, რისი გაკეთებაც მოასწრო აფაქიძემ, 180-190მ-ის სიმაღლეზე შეძლო ფრენის მიმართულების შეცვლა და მანქანის მაყურებლებისგან გარიდება და თავისი სიცოცხლის ფასად ათეულობით ადამიანი გადაარჩინა.

მფრინავ-სნაიპერ თემურ აფაქიძეს 13 სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავზე 3,5 ათას საათზე მეტი ჰქონდა ნაფრენი. ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიაციის მფრინავებიდან ერთ-ერთი იმ ხუთთაგანი იყო, რომელსაც „პუგაჩოვის კობრის" შესრულება შეეძლო.

ამბობენ, რომ აშშ-ში საგემბანო მფრინავებს, რომლებსაც ავიამზიდზე ორასი დაჯდომა აქვთ შესრულებული, პრეზიდენტი პირადად იცნობს. თემურ აფაქიძეს „კუზნეცოვის" გემბანზე სამას დაჯდომაზე მეტი ჰქონდა შესრულებული. სანაცვლოდ კი მეუღლესა და ორ შვილთან ერთად გენერალური შტაბის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა.

თემურ აფაქიძემ ყველაფერი გააკეთა რუსეთის საგემბანო ავიაციის შესანარჩუნებლად და მის გასავითარებლად. ერთ-ერთ ინტერვიუში მან თქვა: „მზად ვარ ავიამზიდის გემბანის ყოველი მეტრი დავკოცნო, რადგან ამდენი წლის განმავლობაში მას არც ერთი მფრინავის სიცოცხლე არ შეუწირავს". წლების განმავლობაში აფაქიძე ძალ-ღონეს არ იშურებდა ახალი საგემბანო მფრინავების მოსამზადებლად და ამისთვის საჭირო ყველა მატერიალურ-ფინანსურ პრობლემას თვითონ აგვარებდა.

დღეს რუსეთის გმირ თემურ აფაქიძის სახელს ქალაქ ოსტროვსა და გარნიზონ „სევერამორსკ-3"-ში არსებული ქუჩები ატარებენ. გამანადგურებლის ჩამოვარდნის ადგილზე მისივე სახელობის სამრეკლო აშენდა. 2003 წელს კი ქალაქ სევერომორსკს კიდევ ერთი ძეგლი — გენერალ-მაიორ აფაქიძის ბრინჯაოს ბიუსტი შეემატა.

*თემურ პულუზაშვილი*



აფაქიძეს თვითმფრინავის დაცემის ადგილას მემორიალური ქვა დადგეს, ცოტა ხანში კი გვერდზე მისივე სახელობის სამრეკლო ააშენეს


ერთადერთი რისი გაკეთებაც მოასწრო აფაქიძემ ჩამოვარდნის წინ, განწირული თვითმფრინავი მაყურებლებს გაარიდა.





ეროვნული ბიბლიოთეკა



„არსენალი“ ცდილობს სულ უფრო და უფრო საინტერესო იყოს მკითხველისათვის, ამიტომ გთავაზობთ ახალ რუბრიკას, რომელშიც განვიხილავთ ზოგადად ომების ისტორიას კონკრეტული ბრძოლების მაგალითზე, რომლებიც VI-XV სს-ებში გაიმართა. ვინაიდან თემა ძალიან ტევადია, რუბრიკა გაგრძელებებით იბეჭდება.

# საალყე ტექნიკა შუა საუკუნეებში

## გაგრძელება

ომი არის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური ძალების დაპირისპირება, რომლის დროსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეიარაღებასა და ბრძოლის ტაქტიკას. თანამედროვე სამხედრო ხელოვნება, რომელიც საკმაოდ განებივრებულია ტექნიკური მიღწევების გამოყენებით, დიდად განსხვავდება მისი განვითარების პირველი საფეხურებისაგან. საბრძოლო ხელოვნების განვითარების საწყის ეტაპზე მთავარი და უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს ენიჭებოდა. სამხედრო ტაქტიკა სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილია, რომელიც არმიის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას გულისხმობს. საბრძოლო ხელოვნების ისტორიის მანძილზე ის გამუდმებით იცვლებოდა, რასაც ადამიანთა კულტურული თუ ტექნიკური ევოლუცია განაპირობებდა...



ალყა — ქალაქის ან ნებისმიერი სხვა პუნქტის ხანგრძლივი სამხედრო ბლოკადა — დენთის გამოჩენამდე კამპანიის წარმატების უმთავრეს ელემენტს წარმოადგენდა. ალყა იწყება მაშინ, როდესაც თავდამსხმელს გამაგრებული პუნქტიდან მოპასუხე წინააღმდეგობას უწევს. როგორც წესი, ალყაში მოქცეული ობიექტი მთლიანად იბლოკება, რაც ტყვია-წამლით, სურსათით, სასმელი წყლითა და სხვა რესურსებით მომარაგებას აფერხებს ან საერთოდ ზღუდავს. ალყის დროს თავდამსხმელი გალავნისა და ციხის გასანადგურებლად საალყო ქვემეხებს ან არტილერიას იყენებს. საალყო ხელოვნებას ურბანიზაციის განვითარებასთან ერთად ჩაეყარა საფუძველი და შესაბამისად, ხანდაზმული „ასაკით“ გამოირჩევა. ახლო აღმოსავლეთში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია მრავალი თავდაცვითი ნაგებობა (გალავანი, თხრილი და სხვ.), რაც სამხედრო ალყის პრაქტიკაზე მიანიშნებს. ევროპაში რენესანსისა და უახლესი ისტორიის ადრეულ პერიოდში კი ბრძოლის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად გადაიქცა. საალყო ტექნიკის განვითარებამ მისი მრავალფუნქციურობაც გამოავლინა, — მას არა მხოლოდ ნაგებობების, არამედ ცოცხალი ძალის წინააღმდეგაც ძალზე ეფექტიანად იყენებდნენ. დენთის გამოჩენამ სამხედრო ტექნიკის განვითარება სულ სხვა მიმართულებით წაიყვანა. ზუსტი მეცნიერებების საფუძველზე ბალისტიკის განვითარებამ მექანიკურ საალყე ტექნიკას წყალი შეუყენა. ნაპოლეონის ეპოქაში მძლავრი საარტილერიო შეიარაღების გამოყენებამ არა მხოლოდ ძველი მანქანების, არამედ ციხის ფორტიფიკაციებსაც დააკარგვინა აზრი. თანამედროვე ეპოქაში გალავნის მაგივრობას სანგრები, ციხეების ფუნქციას კი ბუნკერები ასრულებენ. XX საუკუნეში კლასიკურმა ალყამ თავისი ფუნქცია ამოწურა, ვინაიდან ტექნიკურ პროგრესთან ერთად შეიცვალა სამხედრო მოქმედებების წარმოების სპეციფიკაც.

შუა საუკუნეების საალყო ტექნიკა მუდმივად ვითარდებოდა, რასაც თავდამსხმელისა და მომგერიებლის ერთგვარი „ტექნიკურ-ინოვაციური“ პაექრობა უწყობდა ხელს. სამხედრო ინჟინრები გამუდმებით ეძებდნენ ციხისა თუ ქალაქის აღების ახალ შესაძლებლობებსა და იდეებს. ამავდროულად, აუმჯობესებდნენ ფორტიფიკაციებსა და თავდაცვის სხვა საშუალებებსაც.

ალყის წარმოების ისტორიის შესწავლა საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ანტიკური ხანისგან განსხვავებით შუა საუკუნეებში პრინციპულად განსხვავებული თითქმის არაფერი გამოუგონიათ. იმის მიხედვით, თუ რას წერენ ისტორიკოსები, გვექმნება შთაბეჭდილება, თითქოს ანტიკურ სამყაროში სამხედრო სფეროში განვითარება სწრაფად მიმდინარეობდა, ხოლო შუა საუკუნეებში — შედარებით ნელა, მაგრამ ეს მცდარი შთაბეჭდილებაა. სინამდვილეში ანტიკური ხანა საკმაოდ დიდ პერიოდს — რამდენიმე ათას წელს ითვლის, მაშინ, როცა შუა საუკუნეები სულ რაღაც ათეულ ასწლეულს მოიცავს.

მიუხედავად ყველაფრისა, არ შეიძლება უარვყოთ, რომ შუა საუკუნეების საალყო ტექნიკის ხასიათი შორეული ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს. საფორტიფიკაციო ნაგებობები ცნობილია ჯერ კიდევ ძვ.წ. 3000 წლისათვის, ხოლო ციხის ალყის პირველი ილუს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაციები დაახლოებით ძვ. წ. 2000 წლით თარიღდება. 1800 წლიდან კი გვხვდება შუა საუკუნეებში ცნობილი ტარანისა და მოძრავი ციხეების მსგავსი საშუალება — ბეფრე ან ბეფრუა. ახლო აღმოსავლეთში შუმერებისა და ასირიელების ჰეგემონობის პერიოდში თავდაცვისა და თავდასხმის ტექნიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი ძვრები შეინიშნება. ერთი მხრივ, გაჩნდა თავდამსხმელთა ბანაკები ციხეების გარშემო, მიწაყრილები, მეორე მხრივ კი მზადდებოდა თხრილები, კედლის ციხეები, გალავნები და სხვ. შეინიშნება სანგრების, ასაწევი ხიდებისა და რაბების გამოჩენაც.


ტრებუშეტი

ჩვ.წ. პირველ ათასწლეულში საალყო ტექნიკის გავრცელებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სირაკუზამ, განსაკუთრებით კი დიონისე I-ის მმართველობის დროს (407-367 წწ.). სირაკუზელებმა ბევრი რამ აითვისეს ფინიკიელებისაგან, მიღებული გამოცდილება კი შემდეგ ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებს უანდერძეს. ქვის გამაგრებები, ანუ გალავანი, მალე ჩვეულებრივ ამბად იქცა. სირაკუზელი ტირანები თავიანთ კარზე იწვევდნენ ნიჭიერ ინჟინრებს და დისტანციური ბრძოლის იარაღის განვითარებისთვის კვლევებსა და ცდებს ატარებდნენ. ასე შეიქმნა გასტროფეტი (დიდი მშვილდი, არბალეტის მსგავსი სატყორცნი იარაღი. მის კონსტრუქციაში გათვალისწინებული იყო სასხლეტი და საბერკეტე მექანიზმები) და ოკსიბოლე, მანქანები, რომლებიც ისრის მსგავს „ჭურვებს“ ისროდნენ. ძველი ბერძნების შეიარაღებაში სატყორცნი მანქანები ძვ.წ. 375 წლიდან შევიდა. დაახლოებით ამავე პერიოდში შეიქმნა დახურული ტარანი კართაგენში.

საბრძოლო ხელოვნებისა და ტექნიკის დახვეწას ცდილობდა მაკედონიაც. ალექსანდრე დიდის მამამ — ფილიპე II (359-336 ჩვ.წ) სირაკუზელი ტირანების მსგავსად თავის კარზე გამოჩენილ სამხედრო ინჟინრებს იწვევდა. მის სატყორცნ ტექნიკაში ფართოდ გამოიყენებოდა ცხოველების მყესებისგან დაგრეხილი თოკები, რომელთა მეშვეობითაც ქვებს ისროდნენ. საალყო საშუალებებს შორის ასევე გამოიყენებოდა საშტურმო კიბეები, ბორბლებით მოძრავი ხის ძელებისაგან შეკრული ნაგებობები, ასევე „კუს“ ნაირსახეობები. ეს უკანასკნელი ფარებით დაცული რამდენიმე მეომრისაგან შედგებოდა. ფარები მეომრებს კუს ბაკნის მსგავსად ჰქონდათ გადაფარებული და ერთმანეთზე მიჯრილი. „კუს“ მეშვეობით მეომრები კედელს უახლოვდებოდნენ და საალყო ტექნიკის გამოყენებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდნენ. მაგალითად, ფიჩხკონებით ან სხვა საშუალებებით ავსებდნენ თხრილებს და სხვ.

ტარანის გარდა, კართაგენელებმა საალყო კოშკიც გამოიგონეს, რომელიც შემდეგ მთელ ხმელთაშუა ზღვისპირეთში გავრცელდა. ანტიკური ხანის ყველაზე დიდი საალყო კოშკი — ელეპოლისი მაკედონელებმა როდოსის ალყის დროს (ჩვ.წ. 305-304 წ.წ.) გამოიყენეს. ის დაახლოებით 45 მეტრის სიმაღლისა და 20 მეტრის სიგანის იყო. კოშკი მოიცავდა 9 სართულს, ხოლო „ეკიპაჟი“ 200 მეომრისაგან შედგებოდა. როგორც გადმოგვცემენ, ალყის დასრულების შემდეგ კოშკისაგან მორჩენილი ეს უზარმაზარი მასალა როდოსელებმა როდოსის კოლოსის მშენებლობასა და ყურის გამაგრებას მოახმარეს (როდოსის კოლოსი — შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთი. ის მზის ღმერთის — ჰელიოსის უზარმაზარი ქანდაკება იყო. როდოსელთა რწმენით ჰელიოსი ქალაქს მფარველობდა და ბერძნებს მტერთან ბრძოლაში იცავდა. როდოსის კოლოსი აიგო ძვ.წ. III საუკუნეში). კოშკი კაბესტანის დახმარებით მიჰქონდათ (დიდი ტვირთის გადასატანი მექანიზმი). მოძრავი კოშკიდან მოსალოდნელი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად მომგერიებლები ციტადელის წინ თხრილებს თხრიდნენ და წყლით ტბორავდნენ, რათა ტალახში ჩაფლულიყო. ამგვარად ამ კოშკების გამოსაყენებლად აუცილებელი იყო სწორი ადგილი. შემაღლებულ ადგილებზე გაშენებული ქალაქები და ციხესიმაგრეები რელიეფის გამო ნაკლებმოწყვლადი იყო. მეორე მხრივ ყველა დიდი ქალაქი მდინარის ან ზღვის პირას იყო გაშენებული და ამიტომაც ჰქონდათ სუსტი მხარეები გალავანზე, თანაც შესაძლოა კოშკი ზღვით უკვე დამზადებული გადმოეტანათ ან ადგილზე, ხმელეთზევე მოემზადებინათ. უმეტესწილად კი მოძრავ ციხეებს ადგილზევე აკეთებდნენ.

საალყო კოშკების გამოყენებამ პიკს შუა საუკუნეებში მიაღწია. ავარები მას 626 წელს კონსტანტინოპოლის უშედეგო შტურმის დროსაც იყენებდ-


ტარანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ. შუა საუკუნეებში საალყო კოშკმა საკმაოდ მნიშვნელოვანი განვითარების ეტაპები გაიარა. მაგალითად, 1266 წელს კენილვორტის ციხის აღებისას ერთ-ერთ კოშკზე 200 მშვილდოსანი და 11 კატაპულტი იდგა. მიუხედავად ამისა, ალყა ნახევარ წელიწადზე დიდხანს გრძელდებოდა და ინგლისის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი ალყის სახელით არის ცნობილი. არტილერიის გამოჩენამ მოძრავ კოშკებს ფუნქცია დააკარგვინა, იგივე ბედი ეწია ქალაქის ციტადელს და სხვა სახის ფორტიფიკაციებს. თუმც მოგვიანებით შეიქმნა ისეთი კოშკის კონსტრუქციები, რომლებიც დენთის ეპოქაშიც კი ფართოდ გამოიყენებოდა. მათ საალყო არტილერიის განსათავსებლად იყენებდნენ.

საალყო ხელოვნებაში ერთი ხალხის მიერ გამოყენებული ინოვაცია ძალზე ხშირად მისი მტრის სამხედრო არსენალში ინაცვლებდა ხოლმე. ანტიკური ხანის მიწურულს ასეთი „მემკვიდრეობის“ მფლობელი რომის იმპერია გახდა, რომელმაც თითქმის ყველაფერი ბერძნული ცივილიზაციისაგან მიიღო. რომაელებს უყვარდათ ბრძოლა და ეს საქმე არცთუ ისე ცუდად გამოსდიოდათ. ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან მათ არა მხოლოდ ლიტერატურა, ფილოსოფია და სახვითი ხელოვნება, არამედ სამხედრო საქმეც წაიღეს და კიდევ უფრო განავითარეს. ამ მხრივ მათ ცენტრალური ადგილი უკავიათ შუა საუკუნეების ევროპაში. საალყე ტექნოლოგიებმა საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს დასავლეთში რომის გაბატონებაში, რაც იულიუს კეისრის მაგალითითაც დასტურდება. რომაელთათვის დამახასიათებელი საფუძვლიანობით დამპყრობელმა მთელ გალიაში გამაგრებული ბანკების ქსელი გააშენა და ვერცინგეტორიქსი (ჩვ.წ. 72-46 წ.წ. გალიის ბელადი, რომელმაც გალიის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები გააერთიანა და რომაულ ჯარს დაუპირისპირა) ალეზიის ციხესიმაგრეში ალყაში მოაქცია. ხანგრძლივი წინააღმდეგობისა და ვენციგეტერიქსის ჯარის უპირატესობის მიუხედავად (80 ათასი 60 ათასის წინააღმდეგ), ის დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა.

ანტიკური ხანის საალყო ტექნიკა ორ ჯგუფად იყოფა. ერთ მათგანს მიეკუთვნება სატყორცნი ქვემეხები, მეორეს კი სხვა დანარჩენი: ტარანი, საალყო კოშკი, კიბე და აშ.. ძველ სამყაროში არსებული სატყორცნი ქვემეხების ყველა სახელწოდება რომ მოვიყვანოთ, შთამბეჭდავ სიას მივიღებთ: პალინტონი, ორანგი, სკორპიონი, ანჟენი, ფუნდიბული, ესპინგალი, რობინე, მანგონელი, კალაბრა — ყველა მათგანი სულ რამდენიმე მექანიზმის მოდიფიკაციას წარმოადგენს.

ყველა სატყორცნი მანქანა მოქმედების პრინციპის მიხედვით, გარდა სიფონოფორისა, შეგვიძლია სამ კატეგორიად დავყოთ.

ტენსიონური მანქანა „ჭურვისათვის“ იმპულსის მისაცემად მოდრეკის ენერგიას იყენებს. ამ სქემის იარაღია: არბალეტის მსგავსი გასტრაფეტი, რომელსაც მუცლით მშვილდზე დაწოლით ჭიმავდნენ და დაზგიანი არბალეტი ეწოდება. ის ფართოდ გავრცელდა შუა საუკუნეების ევროპაში. საველე ბრძოლებში ორფეხიანი არბალეტები იხმარებოდა, სამფეხიანები კი, ძირითადად, ხომალდებზე და ციხეების თავდაცვისათვის გამოიყენებოდა. კოშკის არბალეტი, როგორც წესი, უმოძრავ დაზგაზე იდგა და მათგან სროლა მხოლოდ ერთი მიმართულებით იყო შესაძლებელი. თავდაპირველად არბალეტები ხელით ან მუცლით მოჰყავდათ მოქმედებაში. XIII საუკუნიდან გამოჩნდა პირველი მოსაზიდი მოწყობილობები: კავი, უზანგი, კრანეკინი.

ტორსიონური მანქანები მიჯრილობის ენერგიას იყენებს. თავად ტორსიონი მსხვილი გვარლი ან თმისა და ძარღვებისაგან დამადებული ბადე. მას მსხვილ ბერკეტზე ახვევენ, რის შემდეგაც ტორსიონი იჭიმება. ამ პრინციპით მოქმედებდა ონაგრი, ისრის მტყორცნელი სკორპიონი და ქვის სატყორცნი ბალისტა. ტორსიონური მანქანები საბერძნეთში ჩვ.წ. 340 წლიდან გამოჩნდა, შემდეგ კი რომშიც გადაინაცვლა და მცირე მოდიფიკაციაც განიცადა. სკორპიონი და მსუბუქი ბალისტები, რომელთა გადაადგილებაც საკმაოდ იოლი იყო, ფართოდ გამოიყენებოდა საველე ქვეითსაწინააღმდეგო არტილერიის სახით, ონაგრი და დიდი ბალისტა კი საალყო ქვემეხების ფუნქციით.

საჭაპანო არტილერია ადამიანის ფიზიკურ ძალას იყენებს, ასეთია ტრებუშეტის მოქმედების პრინციპი. პირველად ის ჩინეთში დაახლოებით VI საუკუნეში ჩვ.წ.-მდე გამოჩნდა. ახ.წ.-ის VI საუკუნეში ის ბიზანტიაშიც გავრცელდა, ხოლო შემდეგ მთელ ევროპაში. მცირე კალიბრის გამო მას, ძირითადად, მხოლოდ ადამიანებისა და გალავნის ზედა ნაწილის გასანადგურებლად იყენებდნენ.

გრავიტაციული მოქმედების პრინციპით კლასიკური ქვისმტყორცნელი მანქანა — საპირწონიანე ტრებუშეტი მოქმედებს. ეს საალყო მანქანა ფიქსირებული საპირწონეთი XII საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა და თუკი მანამდე ქვის სატყორცნი ქვემეხები ქვეითსაწინააღმდეგო იარაღად ითვლებოდა, საპირწონით აღჭურვილი ტრებუშეტი ციხის გალავნის ჩამოსანგრევად გამოიყენებოდა.

XII საუკუნეში დაკიდებული საპირწონე გამოჩნდა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება დიდი კედლის მსხვრევი ტრებუშეტის ისტორიაც. ამავე პერიოდიდან დაიწყო ფორტიფიკაციების მასობრივი გაძლიერებაც. ციტადელი მაქსიმალურად ძლიერი და მასიური უნდა ყოფილიყო. ამასთან, დროთა განმავლობაში გაირკვა, რომ მრგვალი გალავანი ოთხკუთხასთან შედარებით უპირატესობით სარგებლობდა.


საალყო კოშკი

ანა ფალიანი

# აფხაზი სეპარატისტები დასკვნებს აკეთებენ

ცხინვალის რეგიონში რუსეთის ჯარების შემოჭრამდე რამდენიმე დღით ადრე, 30 ივლისს, აფხაზეთის პრეზიდენტმა ბაღაფშმა შეიარაღებული ძალების სარდლობას ავანსად გენერლის ვარსკვლავები დაურიგა. თავდაცვის მინისტრი მირაბ ქიშმარია და გენშტაბის უფროსი ანატოლი ზაიცევი გენერალ-პოლკოვნიკები გახდნენ. თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, ჯარების აღმოსავლეთის დაჯგუფების სარდალმა ვლადიმერ ანუამ გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიიღო, ხოლო მინისტრის პირველმა მოადგილემ ზაკანბეი ნანბამ და მოადგილემ გარი კუპალბამ გენერალ-მაიორობა დაიმსახურეს.

აფხაზეთის მცირერიცხოვანი არმიის გენერალიტეტმა უმაღლეს მთავარსარდალს „ამაგი“ დაუფასა და ბრძანება კოდორის ხეობაში ოპერაციის ჩატარების თაობაზე აგვისტოში პირნათლად შეასრულა.

ხეობას აფხაზები კარგა ხანია ემუქრებოდნენ. განსაკუთრებით კატეგორიულები 2006 წლის აგვისტოს შემდეგ გახდნენ, როცა კოდორში საქართველოს ხელისუფლებამ სამხედრო ოპერაცია და უსაფრთხოების გაზრდის მიზნით ღონისძიებები გაატარა.

2008 წლის აგვისტოს მოვლენათა სიმძიმის ცენტრის ცხინვალის რეგიონში გადმოტანამ კოდორის მიმართულებისადმი ყურადღება მოადუნა. ხეობის საიმედოდ დაცვის თაობაზე ხელისუფლების არაერთი განცხადების მიუხედავად, აფხაზებმა რუსული არმიის მხარდაჭერით მუქარა მაინც აღასრულეს და კოდორი უბრძოლველად დაიკავეს.

ოპერაცია რუსმა და აფხაზმა სამხედროებმა ერთობლივად მოამზადეს. აფხაზთაგან მას კოორდინაციას თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, გენერალ-მაიორი ზაკანბეი ნანბა უწევდა, ხოლო რუსეთს — შეიარაღებული ძალების საბრძოლო მომზადებისა და სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, გენერალ-მაიორი ალექსეი ლარჩენკო წარმოადგენდა.




რუსი მედესანტეები კოდორის ხეობისკენ მიემართებიან

10 აგვისტოს ცხინვალის მოვლენების მომიზეზებით სოხუმის ხელისუფლებამ გალის, ტყვარჩელის, ოჩამჩირის, გულრიფშისა და ნაწილობრივ სოხუმის რაიონში 10 დღით სამხედრო მდგომარეობა შემოიღო. დაიწყო რეზერვისტთა მობილიზაცია.

საბრძოლო მოქმედებებში აფხაზური ქვედანაყოფების ჩაბმას წინ რუსეთის არმიის ქმედებები უსწრებდა, რაც ქართული გარნიზონის ბრძოლისუნარიანობის დაქვეითებისკენ იყო მიმართული.

აფხაზურ ფორმირებებში დანაკარგის შესამცირებლად რუსეთის არმია ხეობის სისტემატურ საარტილერიო, სარაკეტო თუ საავიაციო დამუშავებაზე გადავიდა.

9 აგვისტოს 14 საათსა და 30 წუთზე რუსულმა ავიაციამ პირველად სოფელი აჟარა დაბომბა. ამის შემდეგ დაბომბვებმა რეგულარული ხასიათი მიიღო. მოიერიშე თვითმფრინავებისა და საბრძოლო შვეულმფრენების დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა აჟარა, ჩხალთა, გენწვიში, ომარიშარა, საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებები და საპოლიციო ქვედანაყოფების პოზიციები.

ხეობის დამუშავება რუსების 122 მმ-იანი Д-30 ტიპის ჰაუბიცებითა და აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოყვანილი სარაკეტო ბრიგადის ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო კომპლექს „ტოჩკას“ გამოყენებით მიმდინარეობდა. დროდადრო აფხაზური არტილერია, მათ შორის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა „გრადიც“ ისროდა.

შეზღუდული საჰაერო თავდაცვის პირობებში ხეობის დამცველებს გახშირებული საჰაერო თავდასხმების მოგერიება უჭირდათ. მიუხედავად ამისა, საზენიტო ცეცხლით რამდენიმე რუსული მოიერიშე Су-25-ის მძიმედ დაზიანება მაინც მოხერხდა.

რუსული ავიაციის დარტყმები აფხაზებმა თავიანთ ავიაციას მიაწერეს, თუმც ცალკეულ დაბომბვაში რუსულ-აფხაზური ავიაციის ერთობლივი მოქმედებაც გამორიცხული არ არის.

სეპარატისტთა თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, კოდორის მიმართულებით L-39 ტიპის სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავებმა და Ми-24/Ми-8МТ ტიპის შვეულმფრენებმა 60-ზე მეტი საბრძოლო გაფრენა შეასრულეს. საჰაერო ძალების 8 მფრინავმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის გმირობა და კიდევ 45-მა მოსამსახურემ სხვადასხვა ჯილდო დაიმსახურა.

დაბომბვების პარალელურად 10 აგვისტოს დღის მეორე ნახევრისათვის აფხაზეთში რუსებმა საჰაერო-სადესანტო ჯარების ოთხი საბატალიონო ტაქტიკური ჯგუფი შექმნეს. ოთხივე დანაყოფში კონტრაქტით მომსახურე სამხედროები მსახურობდნენ, რომლებსაც საბრძოლო გამოცდილება ჩეჩნეთსა და სხვა ცხელ წერილებში ჰქონდათ მიღებული.

რუსული ჯარების დაჯგუფების სარდლად დაინიშნა რუსეთის შეიარაღებული ძალების საბრძოლო მომზადებისა და სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსი, ჩეჩნეთის მეორე ომის ერთ-ერთი სარდალი, რუსეთის გმირი, გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმირ შამანოვი. აფხაზეთში იმყოფებოდა აგრეთვე რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ევტუხოვიჩი.


აჟარას თავზე სეპარატისტთა დროშა აფრიალდა

11 აგვისტოს დილის 7 საათზე ნოვოროსიისკის დივიზიის 247-ე სადესანტო-მოიერიშე პოლკის გაძლიერებული ასეულის 138-მა სამხედრომ ჯავშანტექნიკის 13 ერთეულით გადაადგილება კოდორისაკენ მიმავალი ახალგაყვანილი გზით დაიწყო და 18 საათისათვის პოზიციები ხაიშთან დაიკავა.

იმავდროულად სეპარატისტთა ქვედანაყოფები ხეობის მიმდებარე ტერიტორიების დაზვერვაზე გადავიდნენ და ქართული დამხმარე ძალების შესვლის ყველა შესაძლო მიმართულება სპეცდანიშნულების რაზმებით გადაიკეტა.

11 აგვისტოს 10 საათსა და 20 წუთზე აფხაზებმა კოდორის ხეობიდან ქართული ქვედანაყოფების გამოსვლა მოითხოვეს. იმავე მოთხოვნით რუსი სამხედროებიც გამოვიდნენ.

ულტიმატუმს 12 აგვისტოს დილის 5 საათზე რუსული მოიერიშე ავიაციის მორიგი დაბომბვა მოჰყვა. 9 საათზე კიდევ ერთი 11-წუთიანი თავდასხმა მოხდა, რომელიც 30-წუთიანმა საარტილერიო ცეცხლმა გააგრძელა. ამის შემდეგ 10 საათისათვის აფხაზებმა ოთხი შვეულმფრენით სოფელ ჩხალთის მახლობლად მე-5 მოტომსროლელი ბრიგადის 1992-93 წლების ომში მონაწილე 250 რეზერვისტით დაკომპლექტებული დესანტი გადასხეს, ხოლო ორი საათის შემდეგ კოდორის ადმინისტრაციული ცენტრის სოფელ აჟარაში აფხაზური დროშა აღიმართა.


კოდორის სიახლოვეს განთავსებული „გრადის“ დანადგარი

რუსული ავიაციის გაბატონებამ და დარტყმებისათვის საჭირო საშუალებათა ფართო არჩევანმა მოწინააღმდეგეს მოქმედების სრული თავისუფლება მისცა, ხოლო ხეობაში ბლოკირებული გარნიზონი უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა. მტერს კოდორის დამცველთა განადგურება უკონტაქტო ბრძოლის გარეშე შეეძლო.

ამაზე ფიქრი და თავდაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა გატარება თავის დროზე იყო საჭირო. ხეობაში მშვიდობიანი მოსახლეობის, პოლიციელებისა თუ სამხედროების გადარჩენის ერთადერთი გზა იარაღის დაყრა იყო, რაც შინაგან საქმეთა მინისტრის პირადი ბრძანების შემდეგ შესრულდა.

სოხუმის ინფორმაციით, კოდორის ხეობაში აფხაზებს ქართული ქვედანაყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფების უამრავი იარაღი, საჭურველი და საბრძოლო ტექნიკა დარჩათ. მათ შორის იყო: 2 ათასამდე სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღი, მსუბუქად დაჯავშნული МТЛБ ტიპის 4 გამწე, 122 მმ-იანი Д-30 ტიპის 8 ჰაუბიცა, 23 მმ-იანი ЗУ-23-2 ტიპის 4 საზენიტო ავტომატი, 57 მმ-იანი С-60 ტიპის 1 საზენიტო ქვემეხი, 160 მმ-იანი LAR-ის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის ერთი პაკეტი, ხელის ტანკსაწინაღმდეგო ყუმბარსატყორცნი РПГ-7-ის 10 ათასი ჭურვი, ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნის 1500 მუხტი, 82 მმ-იანი ნაღმსატყორცნის 600 ნაღმი, დაახლოებით 350-მდე С-8 ტიპის უმართავი რაკეტული ჭურვი, 5,45 მმ-იანი 124 ათასი ვაზნა ПС, მგეზველი 43200 ვაზნა ТС, 60 მმ-იანი ნაღმსატყორცნის 804 ნაღმი, დიდი რაოდენობით კარვები, ავტომატის დამატებითი მჭიდები, სათადარიგო ნაწილები და სხვა აღჭურვილობა (ეს ინფორმაცია სეპარატისტებისგან მოდის, ამიტომაც გადამოწმებას საჭიროებს — რედაქცია). მთელი ნადავლის გამოტანას დაახლოებით 50-მდე სატვირთო ავტომობილი და რამდენიმე დღე დასჭირდა.

აფხაზთა შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის, გენერალ-პოლკოვნიკ ანატოლი ზაიცევის შეფასებით: კოდორის ზემო ნაწილი ნამდვილ ციხესიმაგრეს წარმოადგენდა. თავშესაფრები, ბლინდაჟები და სადამკვირვებლო პუნქტები საინჟინრო ცოდნით იყო მოწყობილი. 122 მმ-იანი ჰაუბიცები საიმედოდ დაცულ პოზიციებზე იდგა. სეპარატისტებს აფრთხობდათ ხეობაში აფხაზეთის მხრიდან შესაღწევი გზა და ერთადერთი ხიდი, რომლის გადმომყურე კლდე დანაღმული იყო, მაგრამ მისი აფეთქება რატომღაც არ მოხდა.

ზაიცევის აზრით, ასე დაცულ-გამაგრებული რაიონის ასაღებად ერთი თვეც საკმარისი არ იქნებოდა, ამიტომაც ოპერაციაში მთავარი აქცენტი საჰაერო თავდასხმის საშუალებებსა და, ძირითადად, ავიაციაზე გაკეთდა. ბომბებისა და რაკეტების მუდმივი დარტყმის ქვეშ ყველაზე დაცული თავშესაფარიც კი საიმედოობას კარგავს და იოლი ასაღები ხდება.

აფხაზი სამხედროებისათვის ხეობაში აგებული ჩოგბურთის კორტები და ფრენბურთის მოედნები მოულოდნელი აღმოჩნდა და ამერიკული ზეგავლენის კიდევ ერთ მაგალითად ჩათვალეს.

კოდორის რუსულ-აფხაზური ერთობლივი სამხედრო ოპერაცია ცოცხალი ძალის მინიმალური დანაკარგით დასრულდა. სოხუმის ინფორმაციით, დაღუპულია ერთი სამხედრო მოსამსახურე და ისიც გაუფრთხილებლობით.

წარმატების მიუხედავად, სეპარატისტთა თავდაცვის მინისტრი მირაბ ქიშმარია შეცდომებზე ლაპარაკობს. მისი აზრით, საჭიროა სპეცქვედანაყოფები და ჯარების სახეობები. არმიაში კონტრაქტით მომსახურეთა ხვედრითი წილი 70%-მდე უნდა გაიზარდოს. 2009 წლიდან არმიის უზრუნველყოფა 100%-ით მოიმატებს და ის უნიფორმას, კვებას, საყოფაცხოვრებო პირობებს, საკონტრაქტო ანაზღაურებას და საცხოვრებლით დაკმაყოფილებას მოხმარდება.

სამხედროთა შორის ჯერ კიდევ ბევრია პენსიონერი, რომლებიც სოხუმის სამხედრო სასწავლებელში მომზადებულმა ახალგაზრდა კადრებმა უნდა შეცვალოს.

მოძველებულია ჯავშანტექნიკა, მაგრამ გამოცდილი ტანკისტების ხელში ის ახალივითაა. 30 სექტემბერს სოხუმში გამართულ აღლუმზე აფხაზებმა მე-2 ცალკეული სატანკო ბატალიონის Т-55 №200 გამოიყვანეს. ასაკოვანი, ორმოცდაათზე მეტი წლის ტანკი ქარხნიდან ახალგამოგორებულს ჰგავდა.

გენშტაბის უფროსმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ანატოლი ზაიცევმა სარეზერვო სამსახურის სისტემაზე ილაპარაკა. მისი თქმით, სარეზერვო ბატალიონების საცეცხლე მხარდაჭერის ასეულებსა და ნაღმსატყორცნთა ბატარეებში ჩატარებული შეკრებების მიუხედავად, რეზერვისტებს ბრძოლა მხოლოდ ავტომატებით მოუხდათ. ამის მიზეზად საცეცხლე საშუალებათა პირადი შემადგენლობის შეთანწყობისათვის საჭირო დროის სიმცირე დასახელდა.

გენშტაბის უფროსმა სამომავლოდ რამდენიმე მიმართულება გამოყო:

I – მძიმე შეიარაღებასა და ტექნიკასთან დაკავშირებული პირადი შემადგენლობის კონტრაქტით სამსახურზე გადაყვანა და თვალსაჩინოებისათვის აგვისტოს მაგალითი მოიყვანა, როცა რეზერვისტებმა ტექნიკის ათვისება და აღმოსავლეთის მიმართულებით გადაადგილება მობილიზაციიდან მხოლოდ მეორე დღეს მოახერხეს;

II – ძალებისა და საშუალებათა ახლებური განლაგება-განთავსება;

III – არტილერისტთა მომზადების ინტენსივობის გაზრდა. მიუხედავად იმისა, რომ საარტილერიო პოლკმა და ცალკეულმა ბატარეამ საველე გასვლები და საბრძოლო ამოცანები რამდენჯერმე შეასრულეს;

IV – ღამით საბრძოლო მოქმედებათა მოსამზადებელი პროგრამის შეცვლა;

იცვლება რეზერვისტთა მომზადების სასწავლო პროგრამა, ის სამხედრო სპეციალობათა მიხედვით დაიყოფა. შეკრებები უკვე გაიარეს რეზერვის სანინსტრუქტორებმა. მომდევნო ეტაპზე შეკრებას რეზერვის მზვერავები და მესანგრეები გაივლიან, ხოლო მომავალი წლიდან საარტილერიო ცეცხლის მაკორექტირებელთა და საავიაციო სამიზნეებზე გამყვანთა მომზადება არის დაგეგმილი.

*თემურ ჩაჩანიძე*


ერთ-ერთი აფხაზური შვეულმფრენი, რომლითაც კოდორში დესანტი გადაისხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთი რეფორმას „ვოსტოკით“ იწყებს




2008 წლის 24 სექტემბერს საინფორმაციო საშუალებებით ცნობილი გახდა, რომ მოსკოვის ცენტრში მანქანაში ჩაცხრილეს ჩეჩნური ბატალიონ „ვოსტოკის“ მეთაურის სულიმ იამადაევის ძმა — სახელმწიფო დუმის ყოფილი დეპუტატი რუსლან იამადაევი.

მკვლელობასთან დაკავშირებთ სხვადასხვა ვერსია გამოითქვა. რუსეთის სახელმწიფო დუმის ზედა პალატის სენატორმა ალექსანდრ ტორშინმა მკვლელობაში ქართული კვალი დაინახა და ჩეჩნების ცხინვალის ომში მონაწილეობისათვის ანგარიშსწორებას დაუკავშირა.

კავკასიაში პოლიტიკური ინტერესებისათვის ისევ კავკასიელების გამოყენება რუსეთის ჩვეული ხერხია, რომელიც განსაკუთრებულად კარგ ეფექტს ე.წ. ეთნიკურ კონფლიქტებში იძლევა.

აგვისტოს მოვლენებამდე საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, განლაგებულ რუსულ ე.წ. სამშვიდობო ძალებში რუსეთის არმიის ჩეჩნური საბრძოლო ქვედანაყოფები გამოჩნდნენ.

მძიმე სოციალურ-ეკონომიკური თუ სხვა მიზეზებით რუსეთის სამხედრო სამსახურში ჩამდგარი ჩეჩნები მოსკოვმა ცხინვალის მოვლენების თანამონაწილე გახადა.

რუსი ოკუპანტების რიგებში ჩეჩნებით დაკომპლექტებული ბატალიონ „ვოსტოკის“ მებრძოლთა გამოჩენამ ბევრს აფხაზეთის 1992-93 წლების ომი და მასში ჩეჩნების მონაწილეობა გაახსენა. მაშინ ჩეჩნებმა და მათმა მეთაურმა შამილ ბასაევმა არძინბასა და მისი რეჟიმის გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშა.

ამჯერად ბატალიონ „ვოსტოკის“ ერთ-ერთი ასეული, რომელსაც ზაუდ ბაიმურატოვი მეთაურობდა, რუსული ე.წ. სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში სამსახურს სარაბუკის ჩრდილოეთით, წვერიახოსა და თლიაყანის პოზიციებზე გადიოდა.

ასეული 78-80 მებრძოლს ითვლიდა და გადაადგილებისათვის МТЛБ ტიპის 3 გამწესა და რუსებისაგან გადმოცემულ ორ БМП-2-ს იყენებდა.

9 აგვისტოს დილით ასეული ცხინვალში კოკოითის რაზმების გასაძლიერებლად შევიდა, რომლის რიგები წინა დღის ბრძოლების შემდეგ ბევრმა ოპოლჩენეცმა მიატოვა.

უცნობია ჩეჩნური ქვედანაყოფის მონაწილეობით რამდენად მოხერხდა ქალაქისათვის მიმდინარე ბრძოლებში გარდატეხის შეტანა, თუმცა თავად ჩეჩნების გამოჩენამ ჩვენს მებრძოლებზე გარკვეულწილად მადემორალიზებული გავლენა მოახდინა.

იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ჩეჩენი სამხედროები ქართველ მოსახლეობას რუსეთისა არმიისა და კოკოითის ფორმირებათა მოახლოებას ატყობინებდნენ და გაცლას ურჩევდნენ. თავად ჩეჩენი მებრძოლები ამბობენ, რომ ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე ქართული სოფლების მოსახლეობისაგან დაცლილ სახლკარს იცავდნენ და თან ქართული არმიის მიერ მიტოვებულ იარაღს აგროვებდნენ.

ქართული არმიის ქვედანაყოფებსა და ჩეჩნებს შორის პირდაპირ შეტაკებებს ადგილი არ ჰქონია, თუმცა „ვოსტოკის“ მებრძოლები ერთხელ 11 აგვისტოს დილით ზემო ნიქოზიდან ქვემო ხვითისაკენ რუსულ კოლონაში გადაადგილების დროს არტილერიის ცეცხლქვეშ მოექცნენ და 3 კაცი დაეჭრათ.

ჩეჩნების მეორე ნაწილმა, რომელმაც ომის გამო სამშობლო მიატოვა და სხვადასხვა ქვეყანაში გადაიხვეწა, თავისი დამოკიდებულება რუსეთის აგრესიის მიმართ ცალსახად გამოხატა. საქართველოში მცხოვრებმა რამდენიმე ასეულმა ჩეჩენმა ბატალიონის ჩამოყალიბებისა და ქართველებთან მხარდამხარ საერთო მტერთან ბრძოლის სურვილი გამოთქვა.

საქართველოში ჩამოსვლისა და ომში დახმარების სურვილი სხვა ქვეყნებში და განსაკუთრებით თურქეთში მცხოვრებმა ბევრად უფრო მეტმა ჩეჩენმა გამოხატა.

ვითარება კავკასიის ქედის ჩრდილოეთითა და სამხრეთით მარტივი არ არის. თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩეჩნებს თავისივე მიწაზე რუსეთი მოუქნელი და უხეში სამხედრო ძალის გამოყენებით ებრძვის და მიზნის მისაღწევად არაადამიანურ საშუალებებს იყენებს.

ასეთ ვითარებაში ბატალიონების „ვოსტოკისა“ და „ზაპადის“ პირადი შემადგენლობა რუსეთის ხელისუფლების მიმართ რამდენად შეინარჩუნებს ლოიალურობას?

დაახლოებით 1600-1800 კარგად აღჭურვილ-მომზადებული ჩეჩენი მებრძოლი დიდ ძალას წარმოადგენს, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება თავისი ერის ინტერესების დასაცავად დადგეს და რუსებს პრობლემები შეუქმნას.

8 ნოემბერს რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილემ, გენერალ-პოლკოვნიკმა ვლადიმირ მოლტენსკოიმ ჩეჩნეთის პრეზიდენტ რამზან კადიროვს აცნობა, რომ ბატალიონები „ვოსტოკი“ და „ზაპადი“ ასეულებამდე შემცირდებოდა, რაც პირადი შემადგენლობის დიდი ნაწილის დათხოვნას ნიშნავს.

ასეულები 42-ე მოტომსროლელი დივიზიის შემადგენლობაში დარჩება და მისი გამოყენება უკვე დივიზიის მეთაურის დონეზე გადაწყდება, როცა „ვოსტოკისა“ და „ზაპადის“ ამა თუ იმ ოპერაციაში მონაწილეობას გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველო წყვეტდა.

რამდენიმე დღის წინ რუსეთის შეიარაღებული ძალების საბრძოლო მომზადებისა და სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ვლადიმირ შამანოვმა ასეთი კომენტარი გააკეთა: ადგილობრივი ჩეჩნებით დაკომპლექტებულმა ბატალიონებმა შექმნის დღიდან ათეულობით შედეგიანი ოპერაცია ჩაატარეს და არაერთი ბოევიკი გაანადგურეს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ „ვოსტოკი“ და „ზაპადი“ არმიული სამხედრო ნაწილის სახეს სულ უფრო მეტად კარგავდა.

ჩვენი სამმართველოს კომისიამ ბატალიონების საბრძოლო და ყოველდღიურ მომზადებაში უამრავი დარღვევა აღმოაჩინა. თავდაცვის მინისტრმა ანატოლი სერდიუკოვმა ატესტირების შემდეგ მეთაურთა და პირადი შემადგენლობის 30%-ით შემცირებისა და ქვედანაყოფებში ჩეჩენი ეროვნების წევამდელების არმიღებაზე გადაწყვეტილება მიიღო.

*თემურ ჩაჩანიძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ტანკები ცხინვალში

2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონში ბრძოლებისას, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული საქართველოს შეიარაღებული ძალების სატანკო ქვედანაყოფთა მოქმედება იყო.

ქართველმა ტანკისტებმა იწვნიეს იმ ძველი ჭეშმარიტების მთელი სიმძიმე, რომლის თანახმადაც ქალაქში ტანკები საჰაერო თუ სახმელეთო მხარდაჭერის გარეშე იოლად გასანადგურებელია.

ქალაქის ქუჩებში ტანკი მოკლებულია ისეთ მნიშვნელოვან თვისებებს, როგორიც არის სისწრაფე და მანევრულობა, იძულებულია დაბალი სიჩქარით იმოძრაოს ან მდგომარეობიდან გამომდინარე, დროებით შეჩერდეს. ამასთან, ეკიპაჟის ხედვის არე შეზღუდულია, მან არ იცის, რა ხდება გვერდზე ან უკან, ხოლო საფრთხე ქუჩისპირა ნებისმიერი შენობა-ნაგებობიდან შეიძლება მოდიოდეს. ტანკის შედარებით სუსტად დაცულ უკანა ნახევარსფეროში სართულებიანი შენობიდან ტანკსაწინააღმდეგო საშუალებით სროლისათვის კი ხელსაყრელი პოზიცია ყოველთვის მოიძებნება.



ნადავლი ქართული ტანკების კოლონა რუსეთისაკენ მიემართება

ცხინვალის ქუჩებში ტანკების წარუმატებელი გამოყენება იმ მარცხიანი ოპერაციების გაგრძელება იყო, რომლებიც 1956 წელს ბუდაპეშტში საბჭოთა არმიამ და 1995 წელს ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში რუსეთის არმიამ ჩაატარა.

საქართველოს არმიას ჰაინც გუდერიანის ან მოშე დაიანის ტოლფასი ტანკისტები არ ჰყავს. არ ჩანს პირი, რომელიც ტანკების გამოყენებაზე, განსაკუთრებით ქალაქის პირობებში, ახალ ორიგინალურ თეორიას შექმნიდა და პრაქტიკაში დანერგავდა. ასეთ შემთხვევაში წარსულის გამოცდილება და უკვე აპრობირებული მეთოდები უფრო ამართლებს.

ცხინვალში ტანკებით შესვლის ბრძანების გამცემი, ალბათ, ჯავშანტექნიკის გამოყენების თავისებურებებს ნაკლებად იცნობდა და ყველა მოსალოდნელი საფრთხე, მათ შორის მოწინააღმდეგის საბრძოლო შესაძლებლობები ნაკლებად ან საერთოდ არ გაითვალისწინა. შედეგად მივიღეთ რამდენიმე ათეული დამწვარ-დაკარგული ტანკი. კიდევ უფრო მძიმე და აუნაზღაურებელი ადამიანთა დანაკარგია.

ომის დაწყებამდე საქართველოს შეიარაღებული ძალების განკარგულებაში 200-მდე ტანკი იყო, პარკის დიდ ნაწილს T-72 ტიპის ტანკი შეადგენდა. მცირე რაოდენობით მოძველებული T-55-ებიც ჰყავდათ, მაგრამ საბრძოლო მოქმედებებში, მონაწილეობა არ მიუღიათ.

საბჭოთა არმიამ T-72 შეიარაღებაში 1973 წელს მიიღო. ტანკის საბრძოლო თვისებები ავღანეთში, ირან-ერაყის ომში, ლიბანში 1982 წელს, ყარაბაღში, ერაყში, იუგოსლავიაში, ჩეჩნეთსა და კიდევ სხვა ომებში შემოწმდა.

სპეციალისტთა შეფასებით, T-72 თავისი დროის ერთ-ერთი საუკეთესო ტანკი იყო. მისი წარმოების ლიცენზია აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის რამდენიმე ქვეყანამ შეიძინა.

ქართული ჯავშანსატანკო ბატალიონები, ძირითადად, ჩეხეთსა და უკრაინაში წარმოებულ-შეძენილი T-72-ებითა და T-72Б-ებით იყო შევსებული. ტექნიკის ერთ ნაწილს თბილისის ტანკსარემონტო ქარხანაში Sim 1-ის პროგრამით ჰქონდა მოდერნიზაცია გავლილი.

მოდერნიზებული ტანკების აღჭურვაში შევიდა: ცეცხლის მართვის ავტომატური სისტემა, დამიზნება-დათვალიერების ელექტროოპტიკური აპარატურა, თბოვიზორი, გლობალური სანავიგაციო GPS-ის სისტემა, თანამედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვე რადიოსადგური, ბორტკომპიუტერი და სხვ. სხვათა შორის, მოდერნიზებულ ტანკს მოქმედება ღამითაც შეუძლია.

ქართული ტანკების დიდი ნაწილი დინამიკური დაცვით არის აღჭურვილი და შუბლის ნაწილი ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებისაგან საიმედოდ აქვს დაცული.

გაშლილ ადგილზე ქართული T-72 Sim 1 საბრძოლო შესაძლებლობებით რუსეთის არმიის T-62-სა და T-72-ს ბევრად აღემატება. ქალაქის ქუჩებში ეს უპირატესობა იკარგება, ხოლო განსხვავება თანამედროვე და მოძველებულ ტექნიკას შორის მაინცდამაინც დიდ როლს აღარ თამაშობს.

რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდლის არმიის გენერლის ვლადიმირ ბოლდირევის შეფასებით, რუსულ-ქართულ კონფლიქტში ტანკების მონაწილეობამ ცხადყო, რომ ტანკი საიმედო დაცვის, ძლიერი შეიარაღებისა თუ სხვა საშუალებათა ხარჯზე შეიარაღებული ბრძოლის ეფექტიან საშუალებად ისევ რჩება. გენერალმა ომში ქართველების მიერ ტანკსაწინააღმდეგო საშუალებათა შეზღუდულად გამოყენებაც აღნიშნა. სამაგიეროდ, ასეთი საშუალებები კოკოითის შეიარაღებულმა ფორმირებებმა ბევრად მეტი და თანაც უფრო ეფექტიანად გამოიყენეს.

მოწინააღმდეგე ცხინვალზე სატანკო შეტევას ელოდა და მას წინასწარ დამუშავებული გეგმით დახვდა.

2008 წლის 8 აგვისტოს, გამთენიისას, კოკოითის განკარგულებაში შემდეგი ძალები იყო: ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ბატალიონი „ალანია“, ბალი ბესტაევის სამთო სპეცდანიშნულების რაზმი, ადგილობრივი მოსახლეობისაგან ჩამოყალიბებული ე.წ. „ოპოლჩენცების“ რაზმები, „ომონისა“ და უშიშროების დანაყოფები, ჩრდილოკავკასიელი მოხალისეები, რუსეთიდან შემოსული კაზაკები და სხვ.



2008 წლის 8 აგვისტოს საღამოს ცხინვალში მოსკოვისა და ვაგზლისპირა ქუჩების გადაკვეთა ასე გამოიყურებოდა

ამგვარი ჭრელი „არმიის“ განსაკუთრებულ ბრძოლისუნარიანობასიმტკიცეზე ლაპარაკი მხოლოდ პირობითად შეიძლება. ბევრად მეტ ძალას წარმოადგენდა ცხინვალში წინასწარ შემოყვანილი და გამოცდილი მებრძოლებით დაკომპლექტებული რუსეთის არმიის მცირერიცხოვანი სპეცქვედანაყოფები.

ცნობილია, რომ კონფლიქტში მონაწილე რუსეთის გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს სპეცდანიშნულების მე-10 და 22-ე ბრიგადებიდან, საჰაერო-სადესანტო ჯარების 45-ე ცალკეული გვარდიული სადაზვერვო სპეცდანიშნულების პოლკიდან თითო-თითო მებრძოლია დაღუპული.

ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ბატალიონ „ალანიას“ მეთაური პოლკოვნიკი ყაზბეგ ფრიევი იხსენებდა: „საარტილერიო ცეცხლის შემდეგ სამხედროები და განსაკუთრებით „ოპოლჩენცები“ დათრგუნვილები იყვნენ. მათ ვამშვიდებდით, თქვენი მიზანია ტანკებისაგან ქვეითების ჩამოშორება, ხოლო ტანკებს ჩვენ როგორმე მივხედავთ-მეთქი“.

ცხინვალში გამაგრებულმა კოკოითის რაზმებმა ქართულ ტანკებთან ბრძოლის წინ ასეთი დარიგება მიიღეს და ქალაქის ქუჩებში შემდგომ განვითარებულ ბატალიებზე ახლა მეტ-ნაკლებ წარმოდგენას დამწვარ-განადგურებული ჯავშანტექნიკის ამსახველი მრავალრიცხოვანი ფოტო თუ ვიდეომასალა იძლევა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანების შემდეგ, 7 აგვისტოს 23 საათსა და 30 წუთზე, კოკოითის ფორმირებათა პოზიციები ორი საათის განმავლობაში საარტილერიო ცეცხლის ქვეშ იყო. 8 აგვისტოს, გამთენიისას, ქართულმა ტანკებმა საწყისი პოზიციებიდან ცხინვალისკენ გადაინაცვლეს.

კოკოითის რაზმებმა თითქმის უბრძოლველად დაიხიეს უკან და პოზიციები ქალაქის ცენტრში სამთავრობო შენობებისა და სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის მახლობლად დაიკავეს.

ამ რაიონის ახლოს მოსკოვისა და ვაგზლისპირა ქუჩების (ახლა „მიროტვორცების“ სახელს ატარებს) გადაკვეთაზე 8 აგვისტოს დღის მეორე ნახევარში მოწინააღმდეგემ ქვეითების გარეშე დარჩენილი სამი ტანკი გაანადგურა.

სამივეს კოშკურა მოგლეჯილი აქვს. ერთ-ერთი ტანკის შიგნით იმდენად



გმირთა ქუჩაზე დამწვარი ქართული ტანკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერი აფეთქება მოხდა, რომ შვიდტონიანი კოშკურა დაახლოებით 10 მეტრზე გაიტყორცნა, შენობის შესასვლელის რკინაბეტონის საფარი გაგლიჯა და კიბეს დაეცა. ასეთი ძალის აფეთქება მხოლოდ ტანკის შიგნით ჭურვების დეტონაციას შეეძლო გამოეწვია. ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი, როგორც ჩანს, ტანკს უკანა ნახევარსფეროში ზევიდან მოხვდა და მოწინააღმდეგემ სროლისათვის, ალბათ, ქუჩის პირას მდებარე ოთხსართულიანი სახლის სახურავი გამოიყენა.

ისააკ ხარებოვისა და გმირთა ქუჩების გადაკვეთის ახლოს ერთი დამწვარი T-72-ია. ტანკს ბორტში ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი აქვს მოხვედრილი და გაჩერების შემდეგ „ოპოლჩენცებმა" „შმელის" გამოყენებით ცეცხლი წაუკიდეს. არმიული ცეცხლგამჩენი „შმელი" მოქმედების ეფექტით 152 მმიანი ჭურვის აფეთქების ძალას ბევრად არ ჩამოუვარდება.

გმირთა ქუჩაზე იგივე მეთოდით განადგურებული კიდევ ერთი ქართული ტანკია. ტანკისტებმა დაზიანებული მანქანის დროულად დატოვება მოახერხეს, მაგრამ კოკოითის „ოპოლჩენცებმა" დააკავეს და კონდახებით ცემაში სული ამოხადეს.

იმავე ქუჩაზე დარჩა მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანით დაზიანებული ჯავშანავტომობილი „კობრა" №307.

9 აგვისტოს რუსულმა ავიაციამ ტბეთის გადასახვევიდან რკინიგზის გადასასვლელამდე 20-30 მეტრში ორ ქართულ T-72-ს შეუტია და ცეცხლი გაუხსნა. საავიაციო ჭურვების მოხვედრას №119-ში სატანკო ჭურვების დეტონაცია-აფეთქება მოჰყვა, რაც კოშკურის მოგლეჯითა და გვერდზე მოსროლით დამთავრდა. მეორე №111 ტანკი დაზიანებული არ ჩანს. ორივე ტანკი შეუნიღბავი და ადგილმდებარეობის ფონზე ადვილი შესამჩნევი იყო.

ცხინვალიდან ხეთაგუროვოსაკენ მიმავალ გზაზე, უფრო ტბეთის ახლოს, დაზიანებულ T-72 №110-ს მარცხენა ფალშბორტის დინამიკური დაცვის თითქმის ყველა ელემენტი აფეთქებული აქვს. იმავე გზაზე, მოშორებით, №125 ტანკია, რომელზეც ასევე მარცხენა ფალშბორტის დინამიკური დაცვის ყველა ელემენტი აფეთქებულია და მოგლეჯილი კოშკურა კორპუსზე ამობრუნებულად არის დაცემული. მოგვიანებით ტანკზე ასეთი წარწერა გაჩნდა — „იყიდება 2 ათას დოლარად". სავარ-



ტბეთის გადასახვევთან რუსული მოიერიშის მიერ აფეთქებული ტანკი N119



სამშვიდობოების შტაბთან დამწვარი რუსების T-72Б(M)

ხეთაგუროვოსაკენ მიმავალ გზაზე აფეთქებული ტანკი N123






ქართული ტანკი „ფრისის“ სახელით ცხინვალის აღლუმზე გამოჩნდა




სენაკთან მიტოვებული ტანკი N208




სენაკის ბაზაში დატოვებული ლულაგახეთქილი ტანკი N207

აუდოდ, ორივე ტანკი რუსულმა სა-ბრძოლო შვეულმფრენმა გაჩერებულ მდგომარებაში დაცხრილა.

სხვა ტანკების დაზიანებათა მიზეზებისა და ბრძოლის ადგილების იდენტიფიცირება არასაკმარისი ფოტოინფორმაციის გამო არ ხერხდება. შეიძლება ითქვას, რომ მოწინააღმდეგემ ცხინვალსა და ქალაქის შემოგარენში დაახლოებით 10-11 ტანკი გაგვინადგურა. სხვები ტექნიკური უწესრიგობის ან საწვავის გამოლევის გამო არის დაკარგული. გზაზეა მიტოვებული №102, 321 და 326, ცხინვალის მე-14 საბავშვო ბაღთან დარჩა №425, საბრძოლო პოზიციებიდან არის წყვანილი №615 და ა.შ.

ის, რაც ომს გადაურჩა, ოკუპანტებმა სხვა მეთოდებით გაანადგურეს. გორის ჯავშანსატანკო ბატალიონის ტერიტორიაზე დარჩენილი ორ ათეულამდე მოძველებული T-55 და დაზიანებული T-72 რუსებმა ხრიოკ ადგილზე გაიყვანეს და ააფეთქეს.

მოდერნიზებული და გამართული ტანკების მნიშვნელოვანი რაოდენობა, დაახლოებით 44 ერთეული, როკის გვირაბის გავლით რუსეთში გაიგზავნა. მარტო ერთ დღეს როკის გვირაბი ოცმა T-72-მა და ერთმა ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-2-მა გაიარა.

რუსეთში წაყვანილი ტანკების საბორტო ნომრებია: 100, 111, 115, 120, 124, 321, 326, 329, 402, 407, 433, B/B-2, B/B-4, B/C-1, X-6 და სხვ. ნადავლის ერთი ნაწილი კუბინკაში, ჯავშანტექნიკის მუზეუმში იქნა დემონსტრირებული.

საინტერესოა, რომ გამართულ მდგომარეობაში დარჩენილი ტანკი №329 რუსებს ერთხანს ბლოკპოსტებზე ჰყავდათ დაყენებული.

გორთან შედარებით, ნადავლი ტანკების მხრივ ბევრად მოკრძალებული სენაკის სამხედრო ბაზა გამოდგა. ოთხი T-72-დან ერთს — №207-ს ლულა გახეთქილი ჰქონდა, ხოლო მეორეს — №208-ს გზაში ძრავა გაუფუჭდა და იქვე დარჩა. დარჩენილი ორი ტანკი — №206 და №209 — რუსმა სამხედროებმა, ალბათ, ბაღაფშის არმიას უფეშქაშეს.

ოკუპანტებმა გული არც კოკოითს დასწყვიტეს და ქართული არმიის რამდენიმე ტანკი საჩუქრად დაუტოვეს. ცხინვალის ქუჩებში ოსეთის სამფეროვანი დროშით დაქროდა ნადავლი ქართული ტანკი №622, ხოლო გამარჯვებისადმი მიძღვნილ აღლუმზე კოკოითის არმიამ კიდევ რამდენიმე T-72 გამოატარა. ერთს ლულასა და კოშკურის უკანა ნაწილზე წარწერა „ფრისი“ ამშვენებდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო მეორეს კი №101 ეტყობოდა. გარდა ამისა, ალლუმზე ნაალაფარმა ერთმა „კობრას“ ტიპის ჯავშანავტომობილმა და რამდენიმე „ტოიოტამ“ ჩაიარა.

ომის პირველ დღეებში კოკოითის ფორმირებებმა თავიანთი ტანკები ტყეებსა და ჯავაში გადამალეს და გული რუსეთის არმიის შემოჭრის შემდეგ მიეცათ.

თავად რუსეთის არმიის დანაკარგი ომში სამიოდე ტანკით შემოიფარგლა, რომელიც სამმაგად აინაზღაურეს.

პირველი ტანკი რუსებმა 9 აგვისტოს დაკარგეს, როცა გენერალ ხრულოვის კოლონიდან ერთმა T-72Б-(M) ცხინვალის ცენტრში რუსი სამშვიდობოების ყაზარმისაკენ გაღწევა მაინც მოახერხა. ბრძოლის დროს ტანკს რამდენიმე ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი მოხვდა, დაზიანდა და ჭურვების მარაგის გამოლევის შემდეგ ეკიპაჟმა საბრძოლო მანქანა დაწვა.

10 აგვისტოს მოსკოვისა და მარქსის ქუჩების გადაკვეთაზე T-62-ს, რომლის მეთაური უმცროსი ლეიტენანტი ვიტალი ნეფი იყო, ქართველმა სამხედროებმა ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნებით ჯერ მარჯვენა მუხლუხი დაუზიანეს და შემდეგ ყუმბარის ძრავა-ტრანსმისიის ნაწილში მოხვედრით ააფეთქეს. ნეფი დაიღუპა და მას სიკვდილის შემდეგ რუსეთის გმირობა



რუსეთში გასატანად გამზადებული ქართული ტანკები

მიენიჭა. დაჯილდოების ფურცელში ბრძოლის სხვადასხვა ეპიზოდთან ერთად ჩამოთვლილია მოსკოვის ქუჩაზე ერთი ქართული T-72-ის დაწვის ამბავიც.

მესამე ტანკი რუსებმა 11 აგვისტოს დილით დაკარგეს, როცა ზემო ნიქოზიდან ქვემო ხვითისაკენ მიმავალი რუსული სამხედრო კოლონა ქართული ტანკებისა და არტილერიის ცეცხლქვეშ მოექცა და მოწინააღმდეგის T-72Б ეკიპაჟიანად განადგურდა.

რუსეთის არმია საჰაერო, საარტილერიო, ტანკსაწინააღმდეგო თუ სხვა საშუალებათა დიდ უპირატესობას ფლობდა და ქართულ ჯავშანსატანკო ქვედანაყოფების სრული განადგურება შეეძლო, მაგრამ სატანკო ეკიპაჟთა თავდადებითა და გმირობით ჯავშანტექნიკის დიდი ნაწილის შენარჩუნება მაინც მოხერხდა.

*თემურ ჩაჩანიძე*




პოზიციაზე მიტოვებული ტანკი N615

# არსენალვორდი



**თარაზულად** 6. გერმანული ავტომატური პისტოლეტი; 7. სპორტის სახეობა; 8. ესპანური რევოლვერი; 11. კურორტი რაჭაში; 13. კორეული ავტომობილი; 14. რძის ნაწარმი; 15. ისრაელის წარმოების 81 მმ-იანი ნაღმტყორცნი; 17. ბელგიური პისტოლეტი; 19. დასავლეთ საქართველოს ძველი ქართული სახელწოდება; 20. პარფიუმერიული სითხე; 21. სამართალმცოდნე; 25. XIX საუკუნის იტალიის სახალხო გმირი, წოდებით გენერალი; 27. ქვეყნის მეთაური; 28. ადოლფ ჰიტლერი; 29. ავიაბომბების მწარმოებელი ფირმა აშშ-ში; 31. უკრაინული ავტომობილი.

**შვეულად:** 1. თოფი, რომელსაც ლულაში ხრახნისებური ღარები აქვს; 2. ძველებური ხელის ცეცხლსასროლი იარაღი; 3. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი; 4. XVIII საუკუნის რუსი მხედართმთავარი, გენერალისიმუსი; 5. ამერიკული რევოლვერი; 8. ინგლისური საზენიტო-საარტილერიო კომპლექსი; 9. ფრანგული საპატრულო თვითმფრინავი; 10. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 12. ადგილი სამხედრო მასალის, საბრძოლო ტექნიკის და იარაღის გამოსაცდელად; 16. ვაჟიშვილი; 17. საგუშაგო პუნქტი; 18. აფრიკული ხანჯალი; 22. ქვეყანა ევროპაში; 23. სამწახნაგოვანი პირის მქონე პატარა ხანჯალი; 24. ესპანური ავიაკომპანია; 26. ამერიკული ავიაბაზა იტალიაში; 30. ჭადრაკის ფიგურა.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* ***თარაზულად:*** 4. მი; 5. ისკანდერი; 6. ინტენდანტი; 7. კავალერისტი; 10. სიერა; 11. გალეზი; 12. ამპერი; 14. ვარძია; 16. ევრიკა; 17. ბაზუკა; 19. არმადა; 21. ვოროშილოვი; 23. დანი; 24. ჩელსი; 26. შვარცლოზე; 27. ბრიგანტინი. ***შვეულად:*** 1. რიოლიტი; 2. კასტეტი; 3. ბექთარი; 4. მილიტარიზმი; 7. კავალერგარდი; 8. ვამპირი; 9. ელჩი; 10. სპასალარი; 13. რეკორდი; 15. ძიუდო; 18. ასი; 20. მანევრი; 21. ველროდი; 22. რაიდერი; 25. ტროა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყუმბარსატყორცნი მსოფლიოში საუკეთესო ავტომატური შაშხანისთვის



## გერმანული ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნი AG36-ი ამერიკელ კოლეგას M203-ს დასამარებას უპირებს...

ისინი ერთად ისე ლამაზად გამოიყურებიან, რომ გიჩნდება აზრი — ერთად დაიბადნენ!

„არსენალს" საშუალება მიეცა ლატვიის არმიის შეიარაღებაში მიღებულ საიარაღო კომპლექსს — ავტომატურ შაშხანას G36-სა და მის ლულის ქვეშ დამონტაჟებულ ყუმბარსატყორცნს AG36-ს გასცნობოდა.

G36 ტყუილად როდი ითვლება მსოფლიოში დღეისათვის ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო ავტომატურ შაშხანად. სხვათა შორის, G36-ების შეძენის იდეა მართლაც ტრიალებდა, მაგრამ ისინი გერმანიის მთავრობამ ქართული არმიისთვის არ გაიმეტა. მეტიც, როდესაც აგვისტოს ცხინვალის ომის ფოტო და ვიდეოკადრებზე რამდენიმე ქართვე-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი სპეცრაზმელი G36-ით ხელში გამოჩნდა, ამან ბუნდესტაგში დიდი სკანდალი გამოიწვია, რადგან ეს იარაღი ოფიციალურად გერმანიას საქართველოსთვის არ მიუყიდია.

პირველი G36-ები ქართველი სპეცრაზმელების ხელში ჯერ კიდევ 2002 წლიდან გამოჩნდა — სწორედ ამ იარაღით შედიოდნენ პანკისის ხეობაში...

G36-ის გამოცდას „არსენალმა“ თავის დროზე სტატია მიუძღვნა, ამიტომაც ამჯერად მხოლოდ ყუმბარსატყორცნ AG36-ზე შევჩერდებით.



ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნი AG36

იმის გამო, რომ G36 ტიპის ავტომატური შაშხანები ახალი სიტყვა იყო ცეცხლსასროლ იარაღში, მათ მაინც აღარ შეესაბამებოდა ლულის ქვეშ მოძველებული, ამერიკული M203 ან მით უმეტეს, გერმანული HK79 ტიპის ყუმბარსატყორცნების დაყენება.

ამიტომაც ცნობილმა გერმანულმა საიარაღო ფირმამ Heckler und Koch-მა მე-20 საუკუნის ბოლოსთვის შექმნა ახალი 40 მმ კალიბრიანი ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნი AG36, რომელსაც მოძველებული HK79 უნდა შეეცვალა, რომელსაც ასევე მოძველებულ ავტომატურ შაშხანაზე აყენებდნენ.

ახალმა ყუმბარსატყორცნმა თავიდანვე კარგად „იგრძნო“ G36-ის ლულის ქვეშ. ცოტა ხანში ახალი გერმანული ყუმბარსატყორცნი ბრიტანულ ავტომატურ შაშხანას L85A2-სა და კანადურ Diemaco C7A1-საც მოარგეს.

დადგა ლეგენდარული ამერიკული „შავი შაშხანის“ ჯერიც. AG-C მოდერნიზებული ყუმბარსატყორცნი უპრობლემოდ მონტაჟდება M16A4 ტიპის ავტომატური შაშხანისა და M4 ტიპის ავტომატური კარაბინების ლულის ქვეშაც, Picatinny-ის სპეციალურ მიმმართველებზე.

როგორც ჩანს, ამერიკული არმია უახლოეს წლებში მთლიანად AG36/AG-C-ზე გადავა, რაც M203 ტიპის ყუმბარსატყორცნებს მთლიანად გამოდევნის აშშ-ის არმიის შეიარაღებიდან.

ყუმბარსატყორცნები ცეცხლსას-



ეროვნული ბიბლიოთეკა



როლ იარაღთან შედარებით უფრო მარტივი ტექნიკური ნაკეთობაა და ერთი შეხედვით ძნელი წარმოსადგენია, რით უნდა სჯობდეს გერმანული AG-C-ე ამერიკულ M203-ს, რომ ის მთლიანად ჩაანაცვლოს?

აღმოჩნდა, რომ რეალურად არსებობს ასეთი ტექნიკური ნიუანსი — დატენვის პროცესი.

M203-ის დატენვისას მისი ლულა წინ იწევა და მასში დებენ 40 მმ-იან ყუმბარას, შემდეგ ლულა უკან გამოიწევა და ჩაიკეტება. გასროლის შემდეგ მსროლელი ლულას ისევ წინ სწევს, რომლის დროსაც ხდება გასროლილი ყუმბარის ჰილზის ექსტრაქცია და ლულაში ახალ ყუმბარას ათავსებენ. ე.ი. მსროლელს M203-ის გადასატენად ორი მოქმედების გაკეთება უწევს — ლულის ორჯერ წინ და უკან გადაწევა.

**ჩვენი დოსიე:** ყუმბარსატყორცნი AG36 ცარიელ მდგომარეობაში 1,5 კგ-ის იწონის. მასში თავსდება ერთი 40X46 მმ კალიბრის ყუმბარა. სროლის ეფექტიანი მანძილი 400 მ-ს უტოლდება, თუკი სროლა ფართობზე გაშლილი სამიზნეებისკენ მიმდინარეობს, კონკრეტული სამიზნის დაზიანება უფრო მოსახერხებელია 150 მ-მდე მანძილზე.

რუსულ ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნებში ГП-25-სა და ГП-30-ში 40 მმ-იანი ყუმბარა ლულის წინა მხრიდან იტენება. გასროლის შემდეგ ყუმბარის ჰილზის ექსტრაქციის აუცილებლობა არ არსებობს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ВОГ ტიპის ყუმბარას ჰილზა უბრალოდ არ აქვს. გამოდის, რუსული ყუმბარსატყორცნი უფრო მოხერხებული და სწრაფმსროლელია, რადგან მსროლელს გასროლის გამეორებისთვის მხოლოდ ერთი მოქმედების გაკეთება უწევს. სამაგიეროდ, რუსული ყუმბარები ტექნოლოგიურად უფრო რთულია და ამასთან, ძვირი.

გერმანული AG36-იც ლულის ბოლოდან იტენება, როგორც ამერიკული M203, მაგრამ ამ უკანასკნელისგან განსხვავებით ლულის წინ გაწევა კი არა, არამედ მარცხენა გვერდზე გამოწევაა საჭირო. ეს საშუალებას იძლევა ყუმ-



ბარსატყორცნში უფრო გრძელი ფორმის ყუმბარები მოთავსდეს. საბრძოლო ყუმბარაზე უფრო გრძელი ფორმა კი, როგორც წესი, არალეტალურ ყუმბარებს აქვთ, რომლებშიც რეზინის ტყვიები ან ცრემლსადენი გაზია. გამოდის, AG36-ი უნივერსალური ტიპის ყუმბარსატყორცნია, რომლის გამოყენება შეიძლება როგორც საბრძოლო მოქმედებებში, ისე პოლიციური მიზნებისთვისაც.

გერმანელმა კონსტრუქტორებმა AG36-ი დასაკეცი კონდახითა და ლულის ქვეშ ხელის მოსაკიდით აღჭურვეს, რის შემდეგაც მისი გამოყენება ავტონომიურად, შაშხანაზე დამაგრების გარეშეც გახდა შესაძლებელი. ასეთი უნივერსალური თვისება არც ამერიკულ M203-სა და არც რუსულ UG-30-ს არ აქვთ.

საიარაღო კომპლექსი ავტომატური შაშხანა G36 და ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნი AG36 ხელში კარგად ზის და მოხერხებულია საბრძოლო გამოყენებისთვის.

*ირაკლი ალადაშვილი*



ავტომატური შაშხანა G36 ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნით AG36-ით




# AG36

არსენალი
ISSN 1987-5061